ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 308 (12 679) | 31 დეკემბერი ოთხშაბათი 2008 | ფასი 50 თეთრი


## 2009
## გილოცავთ ახალ წელს!

# გამარჯვებები დაგვებედებოდეს!



პროფესორ ი. ჩხეიძის ახალი სადღეგრძელო » 3



» 6

კლიმიაშვილი და გოცირიძე ფილმში გადაიღეს



მარია შარაპოვა შეყვარებული არ ვყოფილვარ » 16



სერენას ფოტოსესია » 16



მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 5 იანვარს

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

დეკემბრის ნომინანტები

## მწვრთნელი

### რამაზ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია)



ამ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენა ერთადერთხელ არ გაგვჭირვებია - სექტემბერში „ლოკომოტივი", მართლაც, შთამბეჭდავ თამაშს აჩვენებდა. ჰოდა, ამ გუნდის ახალგაზრდა თავკაცები - **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე** კოლეგებს შორის უკონკურენტონი იყვნენ. შედარებით რთული იყო „თვის მწვრთნელის" გამოვლენა ოქტომბერსა და ნოემბერში; თუმცა, დღესაც მიგვაჩნია, რომ **რამაზ მუმლაძემ** და **ვარლამ კილასონიამ** ამ ნომინაციაში გამარჯვება უდავოდ დაიმსახურეს.

ახლა კი დეკემბერზე ვისაუბროთ და წინდაწინ ვთქვათ, რომ გუნდებს არათანაბარ პირობებში მოუწიათ ასპარეზობა. კენტგუნდიანი ჩემპიონატის პირობებში ზოგს დასვენება უწევდა, კლიმატური პირობების გაუარესების გამო ორი მატჩიც გადაიდო (მათ შორის: „დინამო"-"ზესტაფონი") და ასე შემდეგ. და მაინც, გასულ თვეში სამი წარმატებული გუნდი გამოიკვეთა: „სიონი", „ოლიმპი" და „ვიტ ჯორჯია". ბოლნისელებმა, პირველად ამ ჩემპიონატში, თვე უდანაკარგოდ განვლეს და მაქსიმალურ შედეგსაც მიაღწიეს - სამ მატჩში სამი მოგება! თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ **ოთარ კორღალიძის** გუნდს არცთუ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა („ბორჯომი", „მესხეთი", „გაგრა"). რუსთავის „ოლიმპმა" კი ნოემბერში „აკრეფილი ტემპი" არც ზამთრის პირველ თვეში შეანელა და კვლავაც წაუგებლად ასპარეზობს. ვარლამ კილასონიას გუნდმა ერთ ტურში დაისვენა, მერე კი ჯერ „დინამოს" მოუგო, სტუმრად ფრედ ითამაშა „ვიტ ჯორჯიასთან" და ბოლოს წელიწადი კვლავაც მოგებით („მგლებთან") დაასრულა (ანუ, სამ შეხვედრაში შვიდი ქულა მოაგროვა).

აი, „ვიტ ჯორჯიას" კი ერთი მატჩით მეტის ჩატარება მოუხდა და აქედან სამი მოიგო („სპარტაკთან", „ლოკომოტივთან", „ზესტაფონთან") და ერთიც ფრედ („ოლიმპთან") ითამაშა. ოღონდ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსთაველებთან მატჩში ვეტერინარები რიცხობრივ უმცირესობაში აღმოჩნდნენ და მაინც შეძლეს ქულის გადარჩენა. უფრო შთამბეჭდავი იყო „ვიტ ჯორჯიას" უკანასკნელი გამარჯვება - ზესტაფონში ერთპიროვნული ლიდერის რანგში ჩასულებმა მასპინძლებს ყველა კომპონენტში აჯობეს და სავსებით დამსახურებულად მოიგეს. მოკლედ, დეკემბერში ყველაზე მეტი ქულა „ვიტ ჯორჯიამ" მოაგროვა და რა გასაკვირი იქნება, თუ გასული თვის საუკეთესო მწვრთნელად ამ გუნდის თავკაცს **რამაზ მუმლაძეს** დავასახელებთ. სხვათა შორის, მუმლაძე უკვე მეორედ ხდება ჩვენი ნომინანტი და, აქედან გამომდინარე, ჩინებული შანსი აქვს ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელობაზეც ჰქონდეს პრეტენზია. რა თქმა უნდა, მთავარი ბრძოლები წინ არის, მაგრამ ჯერჯერობით ყველაზე სტაბილური გუნდის შთაბეჭდილებას სწორედ „ვიტ ჯორჯია" ტოვებს. ეს ფაქტი, რაღა თქმა უნდა, რამაზ მუმლაძის უდიდესი დამსახურებაა. მწვრთნელი მეოთხე სეზონია ამ გუნდში მუშაობს და, მართლაც დაუნახაობა იქნება, მისი საქმიანობა ჯეროვნად რომ არ შევაფასოთ. სტაბილურობა შემთხვევით არ გვიხსენებია: მუმლაძე ძირითად შემადგენლობაში როტაციას იშვიათად მიმართავს; თუმცა, დისკვალიფიკაციებისა და ტრავმების გამო ვინმე თუ გამოაკლდა, თამამ ექსპერიმენტებსაც არ ერიდება. და მთავარიც - დეკემბერში ნაჩვენებმა ჩინებულმა შედეგმა გუნდს უკვე მეორე არაოფიციალური ტიტული („ზამთრის ჩემპიონი") მოუტანა და უახლოეს მდევართანაც სხვაობა უკვე ექვს ქულას შეადგენს! ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის მერე, ვინ უნდა იყოს დეკემბრის საუკეთესო მწვრთნელი?..

## დეკემბრის სიმბოლური ნაკრები




## ფეხბურთელი

### გიორგი მეგრელაძე (ოლიმპი)

ნოემბერში ორწლიანი ტრადიცია დავარღვიეთ - ობიექტური მიზეზების გამო „თვის ფეხბურთელი" ვერ გამოვავლინეთ. ამ დროის განმავლობაში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა კონკრეტული ტურის რჩეული მოთამაშე არ დაგვისახელებია; მაგრამ „თვის ფეხბურთელს" ყოველთვის ვასახელებდით. საბედნიეროდ, დეკემბერში უკვე ასარჩევად გვქონდა საქმე: ერთდროულად რამდენიმე მოთამაშეს „თვის ფეხბურთელობაზე" საფუძვლიანი პრეტენზიაც ჰქონდა. ჩინებულად თამაშობდა „ოლიმპის" უნივერსალი **თენგიზ ჩიკვილაძე**: დაცვის ცენტრში, მარცხენა ფლანგზე თუ საყრდენად - სადაც უნდა დააყენო, თავის უშუალო მოვალეობებსაც კარგად ასრულებდა და ლამის ყოველ მეორე შეხვედრაში... გოლიც გაჰქონდა! კვლავაც გამორჩეულნი იყვნენ მისი თანაგუნდელები - **შოთა ბაბუნაშვილი** და **გიორგი სეთურიძე**; იგივე შეგვიძლია ვთქვათ „ვიტ ჯორჯიას" ორ ახალგაზრდა ფეხბურთელზეც - **ვახტანგ კვარაცხელიასა** და **ირაკლი კლიმიაშვილზე**; აბა, ისე როგორ იქნებოდა, **ლევან ცქიტიშვილს** შთამბეჭდავი მატჩები არ ჩაეტარებინა? ჰო, ქართული ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანი დეკემბერშიც „უმტკიცებდა"... **ექტორ რაულ კუპერს**, რომ საქართველოს ნაკრებისთვის კვლავაც უაღრესად საჭირო მოთამაშეა. და მაინც; ჩვენი აზრით, ერთი კონკრეტული ფეხბურთელი იმდენად გამორჩეული იყო, რომ ზემოთ დასახელებულებზე წინ რომ დავაყენეთ და თვის ნომინანტადაც დავასახელეთ. **გიორგი მეგრელაძეზე** ვლაპარაკობთ, რუსთავის „ოლიმპის" 30 წლის ფორვარდზე, საკუთარი გოლიადორული თვისებების გამოვლენა... მხოლოდ დეკემბერში რომ დაიწყო (უფრო ზუსტად - ნოემბრის ბოლოს). არადა, ჩემპიონატის დაწყების წინ ბევრი „ოლიმპის" ფავორიტობაზე რომ საუბრობდა, ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად გუნდში გიორგი მეგრელაძის მიწვევასაც ასახელებდნენ. სამწუხაროდ, სეზონის დასაწყისი რუსთაველი კლუბისთვის და საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელისთვის კოშმარულზე მეტი გამოდგა. თავად განსაჯეთ: „ოლიმპმა" ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მხოლოდ მეცხრე ტურში მოიპოვა, მეგრელაძე კი, გუნდის სხვა ფორვარდების მსგავსად, გოლის გატანას ვერ ახერხებდა. გამოცდილმა თავდამსხმელმა ნავსი 11 ნოემბერს, „ამერთან" სათასო მატჩში გატეხა, თუმცა იმ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და მოედანს გარკვეული დროით ჩამოშორდა. მერე, როცა მომჯობინდა, უკვე თავის სტიქიაში დაგვიბრუნდა: ბოლო ოთხ შეხვედრაში მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა!

...ეროვნულ ჩემპიონატში დებიუტი 15 წლის წინათ ჰქონდა, როცა 16 წლის ჭაბუკი წყალტუბოს „სამგურალში" გამოჩნდა. ეგ კი არა, გარკვეული პერიოდი სახელოვან მამასთან - **მერაბ მეგრელაძესთან** ერთადაც თამაშობდა. რა თქმა უნდა, ფეხბურთის ქომაგები აღიარებული ბომბარდირის, მერაბ მეგრელაძის ვაჟისგანაც გოლების „წვიმას" ელოდნენ. გიორგიც ნელ-ნელა მკვიდრდებოდა ქართველ ბომბარდირთა „კოჰორტაში" და წლების განმავლობაში ქუთაისის „ტორპედოს" შეტევების ლიდერიც გახლდათ. მერე უცხოური კარიერის გაგრძელება აირჩია და სამწუხაროდ, ორი-სამი წელიწადი, ფაქტობრივად, გაუცდა კიდეც. ისევ სამშობლოში დაბრუნდა და, რაღა თქმა უნდა, მშობლიურ „ტორპედოში" ჩაირიცხა. 2004-05 წლების სეზონში ქუთაისელებს მშვენიერი გუნდი ჰყავდათ - **ოთარ გაბელიას** ხელმძღვანელობით „ტორპედომ" ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ თბილისის „დინამოს" ჩამორჩა. **ზვიად სტურუა, დავით გამეზარდაშვილი, გიორგი ნერგაძე, დავით ბოლქვაძე, ალექსანდრე კოშკაძე, შოთა ბაბუნაშვილი** - აი, ასეთი ჩინებული პარტნიორები ჰყავდა მეგრელაძეს მაშინდელ „ტორპედოში". მერე, რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად „დინამოში" აღმოჩნდა, მაგრამ ტრავმებისა თუ სხვა მიზეზის გამო საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოამჟღავნა. ამას აზერბაიჯანი მოჰყვა, წინა სეზონში კი ისევ საქართველოში დაბრუნდა და „ბორჯომის" შემადგენლობაში მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია: საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში მეასე გოლი გაიტანა! აქედან ერთი კი, სულაც მეცხრამეტე ჩემპიონატის საუკეთესო გოლად აღიარეს! ჰო, მეგრელაძეს უყვარს ეფექტური გოლების გატანა; ეგ კი არა, ბევრი მწვრთნელისგანაც მოგვისმენია: 90 წუთი რომ „იდგეს", არ უნდა გამოცვალო - მეტოქეს წამიერ მოდუნებას არ აპატიებს და ერთი დარტყმით თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლიაო. ვეთანხმებით პატივცემულ მწვრთნელებს - მეგრელაძე, მართლაც, გოლის იშვიათი ალღოთი დაჯილდოებული ფორვარდი და, ჩვენი აზრით, დეკემბრის საუკეთესო ფეხბურთელია!



გვერდი მოამზადა
გია ტუხაშვილმა

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო

# პროფესორ ი. ჩხეიძის ახალი სადღეგრძელო

ვის-ვის და, ზეპოპულარული ტელესერიალის „შუა ქალაქის“ ზეპოპულარულ გმირ ირაკლის ჩხეიძეს მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ამიტომ, ზედმეტი სიტყვებით ბევრ დროს არ წაგართმევთ. მართლაც და, მისმა პერსონაჟმა ხალხში იმდენად დიდი პოპულარობა მოიპოვა, ვინძლო, ნამდვილად პროფესორს, კარდიოლოგ ოთარ ტატიშვილს მშობლიური გვარ-სახელით აღარავინ მიმართავს. ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ისიც ცნობილია, რომ ოთარი „ბარსელონის“ თავგადაკლული ფანია და საერთოდაც, მშვენივრად ერკვევა მსოფლიო ფეხბურთის ავანჩავანში და ბუნებრივია, ამ საახალწლოდ შესაფერისი რესპონდენტიცაა.

მოკლედ, ვნახოთ, რა აზრისაა ქართული და მსოფლიო ფეხბურთის ჯანმრთელობაზე პროფესორი ი. ჩხეიძე, ანუ კარდიოლოგი ოთარ ტატიშვილი...

**- ესეც ასე, კიდევ ერთი წელი გადავაგორეთ. როგორი იყო 2008 წელი?**

- გლობალურად გითხრათ ჩემი ცნობილი სადღეგრძელოებივით, თუ ლოკალურად, ჩვენი ფეხბურთისთვის?

**- ჯერ გლობალურად...**

- ვფიქრობ, მსოფლიო ფეხბურთისთვის 2008, ვირთხის წელი საინტერესო იყო. ყოველ შემთხვევაში, ვირთხასთან არ ასოცირდებოდა. საინტერესო იყო სპორტულად - ამ წელს ვნახეთ ევროპის ჩემპიონატი და ოლიმპიადა... თუმცა ევრო 2008-მ ერთი ვირთხული მოგონება მაინც დამიტოვა - რუსეთის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა. რუსებს არასდროს, არც ერთ სახეობაში არ ვგულშემატკივრობდი. თქვენ წარმოიდგინეთ, იუზა პავლოვიჩ დოლიძის დროინდელ სსრკ-ის ნაკრებსაც არ ვქომაგობდი, მიუხედავად იმისა, რომ იმ ნაკრებში ქართველი ფეხბურთელებიც თამაშობდნენ... საბჭოურ პერიოდის თბილისის „დინამოს“ კი სულ სხვა გატაცება იყო, მაშინაც ვგულშემატკივრობდი და ახლაც... ჰო, კინაღამ მთავარი დამავიწყდა - 2008 წელი „ბარსელონისთვისაც“ კარგი იყო. გუნდი ზამთრის ჩემპიონი გახდა... ყოველთვის ვამბობდი, რომ რაიკაარდი, დეკუ და რონალდინიო მოსაშორებელი იყვნენ ამ გუნდიდან. ამაზე ზოგი დამცინოდა... გუდიონსენსაც დავცინოდი და სერიალში მას არა ერთხელ მწარედაც „ვუკბინე“ - გუდიონსენის შეძენის არ იყოს, ასე ტყუილად ფულის გადაყრა მე არ მახსოვს-მეთქი და მთელი ოდა მივუძღვენი ამ ფეხბურთელს...

**- გუდიონსენის რა მოგახსენოთ, მაგრამ რაიკაარდი, დეკუ და რონალდინიო ნამდვილად „შეიწირეთ“. იქნებ, ჩვენს ნაკრებს ან გუნდებსაც გაჰკრათ ხოლმე კბილი და ეშველოთ რამე...**

- (იცინის)... ეჰ, ეს რომ შველოდეს, ამაზე იოლი რა არის, მაგრამ გუდიონსენის შემთხვევაში სხვა რამესთან გვაქვს საქმე... მგონი, კატალონიაშიც უყურებენ ჩვენს სერიალს და ვინმემ უთხრა - პროფესორი ი. ჩხეიძე დაგცინისო... აბა, რას მივაწერო, რომ დავცინოდი კაცს და უცებ ისე ათამაშდა, თქვენი მოწონებული...

**- „ბარსელონა“ კატალონია და ესპანეთია. ამ ქვეყნის ნაკრები წელს ევროპის ჩემპიონი გახდა და ვგონებ, გულგრილი ვერ იქნებოდით ამ ფაქტის მიმართ...**

- სხვათა შორის, ესპანელებმა წინა ჩემპიონატებშიც არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ მსოფლიო თასს იმსახურებდნენ, მაგრამ ყოველთვის რაღაც აკლდათ. ეს „რაღაც“ კი, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, 80 წლის ლუის არაგონესი აღმოჩნდა.

**- ახლა გლობალურიდან ლოკალურ თემაზე გადავიდეთ. ქართული ფეხბურთისთვის როგორი იყო 2008 წელი?**

- ჩვენი ნაკრები ჩემი ტკივილია და იმ ახალი ფეხსაცმელივით მიჭერს, სერიალში ქეთევანის ქორწილში რომ მეცვა. არადა, კარგი ფეხბურთელები გვყავს. შოთა არველაძე წავიდა, მაგრამ გვყავს კალაძე, კობიაშვილი, ასათიანი, ხიზანიშვილი... აგერ, ახლებიც წამოვიდნენ - მჭედლიძე, ყენია... თუნდაც ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ბექა გოცირიძე, გიორგი მერებაშვილი... ნაკრების მატჩებს ყოველთვის ვუყურებ, ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს კი ვერა. ჩვენი პირველობის ორი მატჩის ნახვა გადავწყვიტე, მაგრამ... ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა...

**- რატომ?**

- თუ არ ვცდები, ერთი იყო 2005 წლის მაისში, „ვიტ ჯორჯიისა“ და „სიონის“ საჩემპიონო მატჩში. იქ ისეთი ჩხუბი ატყდა... ეს უკვე ფეხბურთი აღარ არის-მეთქი და ტელევიზორი სხვა არხზე გადავრთე... მეორე ამ რამდენიმე კვირის წინ იყო, „მგლები“ თამაშობდაო, მეორე დღეს მითხრეს. მეგობრებთან ერთად ვქეიფობდი და რატომღაც ავტყდი - რამდენი ხანია, ჩვენი ჩემპიონატის თამაში არ მინახავს-მეთქი. ნასვამი ვიყავი და ვერ გავარჩიე, ვინ თამაშობდა... თუმცა თამაში კი არა, ჩხუბი „აიწია“... ამათ 3 წლის წინ რომ დაიწყეს, ის ჩხუბი აქამდე გრძელდება-მეთქი, ჩემთვის ჩავიბუტბუტე და სუფრას მივუბრუნდი... ისევ ქიქა სჯობს-მეთქი, ვთქვი, და ჩემებური სადღეგრძელოები შევუბერე...

**- ეროვნულ ჩემპიონატს ვერ ვუყურებო, თქვით. არადა, გადაცემა „გოლში“ კი იყავით მიწვეული და საქართველოს პირველობაზე მსჯელობდით...**

- (იცინის)... კი მიწვეული ვიყავი და ბევრი ვერაფერი ვთქვი... არადა, ტურის საუკეთესო გოლები რომ ვნახე, გავვოცდი. აღმოვაჩინე, რომ თურმე საქართველოს ჩემპიონატშიც გადის ეფექტური გოლები თავისი „პრასტრელებით“... ისეთი გოლები იყო, ესპანეთის პრიმერასა და ევროპის თუ მსოფლიო ჩემპიონატებსაც კი დაამშვენებდა. ახლახან, ქორწილში მოვხვდი გელა ინალიშვილთან ერთად. სუფრაზე ქართულ ფეხბურთზეც ჩამოვარდა საუბარი. გელამ მითხრა - მცირედი გამონათებები ჩვენს ფეხბურთშიც არისო... პრინციპში ასეცაა. მე და ინალიშვილი ბოლოს ერთ რამეზე შევთანხმდით - სანამ კლუბები ფინანსურად არ მოძლიერდებიან, მანამდე პროგრესს არ უნდა ველოდოთ. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, საკლუბო დონეზე ყველაზე დიდ წარმატებას მაინც თბილისის „დინამომ“ მიაღწია - უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე გავიდა... ამიტომაც, ქართული კლუბებიდან „დინამოს“ ვგულშემატკივრობ.

**- რევაზ ძოძუაშვილმა ამასწინათ თქვა, ქართული ფეხბურთი წვეთოვანაზეა შეერთებულიო... საინტერესოა, როგორ შეაფასებს პროფესორი ი. ჩხეიძე ქართული ფეხბურთის ჯანმრთელობის მდგომარეობას?**

- (იცინის). მეტი თუ არა, ძოძუაშვილი ჩემზე ნაკლები პროფესორი არ ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენი ფეხბურთი წვეთოვანაზეცაა და უფრო მეტიც - ხელოვნურ სუნთქვაზეა გადაყვანილი...

**- კლაუს ტოპმიოლერის „ამპუტაციამ“ არ უშველა საქმეს?**

- ტოპმიოლერი მაღალი დონის მწვრთნელია, მაგრამ მას მხოლოდ საკლუბო დონეზე ჰქონდა წარმატებები. ფაქტი ჯიუტია - მისმა „გადმონერგვამ“ ქართულ ფეხბურთს ვერ უშველა. მხოლოდ ერთი გამონათება იყო, შოტლანდიას რომ მოვუგეთ, თუმცა ლიტვამ და ლატვიამ გადაგვიარეს... ოჰ, ოჰ, ოჰ ჩრდილოეთ ირლანდიასთან თამაშს ნუღარ გამახსენებთ... თუმცა იმედი არ დამიკარგავს... ისე, მართლა სერიოზულად მაქვს იმედი და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ფეხბურთი სულ რაღაც 18 წლისაა, რაც დამოუკიდებელია. გლობალურად, ეს ისტორიისთვის არაფერი არ არის. ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ და სწორად ვიაროთ, მერე პროგრესიც იქნება და წარმატებებიც... ჰო, 2008 წლის გამორჩეული მოვლენა მწვრთნელის ამპლუაში თემურ ქეცბაიას გაბრწყინება იყო. მისი გუნდისა და ქეცბაიას გულშემატკივარიც ვარ...


ოთარ ტატიშვილი

**- ექტორ კუპერიც საკლუბო მწვრთნელი იყო მანამ, ვიდრე ჩვენს ნაკრებს ჩაიბარებდა. მისი „გადმონერგვა“ რამდენად სასარგებლოა?**

- სხვათა შორის, კუპერი უფრო სასარგებლოა, თანაც გაცილებით. კვიპროსსა და ბულგარეთთან კუპერის გუნდმა ფრეები რომ ითამაშა, იმაზე უკეთესი იყო, ვიდრე ტოპმიოლერის გუნდი, რომელმაც ფარერებს თბილისში ძლივს რომ მოუგო... კვიპროსთან ჩხინკი ბურთი გაგვიტანეს და მერე კობიაშვილმა გვიხსნა სირცხვილისგან... ბულგარეთი უნდა დაგვენგრია, მაგრამ... ერთი გოლი რომ გაგვეტანა, კიდევ ორს შევუგდებდით. ისე, მე თუ მკითხავთ, ალექსანდრე ჩივაძის დროს ყველაზე კარგი ნაკრები გვყავდა. დღემდე მახსოვს, თბილისში ძალიან ძლიერი ბულგარეთი რომ დავამარცხეთ, უელსსა და ალბანეთს ორ-ორჯერ მოვუგეთ... არადა, გახსოვთ რატომ გაუშვეს ჩივაძე ნაკრებიდან? ინგლისს რატომ ვერ მოუგეო... ინგლისის დამარცხება ჩვენ კი არა, ბრაზილიას, იტალიას, გერმანიასა და არგენტინასაც უჭირთ.

**- „ბარსა“ გასაგებია, მაგრამ ნაკრებებიდან რომელს ქომაგობთ?**

- ჰოლანდიას... თუმცა ამ გუნდს წელს ცუდი წელი ჰქონდა... ფუი ეშმაკს, რუსებმა დაამარცხეს „ჩემი“ გუნდი... ამის გახსენებაც აღარ მინდა... სხვა სასიამოვნო თემაზე გადავიდეთ... ჰო, „ბარსელონაც“ ხომ ახსენეთ კითხვაში... ბარსელონის მეორე გუნდი, „ესპანიოლიც“ მომწონს. ამ გუნდიდან რაულ ტამუდო და ივან დე ლა პენია მომწონს... კიდევ კამერუნელი მეკარე კამენი... რომ არ დაგიმალოთ, „ესპანიოლსაც“ ვგულშემატკივრობ, მაგრამ „ბარსასთან“ არა. ისეთი ფანატიც არ ვარ, „რეალი“ მეზიზღებოდეს, მაგრამ „ბარსელონამ“ რომ მოუგო, ძალიან გახარებული ვიყავი.

**- რომელი ფეხბურთელი არ მოგწონთ?**

- დეკუ... მიუხედავად იმისა, რომ მის კარიერაში „ბარსელონაც“ იყო... ეს არ გვინდა რა, სასიამოვნო თემაზე გადავერთოთ კიდევ ერთხელ... ჰო, ფეხბურთის გარდა, რაგბიც მიყვარს. ეს სპორტი არ მიყვარდა, მაგრამ ჩვენმა ვაჟკაცმა მორაგბეებმა შემაყვარეს.

**- რა არის თქვენი საახალწლო-საფეხბურთო ნატვრა?**

- სერიალში ლეო მესიმ ან ტიერი ანრიმ რომ მიიღონ მონაწილეობა და პროფესორ ი. ჩხეიძეს თავიანთი მაისურები გადასცენ... მერე ხომ დამიჯერებენ, რომ მარტო მე კი არ ვაფასებ „ბარსელონას“, თავად „ბარსელონაც“ მაფასებს და ვუყვარვარ... ჩემი ნატვრაა, მშვიდობა იყოს, ომი ნუ იქნება. ჩვენი მიწის არც ერთი გოჯი არ მიღირს, ქართველი ბიჭების სიცოცხლედ. იმ დაკარგულ ტერიტორიებს მაინც დავიბრუნებთ... დაღუპული ბიჭების სიცოცხლეს კი - ვეღარ. აგვისტოს მოვლენების შემდეგ რამდენიმე კვირა შოკში ვიყავი... ერთი სიტყვით, მშვიდობა იყოს, ჩვენი ქვეყანა განვითარდეს, გაძლიერდეს, გაერთიანდეს, ჩვენი ფეხბურთი და ქართული უმაღლესი ლიგა ესპანურივით გახდეს... იმედი მაქვს, 2009 წელი, რომელიც ხარის წელია, ბევრად უკეთესი იქნება, შრომა უფრო დაფასდება, ასე მგონია.

**- ბოლოს ერთი თქვენებური სადღეგრძელოც გვითხარით...**

- სიამოვნებით... ერთხელ, კატალონიაში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ადგილობრივ „ბარსელონას“ დიდი ტრადიციების მქონე ერთი საფეხბურთო ქვეყნის გუნდთან მოუწია თამაშმა... კატალონიელთა მეტოქე საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი და მდიდარი ისტორიის მქონე თბილისის „დინამო“ იყო... ეს ამბავი 20?? წელს მოხდა... დღეს ეს ზღაპარი და სიზმარი გვგონია, მაგრამ მჯერა, ამასაც მოვესწრებით... ვფიქრობ, ყველა საკითხი ამოვწურეთ... დაგემშვიდობებით, თორემ შუა ქალაქში ვარ საცობში... თანაც, საცობი გაიხსნა და თუ აქამდე ამის გამო ვიყავი გაჩერებული, ახლა მობილურზე საუბრის გამო პატრული გამაჩერებს და დამაჯარიმებს... წავედი, აბა, ყველას ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ქართულ ფეხბურთსა და მთლიანად სპორტს თავისი ლელო გაეტანოს!

**დავით ცაბაძე**

სატრანსფერო ნომინაცია

## კალაძე, ჯამარაული, გიგიაძე

ვებგვერდმა „ფუტბოლმა“ დამოუკიდებელი უკრაინული ფეხბურთის ისტორიაში 20 საუკეთესო ტრანსფერი გამოავლინა. სასიხარულოა, რომ ამ ოცეულში სამი ქართველის „გაუკრაინელება“ ფიგურირებს - კახა კალაძე, გოჩა ჯამარაული და ვასილ გიგიაძე. თითოეულ მათგანს თავისი განმარტებაც ახლავს. ვნახოთ, რა კრიტერიუმების მიხედვით გამორჩია „ფუტბოლმა“ სამი ქართველის უკრაინული ტრანსფერი. ნომინაციაში ვალენტინ ბელკევიჩი ლიდერობს, თბილისიდან კიევის „დინამოში“ კალაძის გადასვლა კი მესამე ადგილზეა...

### 3. კახა კალაძე

დინამო თბილისი-დინამო კიევი. იანვარი, 1998

კიევის „დინამოს“ ისტორიაში ეს ერთ-ერთი საუკეთესო ტრანსფერია. კიევური კლუბის ბოსმა **გრიგორი სურკისმა** 19 წლის, იმ დროისთვის უცნობ მცველ კახა კალაძის სანაცვლოდ, თბილისის „დინამოს“ 280 ათასი ევროს ეკვივალენტური თანხა გადაუხადა. თავად კიეველებმა კი 2001 წლის იანვარში კალაძე „მილანს“ 15 მილიონ დოლარად დაუთმეს. კიევის „დინამომ“ ამ გარიგებით ფანტასტიკური მოგება ნახა. მაგრამ თანხასაც რომ თავი დავანებოთ, კიევის „დინამოს“ რიგებში კალაძემ ყველა ტურნირში 117 მატჩი ჩაატარა. **ვალერი ლობანოვსკის** გუნდში მან საგრძნობი პროგრესი განიცადა და უნივერსალად იქცა. სწორედ ესაა თავად კალაძისა და კიეველთა დიდი მიღწევა. კიევში კახა 4-ჯერ გახდა უკრაინის ჩემპიონი, 3-ჯერ ქვეყნის თასი მოიპოვა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც ითამაშა.

ქართველ მცველს არც იტალიური გრანდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება გასჭირვებია. ამ ტრანსფერით კიევის „დინამომ“ დაამტკიცა, რომ თავისუფლად შეუძლია აღმოსავლეთევროპულ „აიაქსად“ იქცეს. „მილანში“ კალაძემ ყველა ის ტიტული მოიგო, რისი მოგებაც კი საკლუბო დონეზეა შესაძლებელი. ინტერვიუებში ქართველი ახლაც ხშირად აცხადებს, რომ ტოპფეხბურთელად მის ჩამოყალიბებაში კიევის „დინამოს“ დიდი წვლილი მიუძღვის. მეტიც, საქართველოს ნაკრების კაპიტანი კიევს „მეორე სახლად“ მიიჩნევს.

### 14. გოჩა ჯამრაული

ლუგანო-მეტალურგი დონეცკი. აგვისტო, 2002

დონეცკელებმა ქართველი ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული შვეიცარიული „ლუგანოდან“ ევროტურნირებზე გუნდის გასაძლიერებლად დაიმატეს. იმ პერიოდისთვის ჯამარაულს ვარსკვლავური ხანა ედგა და დონეცკელებსაც დიდად წაადგა მისი სამსახური. „მეტალურგში“ ჩარიცხვიდან რამდენიმე კვირაში ქართველი ნახევარმცველი გუნდის კაპიტნადაც მოგვევლინა.

ჯამარაულთან ერთად „მეტალურგმა“ ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, მერე კი მეოთხე ადგილზე გავიდა. უკრაინის ჩემპიონატში გოჩამ 57 მატჩი ითამაშა და 6 გოლი გაიტანა. მის მიერ გაკეთებულ საგოლე პასებს კი ვინ მოთვლის... სწორედ ჯამარაული ამარაგებდა საგოლე გადაცემებით **გიორგი დემეტრაძეს**, რომელიც თანამემამულის წყალობით უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა.

დონეცკში ჯამარაულის ყოფნისას ძალზე ხშირად იცვლებოდნენ მთავარი მწვრთნელები - **ალტმანი, სევიდოვი, ფრეში, კაანენი**... მაგრამ ის მაინც გუნდის ლიდერად რჩებოდა. ერთადერთი, ვინც ჯამარაულზე უარი თქვა, **სლავოლიუბ მუსლინი** იყო.

### 16. ვასილ გიგიაძე

დინამო თბილისი-ტავრია. ივლისი, 2000

*„დიახ, ასეა. ჩინებულად შევეწყვე „ტავრიას“ და ამ გუნდში სრულად გამოვავლინე ჩემი შესაძლებლობები. სწორედ აქ, სიმფეროპოლში მოხდა ფორვარდად ჩემი გარდაქმნა. მანამდე, თავდამსხმელების უკან, გამთამაშებლად ვთამაშობდი. სწორედ „ტავრიის“ მაშინდელმა მწვრთნელმა ალექსანდრ იშჩენკომ დაინახა, რომ მწვავე შეტევების ორგანიზებისთვის საკმარისი თვისებები მქონდა. აი, ასე ვიქეცი უკრაინაში მეგოლედ, უფრო მეტიც, ბომბარდირადაც კი“* - განაცხადა ერთხელ **ვასილ გიგიაძემ**.

ასე გამოჩნდა „ტავრიაში“ ფორვარდი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში გუნდის უპირობო ლიდერი იყო და ადგილობრივი პუბლიკისთვის „გოლის“ სიმბოლოდაც იქცა. სიმფეროპოლიდან ის ჯერ „ურალანში“ გადაბარდგა, მერე „კრივბასში“, შემდეგ იყო „ნეფტიანიკი“ და ისევ „ტავრიას“ დაუბრუნდა. თუმცა დაბრუნების შემდეგ ძველებურად შედეგიანი აღარ არის. თუმცა ეს სულაც არ აკნინებს ყირიმული კლუბის მენეჯმენტისა და სამწვრთნელო შტაბის ღირსებებს. გიგიაძე მრისხანე ფორვარდად სწორედ სიმფეროპოლში ჩამოყალიბდა და „ტავრიისთვის“ ახლაც მოაქვს სარგებელი.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წელიწადი და თორმეტი თვე

**2008 წელი ბარაქიანი გამოდგა ქართული ფეხბურთისთვის. მაგრამ ცხადია, ბარაქაში წარმატებებს არ ვგულისხმობთ - უბრალოდ, გასულ თორმეტ თვეში ძალიან ბევრი საყურადღებო და საინტერესო ამბავი მოხდა. საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა კი არ ამუშავებულა...**




17 წლის **ლევან ყენია** გელზენკირხენის „შალკეში" ოფიციალურად წარადგინეს. ყენია უკვე საქართველოს იმედია.

5 იანვარს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა და ფეხბურთის ფედერაციასაც მიეცა საბაბი იმის ასახსნელად, თუ რატომ არ აფორმებდა ახალ კონტრაქტს **კლაუს ტოპმიოლერთან.** მიუხედავად ცუდი შედეგისა, ფედერაცია ჯორზე შეჯდა - ტოპი უნდა დარჩეს! თუმცა ეს არ იყოს მხოლოდ ფედერაციის პოზიცია - ტოპმიოლერსა და მის ბრიგადას ჯამაგირს სახელმწიფო უხდიდა.

**ლევან ცქიტიშვილი** მაშინ ჯერ კიდევ პრემიერლიგის ბინადარ „ბირმინგემში" მივიდა, მაგრამ სამუშაო ვიზა არ მისცეს და ტრანსფერიც ჩაიშალა.




საქართველოს ნაკრები ლატვიასთან საშინაო ამხანაგურ შეხვედრაში 1:3 დამარცხდა (პირველ ტაიმში სულაც 0:3-ს აგებდა). „პრესტიჟის" გოლი **კახა კალაძემ** გაიტანა.

მატჩიდან ორ დღეში ტოპმიოლერმა „ლელოს" უთხრა - მაინც დავრჩები საქართველოს ნაკრების მწვრთნელადო. ჰერ კლაუსის პოზიციები კი არ შეირყა, საერთოდ გაქრა, მაგრამ ხელისუფლება და ფედერაცია ახალს არაფერს ამბობდნენ - ტოპმიოლერთან კონტრაქტი მალე გახანგრძლივდებაო.

„ზესტაფონმა" წერილობით მიმართა პროფლიგას, საქართველოს ჩემპიონატიდან და თასის გათამაშებიდან გავდივართ. რამდენიმე დღეში კი გაირკვა, რომ „ზესტაფონი" არსადაც არ გადიოდა. უბრალოდ, იმერულმა კლუბმა ვერ აილო ფული **გიორგი განუგრავას** ტრანსფერში. განუგრავა ბოლესლავის „მლადაში" გადავიდა და ვინძლო, „ზესტაფონს" ამაზე მოუვიდა გული. როგორც უნდა ყოფილიყო, საქართველოს ერთ-ერთმა მოწინავე კლუბმა თავი სასაცილო ვითარებაში ჩაიგდო.

ლონდონში გარდაიცვალა **ბადრი პატარკაციშვილი**, ვინც, გარდა პოლიტიკურად დიდი მნიშვნელობისა, თბილისის „დინამოს" პრეზიდენტიც გახლდათ. ფეხბურთის ფედერაციამ და რამდენიმე ქართულმა კლუბმა პრეზიდენტის გარდაცვალება „დინამოს" ღიად ვერც კი მიუსამძიმრეს - შიში ოხერია, პატარკაციშვილი ხომ ხელისუფლებასთან იყო დაპირისპირებული.




დაახლოებით ოთხწლიანი პაუზის შემდეგ **რატი ალექსიძე** ფეხბურთს დაუბრუნდა და თბილისის „ლოკომოტივში" ჩაირიცხა. 29 წლის ალექსიძისგან ალბათ ცოტა თუ ელოდა, რომ ისევ გაიტანდა გოლებს და ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდებოდა და მით უმეტეს, ნაკრების მაისურასაც მოირგებდა.

ტოპმიოლერს თანაშემწედ **თემურ ქეცბაია** შესთავაზეს. ტოპიმ, ქეცბაია არ მჭირდებაო. 26 მარტს მისი გაწვრთნილი საქართველო ჩრდილოეთ ირლანდიასთან სტუმრად 1:4 დამარცხდა. პირველი ტაიმის შემდეგ, როცა ანგარიში 0:3 იყო, გერმანელ მწვრთნელს ჩვენი ფეხბურთელებისთვის უთქვამს - მეტი გოლი არ უნდა გავუშვათო...

ისეთი სიტუაცია შეიქმნა - ხელისუფლება და ფედერაცია ველარ გაჯიქდნენ, ხალხის რისხვა უკვე მომწიფებული იყო და გადაწყდა კიდეც ნაკრებიდან ტოპის გაშვება.

ტოპმიოლერი ფედერაციას დაემუქრა - 2007 წლის ოქტომბრის აქეთ ხელფასი არ ამილია, რადგან 2008 წელსაც დავრჩი საქართველოს ნაკრებში, ჩემი კონტრაქტი ავტომატურად გახანგრძლივდა კიდევ ორი წლით და თუ პირობებს არ დამიკმაყოფილებთ, ადვოკატს მივმართავ და გიჩივლებთო. ფედერაციამ ტოპისთან მოლაპარაკება წამოიწყო და პრობლემა სასამართლოსა თუ ფიფაში ჩივილის გარეშე მოგვარდა.




დაიწყო კანდიდატების ძიება საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის პოსტზე. ვისზე აღარ იყო ლაპარაკი - **ლუის ვან გაალი, მორტენ ოლსენი...** თუმცა მალევე გამოიკვეთა მთავარი კანდიდატი - ხორვატი **ბრანკო ივანკოვიჩი**, რომელმაც ირანის ნაკრები 2006 წლის მუნდიალზე ათამაშა.

ეროვნულ ჩემპიონატში საეჭვო მატჩებმა იმატა, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, ყველას ყველაფერი შერჩა.

ჭრელკაბიანმა აპრილმა ბევრ რამეზე ჩაგვაფიქრა, მაგრამ მხოლოდ ფიქრი ვერ უშველიდა საქმეს...




ივანკოვიჩი თბილისში ჩამოვიდა და თითქოს ყველაფერზე შეუთანხმდა ქართულ მხარეს. „დინამო" ჩემპიონი გახდა, „ზესტაფონი" კი ზედიზედ მესამედ გავიდა თასის ფინალში, სადაც ასევე ზედიზედ მესამედ შეხვდა თბილისის „ამერს" და ორი წაგებული ფინალის შემდეგ, როგორც იქნა, დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის" თასი ასწია.

ჩაწყობილი თამაში არაერთი ყოფილა საქართველოს ჩემპიონატსა თუ თასის გათამაშებაში, მაგრამ 2007/08 წლების სეზონში თავხედობის მასშტაბებმა თვით ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგაც შეაშფოთა. გაჩნდა მკვეთრი განცხადებები პრესაში, აქაოდა, როგორც ამ ორგანიზაციათა მესვეურები ირწმუნებოდნენ, დაუსჯელი არავის დარჩებაო. თითქოს პროკურატურასაც კი გადასცეს მასალები და გაჩნდა იმედი, რომ რაღაც მართლა მოხდებოდა, მაგრამ... არაფერიც არ მოხდა - მდიდარ თუ ღარიბ კლუბებს ყველაფერი ხახვივით შერჩათ.

ფედერაციაში ეს მაისში გამართული საპარლამენტო არჩევნებითაც ახსნეს. არჩევნებს მართლა მოჰყვა ცვლილებები აღმასრულებელ ხელისუფლებაში და სახელდობრ, სამართალდამცავ სტრუქტურებში, მაგრამ 2007/08 წლების სეზონში ჩაწყობილი თამაშებისთვის ჯერაც არავინ დაუსჯიათ. ეგ იყო, რომ პროფლიგის გადაწყვეტილებით, კლუბებს სხვა გუნდებში ორზე მეტი ფეხბურთელის განათხოვრება აეკრძალათ.

ამასობაში, ივანკოვიჩმა უარი თქვა საქართველოს ეროვნული ნაკრების გაწვრთნაზე. დროებით, გუნდი ახალგაზრდული ნაკრების ხორვატმა მწვრთნელმა ჩაიბარა. **პეტარ შეგრტის** ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი ითამაშა და ორივე სტუმრად - ესტონეთთან 1:1 და პორტუგალიასთან 0:2.




ნაკრების ფეხბურთელებმა შეგრტის ქება დაიწყეს, ხორვატმა ცოდნითა და მონდომებით გაგვაოცაო. ამას ამბობდნენ გამოცდილი მოთამაშეებიც. შეგრტისკენ იხრებოდა ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცის** სიმპათიაც. მზადდებოდა ნიადაგი საიმისოდ, რომ შეგრტი ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დარჩენილიყო.

პროფლიგამ სეზონის ნომინანტები დაასახელა. ჟურნალისტთა გამოკითხვით სეზონის საუკეთესო მწვრთნელი „ვიტ ჯორჯიის" დამრიგებელი **რამაზ მუმლაძე** გახდა, არადა, ჩემპიონობა „დინამოს"დარჩა, თასი კი „ზესტაფონს". ეს ფაქტი ძალიან მეტყველი იყო...

**შოთა არველაძემ** კი ფეხბურთის თამაშს თავის დაანება და გამოსამშვიდობებელი მატჩიც მოაწყო. ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრები და შოთას მეგობრები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. კარგი ზეიმი გამოვიდა, შოთამ კი მატჩის შემდეგ გემრიელად იტირა...

დაიწყო ევროტურნირები. ინტერტოტოს თასზე თბილისის „ლოკომოტივმა" ლუქსემბურგის მოყვარულთა გუნდ „ეტცელას" ვერ მოუგო და გავარდა. ქართულ ფეხბურთს მორიგი ალიყური უთავაზეს.

გადაწყდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 11 გუნდი ითამაშებს სამ წრედ.




ჟანყი „ამერში" - ფეხბურთელებს ხელფასი რამდენიმე თვით დაუგვიანეს და სავარჯიშოდ არ გავიდნენ. ამის საპასუხოდ კლუბმა თითქმის ყველა გამოცდილი მოთამაშე ტრანსფერზე დაა-



კლაუს ტოპმიოლერი

ეროვნული ბიბლიოთეკა


# წელიწადი და თორმეტი თვე

ყენა. ფეხბურთელთა უფლებების დამცველი არავინ გამოდგა. უცნაური იყო პროფლიგის პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილის** პოზიციაც, რომელმაც ცალსახად კლუბის ხელმძღვანელობას დაუჭირა მხარი. კონფლიქტი არ იყო ჩვეულებრივი - „ამერის" ზოგ ფეხბურთელს იქით მართებდა კლუბის პრეზიდენტ **ზურაბ ფოცხვერიას** ვალი. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ „ამერი" გამოცდილმა ფეხბურთელებმა დატოვეს, ხელმძღვანელობამ კი გადაწყვიტა, გუნდი პირველ ლიგაში გადაეყვანა.

თბილისის „დინამომ" ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპი გადალახა, თუმც ფარერების გუნდ „რუნავიკთან" სტუმრად 0:1 დამარცხდა. ეს ისტორიული გამარჯვება აღმოჩნდა „რუნავიკისთვის", რომელსაც მანამდე ევროსარბიელზე მოგება კი არა, ერთი ფრეც არ ჰქონდა ნათამაშები. ამ დროისთვის „დინამოს" უკვე გერმანელი სპეციალისტი **რაინერ ცობელი** წვრთნის, ვისაც 70-იანი წლების „ბაიერნთან" ერთად ჩემპიონთა თასი სამჯერ მოუგია.

თბილისში ჩამობრძანდა „ფრაიბურგის" ყოფილი თავკაცი **ფოლკერ ფინკე**, მოინახულა აქაური ინფრასტრუქტურა და ერთხელაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მუშაობის სურვილი გამოთქვა.

ახალკაცი კი შეგრტს ექაჩებოდა, თუმც ისევ ამოტივტივდა **ექტორ კუპერის** ვარიანტი და სახელისუფლებო წრეებშიც არგენტინელ მწვრთნელს დაუჭირეს მხარი. კუპერმა თანხმობა შემოთვალა და თავისი პირობაც წამოაყენა - თანაშემწეებს თავადვე შევარჩევ, ისინი ქართველები არ იქნებიანო...




ᲙᲣᲞᲔᲠᲗᲐᲜ ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა, საქართველო კი რუსეთთან ომის ქარ-ცეცხლში გაეხვია...

„შალკეს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში „ატლეტიკოსთან" ჰქონდა შეხლა. **ლევან კობიაშვილმა** ამ მატჩში თამაშზე უარი თქვა - „შალკეს" სპონსორი ხომ რუსული „გაზპრომია" და ასეთ დროს რუსულწარწერიანი მაისურით არ ვითამაშებო.

საქართველოს ნაკრებში კუპერის დებიუტი კი წარმატებული გამოდგა - ამხანაგურ შეხვედრაში უელსს სტუმრად 2:1 მოვუგეთ. არგენტინელმა შეგრტის მიერ გამოძახებული ფეხბურთელებით ათამაშა ჩვენი ნაკრები.

თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა „ანორთოსისმა" კი ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერძნულ „ოლიმპიაკოსს" მოუგრიხა კისერი და ლიგის ჯგუფურ რაუნდში შეგრიალდა - ეს იყო ფანტასტიკური შედეგი მცირებიუჯეტიანი და თანაც - კვიპროსული კლუბისთვის, ფანტასტიკურიც და უპრეცედენტოც.

**ლევან მჭედლიძე** სერია B-ში დაქვეითებული „ემპოლიდან" სერია A-ს „პალერმოში" გადავიდა, **მალხაზ ასათიანი** კი მოსკოვის „ლოკომოტივმა" კიევის „დინამოში" გაანათხოვრა.




ᲓᲐᲘᲬᲧᲝ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აგვისტოს ომის გამო, საქართველოს ნაკრებს შინ თამაშის ნება არ დართეს და ირლანდიას გერმანულ ქალაქ მაინცში ვუმასპინძლეთ. 1:2 დავმარცხდით, რამდენიმე დღეში კი ჩვენმა ნაკრებმა იტალიასთანაც წააგო - 0:2. კარგად გამოიკვეთა კუპერის ამოცანა - მან ჯერ გუნდი უნდა ჩამოაყალიბოს, შედეგზე ფიქრი ჯერ ადრეა. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ამ შესარჩევში პრემიალურები საერთოდ არ დაუწესეს.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსეთთან ნეიტრალურ მოედანზე (ბელარუსში) 0:4 წააგო, მერე იქვე პოლონეთთან შერცხვა (0:5), შეგრტს კი წყალი მაგრად შეუდგა - ჩვენმა 21-წლამდელებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს.

კუპერმა ხელები დაიკაპიწა და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატით ცხოვლად დაინტერესდა. სექტემბერში არგენტინელმა პირველი „სამშაბათობა" გამართა - ქართულ გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელებს უხმო და ტაქტიკური ვარჯიში ჩაუტარა.

დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი. პირველივე ტურში „დინამო" მოულოდნელად დამარცხდა (1:2) უმაღლესი ლიგის დებიუტანტ „გაგრასთან", თუმც მერე და მერე ცობელის გუნდმა თამაში გამოასწორა, „გაგრამ" კი ამის შემდეგ დიდად საინტერესო ვერაფერი შემოგვთავაზა.

თბილისში ჩამობრძანდა ფეხბურთის მეფეთ მეფე **დიეგო მარადონა**. ეს დაუჯერებელი ამბავი მილეთმა მხოლოდ მაშინ დაიჯერა, როცა მარადონამ თბილისის აეროპორტში დადგა ფეხი. არგენტინისა და საქართველოს ვეტერანთა მატჩზე ძალიან ცოტა მაყურებელი მოვიდა. მარადონა და მისი გუნდი სათამაშოდ არც გადიოდნენ - რაკი ხალხი არ მოვიდა, ჰონორარს ვერ გადაგვიხდიანო. საქმეში სახელმწიფო ჩაერთო. ამ თამაშის ჩაშლა უთუოდ შელახავდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტს, რუსებიც, ალბათ, მაგრად დაგვცინებდნენ (თუმც კბილი მაინც გაგვკრეს)...

არგენტინელებმა ფინანსური გარანტიები ჩვენი ხელისუფლებისგან მიიღეს - მარადონასა და მისი მეგობრების ფული ფეხბურთის ფედერაციამ გაისტუმრა... ეს კომერციული თამაში ძალიან ცუდად იყო ორგანიზებული, პროექტის ხელმძღვანელმა **ნიკო პატარქალიშვილმა** ვერ დამართა კარგი საქმე ქვეყანას, მიუხედავად იმისა, რომ მარადონა ჩამოგვიყვანა...




ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ნაკრების ორი საშინაო მატჩისთვის კუპერმა არ გამოიძახა **მალხაზ ასათიანი**. იტალიასთან მატჩის წინ ასათიანს კუპერისთვის უთქვამს - თუ სასტარტოში არ ვიქნები, მირჩევნია კლუბში დავბრუნდე და ჩემპიონთა ლიგისთვის კარგად მოვემზადოო. არგენტინელს ამაზე გული მოუვიდა და ეროვნული გუნდის მორიგ შეკრებაზე ასათიანს აღარ უხმო.

საქართველოს ნაკრებმა კვიპროსთან ცუდად ითამაშა (1:1), კობიაშვილის გოლით გადაურჩა წაგებას, **გიორგი** ლომაიამ კი პენალტი მოიგერია. სამ დღეში საქართველომ უკვე ბულგარეთი ისტუმრა და ბევრად უკეთაც ითამაშა, საგოლე მომენტიც არაერთი შექმნა, თუმცა ოდენ უგოლო ფრეს გამორჩა. ბულგარეთთან თამაშმა გაგვიჩინა იმედი, რომ კუპერი კარგად მუშაობს...

ბორჯომში, „მესხეთი"-"დინამოს" შეხვედრის დროს, მსაჯობით უკმაყოფილო ახალციხელთა პრეზიდენტი **გია** მესხელი რამდენჯერმე შეიჭრა მოედანზე.




ᲨᲔᲒᲠᲢᲘ ვერ ისვენებს, სურს, დარჩეს 21-წლამდელთა დამრიგებლად, მაგრამ მას უკვე ვერავინ მფარველობს - ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანი და ორი ვიცე-პრეზიდენტი მას მხარს არ უჭერენ.

ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი **გია გეგუჩაძე** გადაწყვეტილებას იღებს - შეიტყო რა, რომ ფედერაცია უფრო სხვა კანდიდატისკენ იხრება, „ზესტაფონში" **თემურ მახარაძის** შემცვლელად მიდის...

მანამდე კი საქართველოს ნაკრები ამხანაგურად (სტუმრად) გაეჯიბრა რუმინეთს და 1:2 დამარცხდა. ამ მატჩამდე კუპერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა - ნაკრებს ყველაზე მეტად დაცვაში უჭირსო. კუპერმა ისიც აღიარა, რომ საქართველოს ნაკრებს არ მოეპოვება ტიპური გარემარბები, მაგრამ... რუმინეთთანაც 4-3-3 განლაგება აირჩია.

„ბორჯომსა" და „მესხეთს" ფული გაუთავდათ, მაგრამ მაინც ჩაამთავრებენ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ნაწილს...




ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილება დაამტკიცა - გენმდივანი **რევაზ არველაძე** გახდა, ვინც მანამდე ვიცე-პრეზიდენტი იყო - მან თანამდებობა **უჩა უგულავასთან** გაცვალა. არველაძე რანგით მეორე კაცი გახდა ფედერაციაში და თუ ლოგიკასა და კულუარებს ვენდობით, ამაზე არ გაჩერდება...

აღმასკომზევე ახალგაზრდული ნაკრებიდან დაითხოვეს შეგრტი, რომელსაც **კახა ცხადაძე** შეცვლის. თუმც აღმასკომს ამაზე ბეჭედი ჯერ არ დაუსვამს.

სუპერთასი „დინამომ" მოიგო, „ზესტაფონი" შეხვედრის ბოლო წუთზე **ლევან ხმალაძის** გოლით დაამარცხა. ჩემპიონატის თავში კი „ვიტ ჯორჯია" გამყარდა.

ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდი გაორმაგდა - 400 000 ლარი გახდა. ამას გარდა, კლუბები სახელმწიფოსგანაც ელიან დამატებით საპრიზო ფონდს - 2 მილიონ ლარს.

ქეცბაიას „ანორთოსისმა" კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია. 1 მოგება, 3 ფრე და 2 წაგება - მონაგარი იქით იყოს და, მწვრთნელი ქეცბაია უკვე დიდი ფიგურა შეიქნა...

დავით **ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ**

ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურები



ექტორ რაულ კუპერი



პეტარ შეგრტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო

# კლიმიაშვილი დისკოთეკას ვერ იტანს



ბურთით ირაკლი კლიმიაშვილი

ირაკლი კლიმიაშვილმა სეზონი თავანეულმა დაასრულა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „ვიტ ჯორჯიის“ ნახევარმცველმა თავი ეროვნულ გუნდში ამოყო და თუ პროგრესს ამ ტემპით გააგრძელებს, მალე კუპერის თერთმეტეულში ალმოჩნდება. როდის იქნება ეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ აი, კლიმიაშვილი კინორეჟისორთა რჩეული კი უკვე გახდა...

მოკლედ, ირაკლიმ ახალ ამპლუაში მოსინჯა ბედი. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელ ბექა გოცირიძესთან ერთად, „ვიტ ჯორჯიის“ ნახევარმცველი საახალწლო ფილმში გადაიღეს. ფილმს ასე ჰქვია - „რაც ყველაზე მეტად გიყვარს“. მისი ერთ-ერთი ავტორი პოპულარული შონზოა (ზურაბ გაჩეჩილაძე). ის კლიმიაშვილის ნამუშევრით კმაყოფილი დარჩა და „რუსთავი 2“-ზეც გამოაცხადა - „კლიმომ“ დამაჯერა, ისე ლაღად და მაგრად ითამაშაო.

თავად ფეხბურთელი კი, როგორც ჩანს, მსახიობობით დიდად არ მოიხიბლა. ის ბუნებით მორცხვი და მოკრძალებულია...

**- ირაკლი, როგორ მოხვდი კინოში?**

- მსახიობი ნამდვილად არ გავმხდარვარ, ყველაფერი შემთხვევით მოხდა. ჩვენმა მეგობარმა ნიკა ქავთარაძემ მე და ბექა გოცირიძეს შემოგვთავაზა, ფილმში ხომ არ ითამაშებდითო?

**- აქაც ნაცნობობამ გაჭრა?**

- აბა, როგორ?! სხვანაირად ვერ გამოვიდოდა.

**- მერე, რა გამოვიდა, შენი აზრით?**

- ძალიან კარგი ფილმია, გირჩევთ, ნახვიდეთ და ნახოთ, „რუსთაველსა“ და „ამირანში“ უკვე გადის.

**- მსახიობობასთან ერთად სარეკლამო აგენტობასაც ითავსებ...**

- ვინც ფილმს ნახავს, მერე უჩემოდაც აღიარებს, რომ მართლა მაგარი ფილმია და კარგ საახალწლო განწყობასაც გიქმნის.

**- შენ და გოცირიძე რა როლს თამაშობთ?**

- პატარა ეპიზოდია, გოგონებს ვესაუბრებით და დისკოთეკაზე ვეპატიჟებით.

**- დისკოთეკაზე სიარული ისედაც გიყვარს?**

- არა, რა დისკოთეკა, ნამდვილად არ მიზიდავს. გადაღება „ნაით ოფისში“ იყო, სადაც პირველად ვიყავი.

**- მსახიობობა ფეხბურთელობასავით რთულია?**

- ყველა პროფესია რთულია, მაგრამ მე ფეხბურთი მირჩევნია.

**- კლუბსა და ნაკრებში ვარჯიშისა თუ თამაშების გადამკიდე გადაღებები დროს არ გართმევდა?**

- დიდი დრო არც დამჭირვებია, თანაც ეპიზოდურ როლში ვართ. ყველაფერი სწრაფად მოხდა.

**- ბავშვობაში სასკოლო სპექტაკლებში არ მონაწილეობდი?**

- არა, ძალიან არ მიყვარდა ასეთი რამ და არც სპექტაკლებში ვმონაწილეობდი. სიმართლე გითხრათ, არც ამ ფილმის გადაღებებზე მსურდა მისვლა, მსახიობი არ ვარ და ფეხს ამიტომ ვითრევდი. საბოლოოდ, მაინც წავედი და მგონი, ფილმი მართლა კარგი გამოვიდა.

# როგორ გადაურჩა გოცირიძე კუპერის სასჯელს...

## ვინ არის გოჭების რისხვა და გოგონების გადამგდები ბექჰემი-23?

**ბექა გოცირიძე მალე საახალწლო სუფრას მიუჯდება და ყველა სანატრელ სურვილს ჩაიფიქრებს. საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ზესტაფონის“ თავდამსხმელი მოსიარულე კურიოზია. მაგრამ, სანამ საახალწლოდ მოვითელებით, მანამდე გავიგოთ, რა მდგომარეობაშია ამჟამად გოცირიძე, რომელიც ბულგარეთთან მატჩში მიღებულმა ტრავმამ კარგა ხნით დაასვენა...**



- საშიში უკვე აღარაფერია. 21 დეკემბერს ზესტაფონში ჩავედი და გია გეგუჩაძემ ინდივიდუალური სავარჯიშო გეგმა შემიდგინა. მოკლედ, ახალ წელს ჯანმრთელი ვხვდები.

**- ფილმში მონაწილეობა საინტერესო აღმოჩნდა?**

- კი, საკმაოდ, ახალგაზრდული ფილმია და გადაღებებზეც ვისიამოვნე. ძალიან თბილად მიგვიღეს, ერთ-ერთი სერიალის გმირი „მყუდრო“ „ზესტაფონის“ ყოფილი მეკარის, გიორგი ცინაძის ძმაა, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია... მე და კლიმიაშვილს პატარა როლი გვაქვს. „სკაიპიში“ გოგონებს გავიცნობთ, სადაც ჩემი მეტსახელია „ბექჰემი 23“ და გოგონებს პაემანს ვუნიშნავთ... ჰოდა, მაგარი მახინჯები გვხვდებიან. მე და „კლიმო“ ერთმანეთს გადავულაპარაკებთ, ეტყობა, სხვისი სურათებით გაგვეცნენ. ირაკლი მეუბნება - კალაძის „ტუსოვკაზე“ წავიდეთო და თავის დაძვრენას ვცდილობთ, ვეუბნებით - გვეჩქარება, კუპერის ვარჯიშზე გვაგვიანდება-თქო. ახალ წელს ვარჯიში ხომ მაგარი მოვიფიქრეთ? ისე, კუპერის ვარჯიშზე ერთხელ მართლა დავაგვიანეთ. ეს რუმინეთში გამგზავრებამდე მოხდა. მეგონა, ვარჯიშზე ექვს საათზე მივდიოდით და მე, უჩა ლობჟანიძესა და რატი ალექსიძეს ოთახში დრო გაგვყავდა. ამ დროს, ანზორ გაბიტაშვილმა დამირეკა - სად ხარ აქამდე, ყველანი ავტობუსში ვსხედვართ და გელოდებითო. დამარტყა თავში... ვიფიქრე, კუპერი უეჭველად დამსჯის-მეთქი და ისე მოვკურცხლე, მგონი, ასე სწრაფად ბენ ჯონსონსაც არ ურბენია.

**- კუპერი მართლა მკაცრია?**

- მკაცრია და ვარჯიშზე დაგვიანებას არავის აპატიებს, მაგრამ მე როგორღაც გადავრჩი. იმ დღეს პრესკონფერენცია დანიშნა და სტადიონზე ადრე გაემგზავრა.

**- როგორ დაგსჯიდა?**

- უფრო ზედმეტს გვარბენინებდა, სამიდან ხუთ წრემდე. ზედმეტი სირბილი და, მით უფრო დასჯილის რანგში, არავის გვიყვარს.

**- ფილმს დავუბრუნდეთ. როლისთვის ჰონორარი აიღე?**

- დამცინი? ნიკა ქავთარაძემ გადაღება რომ შემომთავაზა, ისე გამიხარდა, ჩემთვის ფილმში მონაწილეობაც პრემია იყო.

**- ახალ წელს სად შეხვდები?**

- ოჯახში მიყვარს აღნიშვნა. მერე მეგობრები სულ ჩემთან მოდიან, ეს უკვე დიდი ხანია, ტრადიციად გვექცა.

**- ამ დროს თავს ერთი ჭიქის დალევის უფლებას აძლევ?**

- ახალ წელს შეიძლება, მაგრამ საერთოდ, არც მიყვარს, მამძიმებს და ვერიდები. სამაგიეროდ, მამაჩემია მაგარი თამადა (იცინის). რაც სპორტს შეეშვა, მას მერე ეს საქმე დიდებულად გამოსდის. სმის რა გითხრათ და, გოჭის ხორცი ძალიან მიყვარს. ერთხელ, საახალწლო სუფრაზე ლამის მთელი გოჭი შევჭამე. მერე, მთელი ღამე გოჭები მესიზმრებოდა.

**- გაიხსენე ბავშვობა. ახალ წელს ყველაზე მეტად რაზე ოცნებობდი?**

- განსაკუთრებით არაფერზე. მეგონა, თოვლის ბაბუა მოვიდოდა, მომიტანდა სათამაშოებს, მანქანებს და, რა თქმა უნდა, ბურთს. ფეხბურთი ისე მიყვარდა, ბურთთან ერთად მეძინა. თუმცა სად იყო სათამაშოები და თოვლის ბაბუა?! დაახლოებით 10 წლისა მივხვდი, რომ რაღაცაში იყო საქმე, თოვლის ბაბუას ტყუილად ველოდებოდი და გული მაგრად დამწყდა...

**- ახალ წელს საკუთარ თავს რას უსურვებდი?**

- ბედნიერებას, კარგ ტრანსფერს... ცხადია, მშვიდობასა და ბედნიერებას ჩემთვის და მთელი ქვეყნისთვის... ამაზე კარგს ვერაფერს ვისურვებ, მით უფრო, დღევანდელ დაძაბულ ვითარებაში. საქართველოს მშვიდობა და წყნარი ცხოვრება სჭირდება. კიდევ, ჩვენი ნაკრების წარმატებას ვისურვებდი, რაც მთელ ქვეყანას გაახარებდა...

დინამო

# ორი კაპიტანი უკვე წავიდა, ელიავაც...

თბილისის „დინამო“ ორმა კაპიტანმა დატოვა - **შოთა კაშიამ**, რომელიც 2007 წლამდე მოედანზე სამკლავურით გამოდიოდა და **დავით ოდიკაძე**, რომელიც ბოლო დროს, **დავით დიღმელაშვილის** შემდეგ დაამტკიცეს ამ „როლზე“.

ოდიკაძის ამბავი გუშინდელ „ლელოში“ გაუწყეთ. შოთა კაშიას წასვლა კი ჩვენთვის გუშინ გახდა ცნობილი. ფეხბურთელმა ინფორმაცია თავად დაგვიდასტურა.

*„თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა და ახალი აღარ გამიფორმებია, წამოსვლა გადავწყვიტე, დღეს დილმის ბაზაზე ვიყავი და გათავისუფლების ცნობა ავიღე“* - გაგვიმხილა კაშიამ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მოთამაშეს „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტი კი შესთავაზა, მაგრამ შოთას არ დაუმალავს, რომ პირობებით არ მოიხიბლა:

*„ახალი კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ პირობები მე არ მომეწონა და ჩემი მოთხოვნები გავაცანი. ეს კი „დინამოსთვის“ აღმოჩნდა მიუღებელი, გათავისუფლების ფურცელი უპრობლემოდ მომცეს და გაუმჯობესებულ პირობებზე უარი მითხრეს. მეც ბევრი არ მილაპარაკია. სიმართლე გითხრათ, გული მწყდება, „დინამოში“ დიდხანს ვთამაშობდი და ასე იოლი არ არის დამშვიდობება“.*

კაშიამ საქართველოს ჩემპიონი კი მიატოვა, მაგრამ ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას: *„კონკრეტული წინადადება არც ერთი კლუბისგან არ მიმიღია. თუმცა იმედი მაინც გამიჩნდა, რომ კარიერას რუსეთში გავაგრძელებ“.*

თბილისის „დინამოსთან“ არენდის ვადა დაუსრულდა **ზაალ ელიავას**, რომელიც რიგის „სკონტოს“ საკუთრებაა, მაგრამ ლატვიურ კლუბში დაბრუნებას გამორიცხავს და ამბობს: *„იანვარში აბსოლუტურად ყველაფერი უნდა გაირკვეს, მათ შორის, „სკონტოსთან“ ჩემი ურთიერთობაც. იმედი მაქვს, ახლა მაინც მოვახერხებ გაცილებით ძლიერ კლუბში გადასვლას“.*

„დინამოსთან“ კონტრაქტი დაუსრულდა **ლექსო ინწკირველსაც**, თუმცა მისი მდგომარეობა ოდნავ განსხვავებულია: *„მე კონტრაქტი სხვა სისტემით გავაფორმე. ხელშეკრულების პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ, ხელახლა უნდა დაგველაპარაკა და ასეც ვაპირებ. თუკი მოვილაპარაკებთ, „დინამოში“ დავრჩები“* - გვითხრა ინწკირველმა.



ოლიმპი

# გაურკვევლობა: რა იქნება ბიუჯეტში?

რუსთავის „ოლიმპის“ ხელმძღვანელობა და მოთამაშეები 2009 წელს გაურკვეველ მდგომარეობაში ხვდებიან - ჯერ კიდევ უცნობია, რა ბიუჯეტი ექნება გუნდს მეორე წრეში. რუსთაველებმა საშემოდგომო ეტაპი მშვენივრად დაასრულეს. რა იქნება არდადეგების შემდეგ? როგორ შეიცვლება გუნდი? ვინ წავა და ვინ მოვა? ამ საჭირბოროტო საკითხებზე გუშინ გამართულ კრებაზე უნდა ყოფილიყო მსჯელობა. „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელ **ვარლამ კილასონიას** სწორედ ამის გასარკვევად დავუკავშირდით:

*„კრება ჩატარდა და ფეხბურთელები შვებულებაში გავუშვით. 5 იანვრიდან ბიჭები ინდივიდუალურად ივარჯიშებენ, რათა ფორმა აღიდგინონ, 10 იანვარს კი შეკრებას ვიწყებთ. თუმცა ჯერ არ ვიცით, სად ჩავატარებთ შეკრებას. ახალი წლის პირველივე დღეებში გადაწყდება, როგორი იქნება „ოლიმპის“ ბიუჯეტი. ამაზეა დამოკიდებული, სად მოვემზადებით, რა შემადგენლობა გვეყოლება და ასე შემდეგ. ჯერ არ ვიცით, დაგეგმილი ბიუჯეტი გვექნება თუ ოდნავ ნაკლები. ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო, მეტალურგიულ წარმოებას ყველგან სერიოზული პრობლემა შეექმნა. გამონაკლისი არც რუსთავის კომბინატია. სწორედ ამის გამო, ჯერ არ შემიძლია გითხრათ, ვის დავტოვებთ და ვის გავუშვებთ. „ოლიმპის“ სათადარიგოთა სკამი ისედაც საკმაოდ მოკლეა და ამიტომ, ხალხის გაშვება გაუმართლებელი იქნება“* - გვითხრა რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა.

გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, „ოლიმპის“ ხელმძღვანელობა რამდენიმე მოთამაშით უკმაყოფილო იყო და მათ გაშვებას აპირებს. კილასონიამ უკვე აღნიშნა, რომ გუნდის სკამი მოკლეა და ამის მაგალითად მოიყვანა რამდენიმე ფაქტი, როცა გუნდს 18-კაციანი განაცხადის შევსებაც კი უჭირდა, ტრავმების შემთხვევაში კი სერიოზული საკადრო დეფიციტი იქმნება. თუმცა კილასონია იქვე დასძენს, რომ „ოლიმპის“ არც ერთ ფეხბურთელს ხელფასი და პრემია დაგვიანებით არ აუღია.

რუსთაველები განათხოვრებული ფეხბურთელების დაბრუნებასაც აპირებენ: *„იჯარით წასულ სამივე ფეხბურთელს უკან მოვუხმობთ - გიორგი რეხვიაშვილსა და გიორგი მიქაბერიძეს ზუგდიდის „მგლებიდან“, გელა ხუბუას კი ბოლნისის „სიონიდან“. ზუგდიდში განათხოვრებულთა ხშირად ნახვის საშუალება არ მქონდა, მაგრამ ვიცი, რომ მათ თამაშს მოუმატეს. თუმცა დაბრუნების შემდეგ მოხვდებიან თუ არა ძირითად შემადგენლობაში, ეს თავად მათზეა დამოკიდებული. ჩვენთან დაიწყებენ ვარჯიშს და მერე ვნახოთ, როგორ გამოიჩენენ თავს“* - ასე ამთავრებს „ლელოსთან“ საუბარს რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# ჯერარდს ბრალი წაუყენეს

## ლივერპულის კაპიტანს დაპატიმრება ემუქრება, ჯოი ბარტონმა ანალოგიური დანაშაულისათვის სულ ახლახან ექვსი თვე ციხეში გაატარა

გუშინ სტივ **ჯერარდს** ბრალდება წაუყენეს. „ლივერპულის" კაპიტანი ღამის კლუბში, 34 წლის მამაკაცზე თავდასხმაშია ეჭვმიტანილი. 28 წლის ვარსკვლავი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, მაგრამ თუ ბრალდება დაუმტკიცდება, თეორიულად ხუთწლიანი პატიმრობა ელის.

„ლივერპულის" ხელმძღვანელობამ სტივის გარშემო ატეხილ სკანდალზე პირველი კომენტარი გააკეთა. კლუბი ფეხბურთელს სრულ მორალურ მხარდაჭერას უცხადებს. პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: *„მრავალი წელია, სტივ ჯერარდი „ლივერპულის" ერთგულად ემსახურება. ამ მძიმე წუთებში კლუბი მის გვერდით დგას და ყველა საჭირო დახმარების აღმოჩენას ჰპირდება."*

მერსისაიდელთა თავკაცი **რაფა ბენიტესი** ჯერარდის ამბავს საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა: *„სტივი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავია. მან ჩვენს კლუბში 10 შთამბეჭდავი სეზონი გაატარა და 109 გოლი შეაგდო, რაც ნახევარმცველისათვის დიდებული შედეგია. ის თანაგუნდელებისათვის მისაბაძი მაგალითია. სტივი მინდორზე თავდაუზოგავი მოთამაშეა. ის გუნდის ნამდვილი ლიდერი და კაპიტანია."*

როგორც აღვნიშნეთ, ჯერარდს პატიმრობა ემუქრება. 1984 წელს ბრიტანეთის პოლიციამ 12-კვირით დააპატიმრა „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდა **ჯორჯ ბესტი**. მას ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვისა და პოლიციელის შეურაცხყოფისათვის აგებინეს პასუხი. სულ ახლახან ციხიდან გამოვიდა კიდევ ერთი ცნობილი ფეხბურთელი **ჯოი ბარტონი**. სხვათა შორის, „ნიუკასლის" ნახევარმცველი ზუსტად იმ მუხლით გაასამართლეს, რომელიც ჯერარდს აქვს მიყენებული და ექვსი თვე აყურყუტეს ციხეში.

ჯერარდი ხულიგანი არ არის. ის მსგავს შარში არასოდეს გახვეულა. ამიტომაა, რომ ბრიტანელი მიმომხილველები გაოცებას ვერ მალავენ მომხდარის გამო. წინასაახალწლო დღეებში ტაბლოიდები სტივის ფოტოებს პირველ გვერდებზე ბეჭდავენ.

"სანის" ცნობით, სტივს ინგლისს ნაკრების თავკაცი **ფაბიო კაპელო** დაუკავშირდა და მხარდაჭერა გამოუცხადა. მას ეროვნული გუნდიდან მოკვეთა არ ემუქრება. „დეილი ტელეგრაფი" ვარაუდობს, რომ ჯერარდს არც „ლივერპულის" დასჯის და არც ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია. მთავარია, მან პოლიციის მარწუხებს დააღწიოს თავი.

ჯერარდს ნაკრებში 70 მატჩი აქვს ჩატარებული. სამი წლის წინ, როდესაც „ლივერპული" ჩემპიონთა თასს დაეუფლა, დედოფალმა ელიზაბეტმა ის ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვა. შარშან სტივმა მერსისაიდელებთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის „ენფილდზე" 2011 წლამდე დარჩება.



სტივ ჯერარდი

არსენალი

# ადამსი: დაიპყარით ფანების გულები

## ადებაიორი ტოგოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა

„არსენალის" ლეგენდამ, ახლა კი „პორტსმუთის" დამრიგებელმა **ტონი ადამსმა** „მეთოფეთა" ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება გადაწყვიტა. ადამსმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ „არსენალისა" და „პორტსმუთის" მატჩისას (1:0) **ემანუელ ებუე** და **ემანუელ ადებაიორი** გულშემატკივრებმა სერიოზული წნეხის ქვეშ მოაქციეს. *„გუშინდელ დღესავით მახსოვს, როცა „ჰაიბერიზე" გამოვდიოდით, ჩრდილოეთი ტრიბუნა ცალკეულ მოთამაშეებს უმღეროდა. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და ყურში ჩამესმოდა სიმღერები ჩარლი ნიკოლასსა და დევიდ ოლირიზე. ვფიქრობდი, ნეტავ, როდის დადგება ჩემი დრო. ჩემი დრო გვიან დადგა, იმიტომ, რომ რიგში პატ ჯენინგსი იყო, მერე ვიღაც სხვა. მე კი ჯერ ვიღაც ლაწირაკი ვიყავი. დაიხსომეთ, მინდორზე როცა ხართ, უნდა ითამაშოთ, იბრძოლოთ, საკუთარი თავი შესწიროთ... სხვანაირად არაფერი გამოვა. თუ ასე მოიქცევით, აუცილებლად გაღიარებენ. თქვენი სიმღერა ჯერ მეშვიდე იქნება, მერე მეექვსე და ბოლოს იმასაც მიაღწევთ, რომ ტრიბუნა ფეხზე დაგიდგებათ და პირველს თქვენს სიმღერას დააგუგუნებენ. მიდით, დაიპყარით გულშემატკივართა გულები"...*

„არსენალზე" საუბარს სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. **არსენ ვენგერი** შემოქმედებითი ტიპის ნახევარმცველს ეძებს. ფრანგ მწვრთნელს საკადრო პრობლემებმა ახალი ფეხბურთელების ძიებისკენ უბიძგა. ჯერ კიდევ შემოდგომის მიწურულს ვენგერი აცხადებდა, რომ ის არ აპირებდა იანვარში ფულის დახარჯვას, მაგრამ **ფაბრეგასისა** და **უოლკოტის** ტრავმამ, პლუს **როსიცკის** დაბრუნების კიდევ დიდი ხნით გადავადებამ, სხვა გამოსავალი აღარ დაუტოვა. *„სატრანსფერო ფანჯარა ოთხშაბათს იხსნება და გაფაციცებით შევუდგებით ახალი ფეხბურთელების ძებნას. მოლაპარაკებები ჯერ არ დაგვიწყია. ჩვენს შემადგენლობაში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია. ამიტომ, ისეთ მოთამაშეს შევიძენთ, ვინც უკვე მზად იქნება ძირითადში მოსახვედრად. არ გამოვრიცხავ, ასეთი ფეხბურთელი იჯარითაც გადმოვიყვანოთ. სახელების დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ, მაინც არაფერს გეტყვით"*, - განუცხადა „მეთოფეთა" დამრიგებელმა „სქაი სპორტსს".

**მანუელ ალმუნიას** თქმით, მიუხედავად იმისა, რომ **ვილიამ გალასი** გუნდის კაპიტანი აღარ არის, ის მაინც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. *„ვილიამი ნამდვილი პროფესიონალია. როცა ის ჩვენი კაპიტანი იყო, გუნდისთვის ბოლომდე იხარჯებოდა. ასეა ახლაც. მას გამარჯვებულის აურა აქვს. გალასის პრობლემებს ყველა განვიცდით. დამიჯერეთ, მთელი გუნდი მის მხარეზეა. ის ისევ ჩვენს ლიდერად რჩება"*, - განუცხადა სააგენტო AP-ის ესპანელმა.

სასიხარულო ინფორმაციას მივაწვდით „არსენალის" გულშემატკივრებს: მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩში „ემირიტსზე" შეკრებილი პუბლიკა ადებაიორს საშინლად გაუწყრა, ის მაინც გულშემატკივართა მთავარ იმედად რჩება. ვარსკვლავი ტოგოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ გეტყვით, რომ ემანუელმა ეს პრიზი ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა. შეგახსენებთ იმასაც, რომ „არსენალის" შეტევების ლიდერი აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზისთვისაც იბრძვის.



ემირიტს სთედიუმი ტონი ადამსს ოვაციებით შეხვდა



რომან აბრამოვიჩი

ჩელსი

# აბრამოვიჩის რთული არჩევანი

## ტაბლოიდების მტკიცებით, რუსი მილიარდერი კლუბს ყიდის, მისი ემისრები კი კიდევ ერთხელ შეეხმიანნენ რობერტო მანჩინის

**რომან აბრამოვიჩი** მძიმე დღეშია. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია: ფინანსური კრიზისის გამო მისი კაპიტალი ყოველდღიურად მცირდება. gazeta.ru-ს ინფორმაციით, ოლიგარქის ქონება 10 მილიარდი ევროთი შეთხელდა. კულუარებში ამბობენ, რომ საახალწლოდ კოლორადოს შტატში მას გრანდიოზული სადღესასწაულო ღონისძიება ჰქონდა დაგეგმილი. ღონისძიება აღარ შედგება. რუს მილირდერს უარის თქმა ფინანსური პრობლემების გამო მოუხდა. მას ორი არჩევანი აქვს: გაყიდოს „ჩელსი" და ამით საკლუბო ხარჯები თავიდან აიცილოს, ან გაყიდოს სუპერთანამედროვე იახტა „პელორუსი" (იახტის სიგრძე 115 მეტრია, მას აქვს ვერტმფრენის ორი მოედანი და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ზეთანამედროვე სისტემა), რომელიც 200 მილიონ გირვანქაზე მეტი ღირს.

რა თქმა უნდა, პირველი ვარიანტი ბევრად მომგებიანია. მას ყოველი ცენტი, რომელიც ლონდონურ კლუბში აქვს დახარჯული, ფინანსურ დოკუმენტაციაში გატარებული აქვს როგორც „ჩელსის" ინტერესებისთვის გაცემული უპროცენტო კრედიტი და არა გრანტი. შესაბამისად, თუ რომან არკადიჩი „არისტოკრატების" თავიდან მოშორებას განიზრახავს, „ჩელსი", არც მეტი, არც ნაკლები, გაკოტრდება. რა თქმა უნდა, საფეხბურთო კლუბი ვერასოდეს გადაიხდის 700 მილიონ გირვანქას, რომელიც აბრამოვიჩს „არისტოკრატების" საკეთილდღეოდ ხუთი წლის განმავლობაში აქვს დახარჯული.

გარწმუნებთ, ხმები აბრამოვიჩის მოსალოდნელი აბარგების შესახებ, ყურით მოთრეული არ არის. ინფორმაციას ადასტურებს მსოფლიოში სახელგანთქმული შვეიცარიელი ფინანსისტი, „ლევერკუზენის" ყოფილი გენერალური მენეჯერი **ილია კენციგი**. *„ნოემბრიდან ვიცი, რომ აბრამოვიჩი „ჩელსის" გაყიდვას აპირებს. ახლა ის მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ შესაბამისი მყიდველი მონახოს"*, - განაცხადა ყოფილმა საფეხბურთო ფუნქციონერმა.

ლონდონურ გრანდში მიმდინარე პროცესებზე ბრიტანული პრესა გაკვრით წერდა ხოლმე, რადგან ელემენტარულად სანდო წყაროს ვერ პოულობდა. ახლა კი ირკვევა, რომ საკლუბო სისტემიდან 15 სელექციონერის დათხოვნის გარდა, არკადიჩმა ფულის დაზოგვის სხვა გზებსაც მიმართა. მაგალითად: ფეხბურთელების გარდა, კლუბის ბაზაზე სადილობა ყველასთვის ფასიანი გახდა. შემოდგომის მიწურულს კლუბის ყოველ დეპარტამენტში სრული აუდიტორული შემოწმება ჩატარდა, რათა დადგენილიყო, რამდენად ყაირათიანად იხარჯებოდა გამოყოფილი თანხები. შედეგად, კლუბს უარი ეთქვა რამდენიმე სერიოზულ პროექტზე, მაგალითად სამედიცინო ცენტრის განახლებაზე, ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ამ ყველაფერს დაემატა ის, რომ ვერ მოხერხდა ყველა პრესტიჟული ლოჟის გაქირავება, ჩემპიონთა ლიგის თამაშებზე შეინიშნებოდა გულშემატკივართა ხალვათობაც. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** კარგა ხანია აცნობეს, რომ თუ იანვარში ახალი ფეხბურთელების შეძენა სურს, რომელიმე თავისი მოთამაშის გასხვისებაზე უნდა იზრუნოს. სწორედ ამის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ „არისტოკრატებმა" მიუნხენის „ბაიერნს" **ფლორან მალუდა** შესთავაზეს.

„ფულჰემთან" ფრეს შემდეგ სკოლარის წყალი შეუდგაო, გვამცნობენ სპორტული გამოცემები. ხმებს ადასტურებს „კორიერე დელა სერა". იტალიური ტაბლოიდი ამტკიცებს, რომ გუშინწინ, აბრამოვიჩის წარმომადგენლები **რობერტო მანჩინის** დაუკავშირდნენ.

ამასობაში, თავად „არისტოკრატთა" რიგებში შესანიშნავი განწყობაა. ფეხბურთელებს საბრძოლო სულისკვეთება არ აკლიათ. ასე მაგალითად, გუნდის დროებითი კაპიტანი **ფრენკ ლემპარდი** აცხადებს, რომ ჩემპიონის ბედი მხოლოდ ბოლო ტურებში გაირკვევა და ადრიანად ზეიმს არავის ურჩევს. *„საჩემპიონო რბოლა მხოლოდ ახლა იწყება. მის დასრულებამდე დიდი დროა. ბრძოლები წინ გვაქვს. შემდეგ ტურში „ოლდ ტრეფორდზე" უნდა ვითამაშოთ. ვერაფერს იტყვი, რთული დაპირისპირება იქნება, მაგრამ მინდორზე ჩვენ მხოლოდ მოსაგებად გავალთ. ისეთ გუნდებთან, როგორებიც „ფულჰემი" და „ევერტონი" არიან, სხვა დროს აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. არის მედლის მეორე მხარეც - რთული მდგომარეობა ჩვენში განსაკუთრებულ მოტივაციას ბადებს"*, - განუცხადა ფეხბურთელმა კლუბის ოფიციალურ საიტს.

**დიდიე დროგბა** აღიარებს, რომ ზაფხულში სერიოზულ დეპრესიაში გახლდათ და ფეხბურთზე კინაღამ გული აიცრუა: *„ზაფხულზე რაღაც მომენტში ვიგრძენი, რომ ფეხბურთის მიმართ ინტერესი გამინელდა. ჩემში თითქოს ნელ-ნელა ქრებოდა ცეცხლი. აღარ მინდოდა საფეხბურთო მიზნებსა და ამბიციებზე ერთი სიტყვის გაგონებაც კი. თავს სრულიად გამოფიტულად მივიჩნევდი. პირველად კარიერაში აშკარად ვიგრძენი, რომ ჩემში ფეხბურთისადმი ინტერესი კვდებოდა. შარშანდელი სეზონის დასრულებამდე ვფიქრობდი, რომ საბოლოოდ ყველა ფრონტზე გამარჯვებული დავრჩებოდით. მეგონა, რომ კარიერის საუკეთესო პერიოდი მედგა. მერე ისე მოხდა, რომ ერთი ჩვეულებრივი, რიგითი სეზონი შეგვრჩა ხელთ, რომელმაც გულისტკივილი უფრო დაგვიტოვა, ვიდრე სიხარული...*

*ზაფხულის განწყობა დღემდე მომდევს. მერე რა, რომ უკვე ოთხი წელიწადია, აქ ვარ? ეს არ მაძლევს უფლებას, ძირითადში ადგილი მოვითხოვო. გუნდში არის ისეთი ფეხბურთელი, ვისაც გოლები რეგულარულად გააქვს. ასე რომ, მოთმინება მმართებს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ნიკოლა ანელკას გადმოსვლას მხოლოდ მივესალმებოდი. ამას ახლაც ვადასტურებ. ოღონდ ერთადერთ რამეს ვერ ვიგებ: რატომ არ შეიძლება ორივემ ერთად ვითამაშოთ?"*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლუკა ტონი

# ახალ წელს გერმანია მოსაწყენია

## ლუკა ლიგას უმიზნებს

**„გაძეტა დელო სპორტის“ საახალწლო ნომერში ლუკა ტონის მეტად საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა. მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდი უქმეებს სამშობლოში ატარებს და დღესასწაულებს სახლში აღნიშნავს. იტალიის ყველაზე ავტორიტეტულ სპორტულ გაზეთს ლუკა რედაქციაში ეწვია. თუ რაზე ისაუბრეს ფეხბურთელმა და ჟურნალისტმა, ამას ქვემოთ გაეცნობით.**

**- როგორ ხვდებიან ახალ წელს გერმანიაში?**

- ძირითადად ქუჩაში, შამპანურის ჭიქით ხელში. გერმანიაში ახალ წელს გაცილებით მშვიდად ხვდებიან, ვიდრე იტალიაში. ხალხი ქუჩებში სეირნობს, ერთმანეთს ულოცავენ, შემდეგ კი სახლებში მიდიან და მალევე იძინებენ. ჩემთვის ეს სიურპრიზი იყო, რადგან იტალიაში ახალ წელს სულ სხვაგვარად აღვნიშნავთ. 2008 წელს სწორედ გერმანიაში შევხვდი, გამოგიტყდებით და ცოტა მოვიწყინე, რადგან ღამის 3 საათზე ქალაქს უკვე ეძინა. იტალიაში დროის ტარება, როგორც წესი, დილამდე გრძელდება. გადავწყვიტე, 2009 წელს სამშობლოში შევხდე.

**- კი, მაგრამ მიუნხენში ხომ ძალიან ბევრი იტალიელი ცხოვრობს.**

- დიახ, ძალიან ბევრი, თუმცა ახალი წლის შეხვედრა მაინც სამშობლოში მირჩევნია. ისე არ ჩათვალოთ, თითქოს გერმანიაში თავს არაკომფორტულად ვგრძნობდე, პირიქით, არაერთხელ მითქვამს, რომ მიუნხენში ცხოვრება ძალიან მსიამოვნებს და იქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. მიუნხენი ძალიან ლამაზი ქალაქია, განსხვავდება სხვა გერმანული ქალაქებისგან.

**- კარიერას „ბაიერნში“ დაასრულებთ?**

- „ბაიერნში“ თამაში კიდევ დიდხანს მსურს, მაგრამ კარიერას ალბათ რომელიმე იტალიურ გუნდში დავასრულებ. ძალიან მინდა, ეს გუნდი „ფიორენტინა“ იყოს, რადგან ფლორენციაში საუკეთესო წლები გავატარე. ამ კლუბმა ძალიან ბევრი მომცა და მინდა მომავალში კიდევ ვემსახურო. ამის შესახებ ადრეც განვაცხადე და ახლაც განვმეორდები. თუმცა იქამდე „ბაიერნთან“ ერთად არაერთი ტიტული უნდა მოვიგო და ტიტულების კოლექცია გავიმდიდრო.

**- ალბათ, ყველაზე მეტად ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობთ.**

- ლიგის მოგება ნებისმიერი ფეხბურთელის სურვილია, მათ შორის ჩემიც. იყო დრო, როდესაც ამაზე არც კი ვოცნებობდი, მაგრამ დრომ მაჩვენა, რომ თუ მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ. ვერასდროს წარმოვიდგენდი თუ ოდესმე მსოფლიოს ჩემპიონი გავხდებოდი. ამაზე დიდი ჯილდო ნამდვილად არაფერია და ბუნებრივია, ლიგის მოგების იმედიც მაქვს.

**- რამდენად მზად არის „ბაიერნი“ ასეთ სიმაღლეზე ასახტომად?**

- ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, რომელსაც უმაღლესი მიზნების მიღწევა შეუძლია. იურგენ კლინსმანი ძალიან საინტერესო სპეციალისტია, ყველასგან განსხვავებული, ვისთანაც კი ოდესმე მიმუშავია. სპეციფიკური ვარჯიშები აქვს, რომლის მსგავსსაც ვერსად ნახავ. როგორც მითხრეს, ასეთი მეთოდებით ამერიკული ფეხბურთის გუნდებს წვრთნიან და იურგენმაც ეს ყველაფერი იანკების ქვეყანაში ისწავლა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ურიგო გუნდი არ გააკეთა, რომელსაც ნამდვილად ძალუძს ლიგის მოგება.

**- გერმანიაში ისევ არ ჭამენ პიცას?**

- არ ვიცი, მგონი ჭამენ, რადგან მიუნხენში არც ერთი პიცერია არ დახურულა. მასიმო ოდოსთან ერთად ხშირად დავდივარ იტალიურ რესტორნებში და იქ გერმანელების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან. ეტყობა, იტალიური სამზარეულო ზედმეტად გემრიელია, რომ მასზე უარი თქვა.

**- თქვენ თუ მოგწონთ გერმანული სამზარეულო?**

- ძალიან გემრიელი კერძები აქვთ, თუმცა მე მაინც იტალიური მირჩევნია. ჩვენი სამზარეული შედარებით მსუბუქია, კერძებში ბევრი ცხიმი არ არის, რაც ფორმის შენარჩუნებას უწყობს ხელს. გერმანელები კი ხორცს და ცხიმიან საჭმელებს ანიჭებენ უპირატესობას. როგორც ჩანს, ყველაფერი შეჩვევაზეა, მე რომ ყოველ დღე ის ვჭამო, რასაც ნებისმიერი ჩემი გერმანელი თანაგუნდელი მიირთმევს, ალბათ ერთ თვეში ათ კილოგრამს მაინც მოვიმატებ.

**- დავუბრუნდეთ ფეხბურთს, 2009 წელს იტალიის ნაკრები ბრაზილიას მინიმუმ ორჯერ შეხვდება.**

- საფეხბურთო სპექტაკლები, რომელშიც იმედია მე ჩემი როლი მექნება. ბრაზილია - იტალია, ეს ისეთი დაპირისპირებაა, რომელსაც ზედმეტი აფიშირება არ სჭირდება, ისედაც ყველაფერი ნათელია. პირველი მატჩი ლონდონში გაიმართება და კარგია, რომ ერთმანეთს ნეიტრალურ მოედანზე შევხვდებით. კონფედერაციათა თასი კი ძალიან საინტერესო ტურნირია, რომელშიც დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. იმედია, მარჩელო ლიპი გამომიძახებს, ძალიან მინდა აძურასთან ერთად კიდევ ერთი ტიტული მოვიგო.

**- შესაძლოა ამაურიმ იტალიის ნაკრებში იასპარეზოს, ხომ არ გაშინებთ კონკურენცია?**

- ამაურის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, მით უმეტეს ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ და ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. შიშზე საუბარი კი ნამდვილად ზედმეტია, კონკურენცია მხოლოდ წაადგება იტალიის ნაკრებს. მთავარიც სწორედ ეს არის, გუნდურ ინტერესს ყოველთვის პირველ პლანზე ვაყენებდი და ასე იქნება მომავალშიც. კარვალიო ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, რომელსაც გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. მთავარი სწორედ ეს არის და აქედან უნდა გამოვიდეთ.

**- და რა შანსები გვაქვს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ამბობენ ტიტულის შენარჩუნება უფრო რთულია, ვიდრე მისი მოპოვებაო.**

- მართლაც ასეა. ჩემი აზრით, მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი ერთ-ერთი უძლიერესი იქნება აქამდე გამართულ მუნდიალებს შორის. ეს იქნება ყველაზე კონკურენტუნარიანი ტურნირი, რაც კი აქამდე გვინახავს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

**- რატომ ფიქრობთ ასე?**

- გადავხედოთ იმ გუნდებს, რომლებიც ამ ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. არნახულად ძლიერია ფაბიო კაპელოს ინგლისის ნაკრები, ალბიონელებს ბრწყინვალე შემადგენლობა და უძლიერესი მწვრთნელი ჰყავთ. მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება ლიონელ მესის არგენტინა, სამხრეთამერიკელებს უნიჭიერესი ფეხბურთელები ჰყავთ, რომლებიც თავის სიტყვას ევროპულ გრანდებში ამბობენ. ბრაზილიაზე აღარაფერს ვამბობ: კაკა, რონალდინიო, პატო, შეგვიძლია აქ გავჩერდეთ. პლუს ევროპის ჩემპიონატის ფინალისტები, გერმანია - ესპანეთი და ძალიან დიდი შესაძლებლობების მქონე საფრანგეთის უმთავრესი გუნდი.

**- თქვენი სიტყვების შემდეგ, ძალიან მომინდა, რომ 2010 წელი მოდიოდეს.**

- ხედავთ, ყველაფერთან ერთად კარგი ორატორიც ვარ. იმედია, ძალიან არ გწყდებათ გული, რომ მხოლოდ 2009 წელი მოდის. მით უმეტეს, მომავალ წელს მოსაწყენად არ გვეცლება, რადგან ზაფხულში კონფედერაციათა თასი გველის.

**- ნამდვილად. თუმცა დავუბრუნდეთ საკლუბო ფეხბურთს. „ჰოფენჰაიმზე“ რას გვეტყვით?**

- „ჰოფენჰაიმი“ ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობს. რალფ რანგნიკის შეგირდები ძალიან მოტივირებულონი არიან და პირველ რიგში, სწორედ ამის ხარჯზე თამაშობენ წარმატებულად. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ბუნდესლიგის ჩემპიონი კვლავ მიუნხენის „ბაიერნი“ გახდება. ჩვენ მეტი რესურსი გვაქვს ვიპირველოთ და ძნელად წარმოსადგენია, რომ მიზნის მიღწევაში „ჰოფენჰაიმმა“ ხელი შეგვიშალოს.

**- იტალიაში რომელი გუნდი გახდება ჩემპიონი?**

- იტალიაში უფრო დაძაბული პირველობა იქნება, მაგრამ ფავორიტი მაინც არსებობს. ეს „ინტერია“, გუნდი, რომელიც ყველაზე მძლავრ ფეხბურთს თამაშობს. „მილანს“ ერთი თამაშის გამართვა უმაღლეს დონეზე შეუძლია, თუმცა სტაბილურობა არ ჰყოფნის. „იუვე“ ძლიერია, თუმცა არა იმდენად, რომ „ნერაძურის“ კონკურენცია გაუწიოს. ერთი სიტყვით, ჩემი ფავორიტი ჟოზე მოურინიოს გუნდია.

**- კიდევ რომელი გუნდის თამაში მოგწონთ?**

- „ჯენოა“. ამ გუნდმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და უნდა გამოგიტყდეთ, ვგულშემატკივრობ კიდეც. გენუელები შეტევაზე ორიენტირებულ, გააზრებულ ფეხბურთს თამაშობენ. შესანიშნავად გამოიყურება დიეგო მილიტო, გავიგე „ინტერი“ მასში 20 მილიონი ევროს გადახდას აპირებს, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

**- კალჩო შეიცვალა მას შემდეგ, რაც გერმანიაში გადაბარგდით?**

- კი, შეიცვალა და თანაც უკეთესობისკენ. სერია A უფრო კონკურენტუნარიანია, ვიდრე აქამდე იყო. რამდენიმე ისეთი გუნდი დაუბრუნდა პირველობას, რომლებიც ქვედა ლიგებში იყვნენ ჩაკარგულნი. სტადიონებზეც მეტი ქომაგი დადის, რაც თავისთავად ძალიან პოზიტიური სიახლეა. იმედია, 2009 წელს პროგრესი კიდევ უფრო მკაფიო იქნება.

**- ბოლოს ტრადიციული კითხვა, რას უსურვებდით საკუთარ თავს 2009 წელს?**

- პირველ რიგში ჯანმრთელობას, შემდეგ კი ბევრ გამარჯვებას. თუმცა ასეთ დროს საკუთარ თავზე არასდროს ვფიქრობ. მთავარია, ჩემი ოჯახი, ახლობლები, მეგობრები იყვნენ კარგად და დანარჩენი მეორე ხარისხოვანია.

**ლაშა ნიკლაური**



ბარსელონა



# ღირებულებების ერთგული ახალგაზრდა რომანტიკოსი

## ჟოან ლაპორტა გვარდიოლას მუშაობით უსაზღვროდ კმაყოფილია

**პეპ გვარდიოლამ** „ბარსელონისთვის“ პრაქტიკულად უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. კატალონიური გრანდის მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთელები 1 იანვარს ვარჯიშზე დაიბარა. რაც იმას ნიშნავს, რომ საახალწლო ღამეს ისინი ერთ ჭიქა შამპანურსაც ვერ დალევენ. გვარდიოლამ ეს გადაწყვეტილება გუნდის ინტერესებით ახსნა. მისი თქმით, ფეხბურთელებს კონდიციების გასაუმჯობესებლად დამატებითი ვარჯიშის ჩატარება სჭირდებათ. მოკლედ, ახალგაზრდა სპეციალისტმა მოთამაშეები არ დაინდო და ახალი წლის პირველ დღეს სავარჯიშოდ გაიმეტა.

„ბარსას“ პრეზიდენტმა **ჟოან ლაპორტამ** მთავარ მწვრთნელს ხუმრობით ვამპირი და კანიბალი უწოდა. გუნდის უმაღლესმა ხელისუფალმა გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე არ დამალა, რომ გვარდიოლას მუშაობით აღფრთოვანებულია. საუბარი მან უახლეს ისტორიაში მცირე ექსკურსით დაიწყო: „მახსოვს, გასული სეზონის დასრულების შემდეგ ძალიან ბევრი მიმომხილველი მაკრიტიკებდა. ლაპორტა ექსპერიმენტებით ცეცხლს ეთამაშება და არ ესმის, რომ შეიძლება, ამ ცეცხლში დაიფერფლოსო. ეს სტატია „დიარიო სპორტმა“ გამოაქვეყნა. მძაფრი შინაარსის გამო ავტორის სახელი და გვარიც კი დამამახსოვრდა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. „დიარიო სპორტი“ ერთადერთი არ გახლდათ, რომელიც გვარდიოლას მოსვლას სკეპტიკურად და კრიტიკულად შეხვდა. ფაქტობრივად, ყველა გამოცემა ჩვენ წინააღმდეგ იდგა. ახლა კი, ახალ წლამდე ერთი დღით ადრე სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ჟურნალისტების ვარაუდი და სკეპტიციზმი პროფანაციის საუკეთესო გამოვლინება გახლდათ. მომიტევეთ ასეთი ხმაურიანი შეფასებისთვის, თუმცა არ მიყვარს, როცა ხალხი სიახლესა და თამამ გადაწყვეტილებას ფაქტობრივად ქსენოფობიური დამოკიდებულებით ხვდება. იმედია, ყველა მიხვდა, რომ სერიოზული შეცდომა დაუშვა. ჩემი აზრით, გვარდიოლამ ყველა პროგნოზი დაამხო. ის დღეს პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული და შემოქმედებითი მწვრთნელია. მისი წყალობით, „ბარსელონა“ მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. არ შეიძლება, რომ „ბარსას“ ფანებმა ეს არ დავაფასოთ.“

„დიარიო ასის“ კორესპონდენტი **უგო იბარა** დაინტერესდა გვარდიოლა წარმატების რაიმე საიდუმლოს ხომ არ ფლობს. პრეზიდენტისთვის ამ საიდუმლოს გამხელა არავის უთხოვია, ჩვენს კოლეგას უბრალოდ აინტერესებდა, სენიორ პეპმა დღემდე უცნობი მეთოდი ხომ არ აღმოაჩინა. ლაპორტამ მას ასე უპასუხა: „არავითარი საიდუმლო არ არსებობს. ფეხბურთსა და მარკეტინგში ჯერჯერობით რევოლუციურ სიახლეებს არ უნდა ველოდოთ, თუმცა ყველაზე დიდ წარმატებას ისინი აღწევენ, რომლებმაც უკვე არსებული და გამოგონებული კარგად იციან. გვარდიოლამ დაამტკიცა, რომ კატალონიურ საფეხბურთო მსოფლმხედველობას არა მარტო გონებით, არამედ გულით ატარებს. პეპმა ტრადიციებისა და ფეხბურთის სიყვარულის რთული გზა აირჩია. გვარდიოლა ერთდროულად რომანტიკოსი და საოცრად პრაგმატული ადამიანია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მისი დანიშვნა სპონტანურად გადავწყვიტეთ, ძალიან შემცდარა. პეპის მუშაობას „ბარსელონის“ სათადარიგო გუნდში სისტემატურად ვადევნებდით თვალს. ვხედავდით, რომ პატარა ბიჭებს ის ფეხბურთს აყვარებდა, ასწავლიდა რა არის კატალონია და რატომ გვიყვარს ლამაზი ფეხბურთი. გვარდიოლა ახალგაზრდებს არწმუნებდა, რომ თუ ლამაზად არ თამაშობ, ჯობია, ფეხბურთს თავი დაანებო. ჩვენ დავაფასეთ მისი მსოფლმხედველობა და ანთებული გული. თვითონაც ასეთი ფეხბურთელი იყო. როცა რაიმე მიზეზის გამო შედარებით უფერულად თამაშობდა, ვარჯიშიდან პირდაპირ სახლში გარბოდა და არავის ენახებოდა. ის განიცდიდა, რომ რაღაც დააკლდა და გულშემატკივრებს იმედი გაუცრუა. იცით რა მომწონს მასში? შედეგი რამდენად მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, მარადიულ ღირებულებას არასოდეს აბიჯებს და იმდენს ახერხებს, რომ „ბარსელონამ“ ყველაზე რთულ დროსაც კი კატალონიური საფეხბურთო ღირებულებების დემონსტრირება მოახდინოს და მისთვის საჭირო შედეგს მიაღწიოს.“

ლაპორტას ლამაზი სიტყვები ჟურნალისტებს ძალიან მოეწონათ, მაგრამ მოეჩვენათ, რომ „ბარსას“ ფანტასტიკური თამაშით აღფრთოვანებული პრეზიდენტი წინასაახალწლოდ ეიფორიაში ჩავარდა და შეახსენეს, რომ აღმართს ყოველთვის დაღმართი მოსდევს. სენიორ ჟოანმა რეპლიკას ღიმილითა და ამ სიტყვებით უპასუხა: „იდიოტი არ ვარ და არ ვფიქრობ, რომ მთელ სეზონს ერთ დონეზე ჩავატარებთ. ეს უკვე ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებული შეუქცევადობაა. მე თქვენ ღირებულებებსა და მათ ერთგულებაზე გესაუბრებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ ღირებულებებით სიარულით „ბარსელონა“ ფენომენალურ ფეხბურთს თამაშობს და საუცხოო შედეგებს აღწევს“.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიარება

# საფეხბურთო გერმანია ერთხმად: წლის კაცი რიბერია!

## ბევრისთვის ის კრისტიანო რონალდოზე მაგარია...

Ისყველას აღაფრთოვანებს და აგიჟებს, ის მოედანზე შემოქმედია და ქმნის ისეთ მომენტებს, რისთვისაც ჩვენ, ყველას, ფეხბურთი გვიყვარს. გერმანიის ნომერ პირველმა სპორტულმა გამოცემა „კიკერმა“ „წლის ადამიანად“ „ბაიერნისა“ და საფრანგეთის ნაკრების შესანიშნავი დირიჟორი, 25 წლის ფრანკ რიბერი დაასახელა.



თავით, მკერდით, მხრით, ზურგით, მუცლით (!), მუხლით, წვივით, ქუსლით... ფრანგი ნახევარმცველი ბურთს ნებისმიერ პოზაში რბილად და უმტკივნეულოდ იღებს, მას ვირტუოზულად ამუშავებს და ან დრიბლინგს იწყებს, ანაც თანაგუნდელს ისეთ პასს გაუჭრის, მეტოქის კართან მინიმუმ საგოლე სიტუაცია იქმნება. სცენა, რომელთა გამოც „ბაიერნის“ ქომაგები რიბერის აღმერთებენ, უამრავია. როცა რიბერი კარგ ფორმაში და კარგ ხასიათზეა, მისი ტექნიკური შესაძლებლობები ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს და რაც მთავარია, ცუდ ფორმაში ან ცუდ ხასიათზე მყოფი რიბერი რეკორდმაისტერის ფანებს ჯერ არ ახსოვთ. ექსტრემალური სისწრაფე, ფიზიკური სიძლიერე, ტექნიკური სრულყოფილება, სპონტანურობა აზროვნებაში – და რაც მთავარია, რიბერის ქმედების წინასწარ განსაზღვრა თითქმის ყოველთვის შეუძლებელია. ის, რომ „კიკერმა“ ფრანგი ფლეიმეიქერი „წლის ადამიანად“ დაასახელა, გერმანიაში არავის გაუკვირვებია.

**- მოსიე რიბერი, რას ნიშნავს თქვენთვის ეს აღიარება?**

- კმაყოფილი და ამაყი ვარ. გახდე „კიკერის“ რედაქციის რჩეული, ეს განსაკუთრებული პატივია, არა წლის ფეხბურთელი ან სპორტსმენი, არამედ „წლის ადამიანი“ - სიტყვები არ მყოფნის. ადამიანისთვის არაფერია იმაზე უკეთესი, შრომას რომ დაუფასებენ.

**- იყო თუ არა 2008 წელი საუკეთესო თქვენს კარიერაში?**

- დიახ. მარსელში და მეცშიც მქონდა კარგი სეზონები და „გალათასარაიმაც“ სასიამოვნო მოგონებები დამიტოვა მიუხედავად იმის, რომ იქ მხოლოდ 6 თვე გავატარე. მაგრამ ეს წელი მართლაც საუკეთესო იყო, რადგან იანვრიდან იანვრამდე გამორჩეული ფიგურა ვიყავი. გერმანიის ჩემპიონობა, თასი, ლიგის თასი – ერთადერთი, რაზეც გული ძალიან მწყდება, არის ის, რომ უეფას თასზე თავი შევირცხვინეთ. იმიტომ კი არ მწყდება გული, რომ უეფას თასი ვერ მოვიგეთ, არამედ იმის გამო, რომ თავი შევირცხვინეთ. მოკლედ, ეს მართლაც საუკეთესო წელი იყო ჩემს კარიერაში.

**- მთელი წლის განმავლობაში შესაძლებლობების 100 პროცენტს ავლენდით?**

- არა. ზოგჯერ 90-ს ან 95-ს, რადგან მუდმივად 100 პროცენტი არარეალურია. თუმცა ზოგჯერ 100-ზე მეტიც იყო. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გრძნობ თავს მოცემულ მომენტში. ზოგადად, მთელი წლის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ვთამაშობდი.

**- რომელი იყო საუკეთესო მატჩი „ბაიერნთან“ ერთად?**

- ბევრი კარგი მატჩი იყო...

**- რომელს გამოარჩევთ?**

- 4:0 ბრემენის „ვერდერთან“, ეს იყო ყველაზე გემრიელი გამარჯვება.

**- მოგებული ტიტულებიდან რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?**

- რა თქმა უნდა, გერმანიის ჩემპიონობა, როგორც ჩემთვის, ისე კლუბისთვისაც. განსაკუთრებით იმიტომ, რომ წინა სეზონში „ბაიერნმა“ ბუნდესლიგაში მე-4 ადგილი დაიკავა. მერე კი ახლები მოვედით და ფაქტი იყო, რომ ყველაფერი უნდა მოგვეგო.

**- გერმანიის თასი?**

- ესეც განსაკუთრებული ტიტულია. ბერლინული ატმოსფერო არასდროს დამავიწყდება. ზოგადად, ეს ქალაქი ჩემთვის განსაკუთრებულია. 2006 წელს „ოლიმპიაშტადიონზე“ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი წავაგეთ, 2008-ში კი ეს სტადიონი უკვე გამარჯვებულმა დავტოვე.

**- რა იყო თქვენთვის 2008 წლის მთავარი იმედგაცრუება „ზენიტთან“ მარცხის გარდა?**

- ტრავმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე, იტალიასთან მატჩში მივიღე და ზოგადად საფრანგეთის ნაკრების გამოსვლა ევრო 2008-ზე.

**- 2008 წელს ჩემპიონთა ლიგაში გქონდათ დებიუტი...**

- და მე ამაზე წლების განმავლობაში ვოცნებობდი. ჩემპიონთა ლიგაში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. ამ ტურნირზე ყველაზე საინტერესო და დრამატული მატჩები იმართება ხოლმე. ჩვენ ჯგუფური ეტაპი წარმატებით გადავლახეთ, მაგრამ მთავარი სირთულეები წინ გველის.

**- იყო თუ არა თქვენთვის განსაკუთრებული მომენტი ის, რომ ჩემპიონთა ლიგაში თქვენი პირველი გოლი ფრანგულ კლუბს საფრანგეთში გაუტანეთ?**

- რა თქმა უნდა. გოლი „ლიონის“ კარში და „ბაიერნის“ გამარჯვება – სადებიუტო შეხვედრაში ამაზე უკეთესი რა უნდა მენატრა?

**- რას ნიშნავს თქვენთვის ფეხბურთის თამაში? სიამოვნების მიღებაა თუ სამსახური, პროფესია?**

- ეს პროფესიაა, მაგრამ პირადად ჩემთვის, პირველ რიგში სიხარული და სიამოვნება.

**- თქვენი წარმატება ნიჭის დამსახურება უფროა თუ შრომის?**

- ბავშვობაში ყველა მეუბნებოდა, ძალიან ნიჭიერი ხარო. მაგრამ თუ სერიოზულად არ ივარჯიშებ, მხოლოდ ტალანტი ვერაფერში დაგეხმარება. შრომის გარეშე ადამიანი ვერაფერს მიაღწევს.

**- ზაფხულში „ბაიერნმა“ მწვრთნელი გამოიცვალა - ჰიტცფელდი კლინსმანმა შეცვალა. რა შეიცვალა გუნდში?**

- ეს ორი მწვრთნელი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. კლინსმანი ახალი შტაბით მოვიდა და ბევრი რამის შეცვლა უნდოდა. ბევრი რამ შეცვალა კიდეც. საბოლოო ჯამში, კლინსი და გუნდი ერთმანეთს იდეალურად მოერგნენ.

**- დაეტყო თუ არა გუნდს ოლივერ კანის წასვლა?**

- რა თქმა უნდა, დაეტყო, რადგან კანი გუნდის ლიდერი და ფაქტობრივად „ბაიერნის“ სახე იყო. როდესაც ასეთი დიდი მოთამაშე კარიერას ასრულებს, ცხადია, გუნდში ამით გარკვეული სიცარიელე რჩება. ვამაყობ იმით, რომ ერთი სეზონი კანთან ერთად გავატარე.

**- რამდენად რთულია, იყო ბუნდესლიგის სუპერვარსკვლავი?**

- ეს არც რთულია და არც რაიმე განსაკუთრებული მოვლენა. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ მაყურებლები სტადიონიდან კმაყოფილები წავიდნენ. მე ძალიან მარტივი ადამიანი ვარ და ყველაფერს მარტივად ვუყურებ.

**- ცოტა ხნის წინათ მათიას ზამერმა თქვა, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი კრისტიანო რონალდო კი არა, ფრანკ რიბერიაო...**

- ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. ზამერი ერთ დროს თვითონ იყო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. ვეცდები, მისი სიტყვები ყოველთვის გავამართლო, სანამ ფეხბურთს ვითამაშებ.

**- თქვენთვის ვინ არის კიდევ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე?**

- აი, როგორც კი ეს კითხვა დასვით, მაშინვე ლეო მესი გამახსენდა...

**- როდესაც კრისტიანო რონალდო საუკეთესოდ აღიარეს, თქვენ ეს გადაწყვეტილება გააკრიტიკეთ. რატომ?**

- თვითონ რონალდო არ გამიკრიტიკებია! მან ეს ტიტული დაიმსახურა. სამაგიეროდ, გამაკვირვა იმ ფაქტმა, რომ მე მხოლოდ მე-16 ადგილი მარგუნეს. ვფიქრობ, უკეთესი პოზიცია დავიმსახურე.

**- რა მხრივ უნდა გაუმჯობესდეს ისეთი სრულყოფილი ფეხბურთელი, როგორიც თქვენ ხართ?**

- შარშან ვთქვი, გაისად უფრო მეტი გოლი უნდა გავიტანო-მეთქი. ასეც მოხდა. აგერ, ტრავმის შემდეგ რომ დავბრუნდი, პირველ წრეში მაინც 6 გოლის გატანა მოვახერხე.

**- რა არის თქვენი მომდევნო მიზანი?**

- მომდევნო მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა.

**- ამ სეზონში ეს შესაძლებელია?**

- რა თქმა უნდა! იმედი მაქვს, რომ მინიმუმ ფინალში გავალთ. თუმცა ვიცი, რომ ეს ძალიან რთული იქნება. ისე, „ბაიერნი“ საკმაოზე მეტად გაწონასწორებული გუნდია. ჩემპიონთა ლიგის შემდეგ კი უკვე მსოფლიოს ჩემპიონობა მინდა.

**- არადა, საფრანგეთის ნაკრები შესარჩევ ციკლში არც ისე კარგად გამოიყურება...**

- არა უშავს. დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემები არ შეგვექმნება და მუნდიალზე აუცილებლად ვიასპარეზებთ...

**- არსებობს თუ არა ისეთი კლუბი, სადაც დიდი სიამოვნებით ითამაშებდით?**

- „ბაიერნი“ ჩემთვის უსაყვარლესი კლუბი გახდა. თუმცა ცხადია, არსებობენ კლუბები, სადაც ასევე დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. მაგალითად, მადრიდის „რეალი“, „ბარსელონა“, „ჩელსი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

**- აქედან რომელია თქვენი საოცნებო გუნდი?**

- განსაკუთრებით არც ერთზე არ ვოცნებობ, თუმცა „რეალი“ ძალიან მიყვარს. მაგრამ „ბაიერნში“ თავს იდეალურად ვგრძნობ.

**- 2008 წელს ყველანი გაქებდნენ, ვისი ქება გესიამოვნათ ყველაზე მეტად?**

- ზინედინ ზიდანის! ბედნიერი ვარ, რომ 2006 წელს მის მხარდამხარ თამაშის უფლება მომეცა. ზიზუ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია.

**გოტფრიდ ლენცი**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების =ISHRS= წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხავი

# მედლის მეორე მხარე

## ვინ რითი ერთობა ფეხბურთისგან თავისუფალ დროს



სერ ალექს ფერგიუსონი და მისი განთქმული ცხენი - როქ ოფ გიბრალტარი

**პოპულარულ** ინგლისურ ჟურნალ Four Four Two-ში საინტერესო რუბრიკა აქვთ, რომელსაც „ჩემი საიდუმლო თვისება" ჰქვია. რუბრიკის სტუმრები ხშირად არიან ინგლისური და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები. ისინი სიამოვნებით უყვებიან მკითხველს ფეხბურთს მიღმა ცხოვრების დეტალებზე, ჰობიზე და კიდევ ათას საინტერესო ამბავზე. მოდით, ჩვენც გავეცნოთ ფეხბურთელთა ცხოვრების იმ მხარეს, რომელიც ხშირად ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება.

„რედინგის" კარის დარაჯი **მარკუს ჰანემანი** უცნაური ადამიანია. მარკუსი დიდი სიამოვნებით უთმობს დროს მანქანების აწყობას. ლაპარაკია, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ ავტომობილებზე. „ფეხბურთელების უმრავლესობას ჭკუა ეკეტება ძვირად ღირებულ მანქანებზე. ისინი, რომელ მოდელსაც ხელს დაადებენ, იმას ყიდულობენ. მე კი ასე არასოდეს მოვქცეულვარ. საკუთარ ავტომობილებს თავადვე ვქმნი. ყველაზე ბედნიერი, ალბათ, სწორედ მაშინ ვარ, როცა საკუთარ ქმნილებებში ვარ ჩაყირავებული. ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო მოგონებებიც სიეტლში ჩემს ავტოფარეხს უკავშირდება. გარაჟში მე და ჩემი მეგობარი ვიკეტებოდით, შეგვქონდა ერთი ყუთი ლუდი, ვრთავდით რადიოს, სადაც როკსა და მეტალს გადმოსცემდნენ. ამის მერე თავდავიწყებას ვეძლეოდით - ვშლიდით და ვაწყობდით ავტომანქანებს. სტანდარტულის ყიდვა, ვისაც ფული აქვს, ყველას შეუძლია, სამაგიეროდ, ჩემი მანქანა ყოველთვის უნიკალურია. როცა ვარჯიშზე მივდივარ, ბაზაზე ერთი მილით ადრე ხვდებიან ხოლმე, რომ მე ვარ. ძრავის ხრინწიანი ხმა, სალექი თამბაქოს ჩვეული დოზა და სტერეოსისტემა, ჩართული ბოლო ხმაზე - ეს მე ვარ. ყველაფერი ეს ჩემს ექსტრავაგანტურ შესახედაობასთან ერთად, საოცარ კომბინაციას ქმნის. სოფლის მოსახლეობას ბერკშირში, სადაც ამჟამად ვცხოვრობ, მგონი ჩემი ეშინია", - აცხადებს ფეხბურთელი. გარდა ავტომობილებისა, მარკუს ჰანემანი ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების კარგი სპეციალისტია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მას საზღვაო ქვეითთა რიგებში სამსახური ენადა, მაგრამ მიხვდა, რომ ფეხბურთის თამაშიც კარგად გამოსდიოდა და შესაბამისად, ყურადღება სპორტულ კარიერაზე გაამახვილა.

„რედინგში" მეორე საინტერესო ფეხბურთელიც თამაშობს. ლაპარაკი გვაქვს **ჯეიმს ჰარპერზე**. ის მაგიდის ჩოგბურთითაა გატაცებული. ჯეიმსს გუნდის სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთმა წევრმა აუბა მხარი. ყოველი ვარჯიშის შემდეგ ისინი ბაზაზე რჩებიან და ათეულობით პარტიას თამაშობენ. „მე არ გახლავართ სპორტის დიდი ფანი. ტელევიზიითაც კი იშვიათად თუ ვუყურებ რამეს. მთელ თავისუფალ დროს მაგიდის ჩოგბურთს ვუთმობ. მითხრეს, რომ სხვა ინგლისურ კლუბებშიც არიან სპორტის ამ სახეობის მოყვარულები, მაგალითად, რიო ფერდინანდი. საკუთარ თავს ვერავის შევადარებ, რადგან „რედინგის" წევრების გარდა არავისთან მითამაშია", - აცხადებს ფეხბურთელი.

**დარენ კარი** თავის დროზე „იფსვიჩ თაუნის" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. თუმცა მან ფეხბურთელობაზე მეტად სახელი იმით გაითქვა, რომ პროფესიონალ ფეხბურთელებს შორის ყველაზე მოხატული სხეული აქვს: „სხეულის მოხატვა 12 წლის წინ დავიწყე. პირველად გონება მაშინ გამინათდა, როცა „შრუსბერიში" ჩემი ერთ-ერთი თანაგუნდელის ფეხზე უელსის ამოსვირინგებული დროშა დავინახე. მეც მომინდა. პირველი სეანსის შემდეგ ვიფიცებოდი, რომ მეტს აღარ ვიზამდი, მაგრამ ხომ ხედავთ, ფიცი მრავალჯერ გავტეხე. მართალია, სხეულზე თორმეტი სვირინგი მაქვს, მაგრამ ახალ-ახალი პროექტებისთვის იდეები ტვინში ისევ მილიტინებს (იცინის)... ხომ ვიცი, მალე ისევ იმ დაწყევლილ სკამზე დავჯდები. ჰობი უკვე სისხლში გამიჯდა".

ფეხბურთელებში ხშირად არტისტული და შემოქმედებითი ტალანტი იმალება. მაგალითად ასეთია „ნიუკასლის", „ასტონ ვილისა" და „ვესტ ჰემის" ყოფილი ფეხბურთელი, პერუელი **ნოლბერტო სოლანო:** „ფეხბურთელებს თავისუფალი დრო ყოველთვის გვაქვს. მუდამ ვცდილობდი, ის უქმად არ დამეხარჯა და მაგალითად, კომპიუტერზე არ მეთამაშა. ჯერ გოლფმა გამიტაცა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ამ თამაშს მართლა განსაკუთრებული ტექნიკა სჭირდება. თანაც ინგლისში ხშირად ამინდი ხელს არ გიწყობს, რომ თამაშით გული იჯერო. სწორედ ამიტომ, უსაქმურობას მირჩევნია, საყვირზე დავუკრა. სხვათა შორის, განტვირთვაში ხელს აშკარად მიწყობს. თანაც, საყვირის ხმა ყველაზე ხშირად ჩემს სამშობლოს მაგონებს. მუსიკის სწავლა ჯერ კიდევ სკოლაში დავიწყე. მინდოდა, საქსოფონზე დაკვრას დავუფლებოდი, მაგრამ ხელში საყვირი შემომაჩეჩეს. ვერ გეტყვით, რამდენად მოხარულები იყვნენ დევიდ ოლირი და ბობი რობსონი, რომ მუსიკას ამდენ ენერგიას ვახმარდი, მაგრამ თანაგუნდელები ყოველთვის გაგებით ეკიდებოდნენ ჩემს ჰობის. მაგალითად დიონ დაბლინთან შესანიშნავი დუეტი მქონდა. ხანდახან გარი სპიდთან ერთადაც ვუკრავდი, მაგრამ იცით, რა? გარის როკი უყვარდა და ჩვენი გემოვნება ერთმანეთს ძნელად ეხამებოდა".

არანაკლებ შემოქმედებითი ადამიანი გახლავთ „ფულჰემის" ყოფილი თავდამსხმელი **ბარი ჰეილზი:** „ძალიან მიყვარს სიმღერა. სულაც არ ვნაღვლობ, რომ ბევრს არ მოსწონს ჩემი ხმა. მიყვარს, როცა საკუთარ თავს ესტრადის ვარსკვლავად წარმოვიდგენ. გიმეორებთ, მართალია, ჩემი გართობა ბევრს ნერვებს უშლის, მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს. სიმღერა სისხლში მაქვს გამჯდარი. ასეთი სახის გართობა მაშინ შემიყვარდა, როცა „ბრისტოლში" ვთამაშობდი. ყოველ პარასკევს რესტორანში ან ბარში კარაოკეში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. ახლა ყველაზე ხშირად მანქანაში, საკლუბო ავტობუსში ან გასახდელში ვმღერი. ტიგანასა და კოულმენს ჩემი გატაცების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ. ყოველ შემთხვევაში არც ერთ მათგანს ჩემთვის ერთხელაც კი არ უთქვამს, მოკეტეო. კოულმენი ცნობილი მელომანია და რახან ის არ ღიზიანდებოდა, ეს ნიშნავს, რომ არც ისეთი უნიჭო ვარ, სხვები რომ მიმტკიცებენ".

ყველაზე უცნაური და უწყინარი ჰობი პრემიერლიგის ყველა დროის ყველაზე უხეშ მცველ **ნილ რადოკს** აქვს. ის ფეხბურთიდან რომ წავიდა, გართობა მეორე პროფესიად გაიხადა. რადოკი ახლა ინტერიერის დიზაინით არის დაკავებული: „ერთხელ სოფელში სახლი შევიძინე და მთლიანად დავაცარიელე - სწორედ აქედან დაიწყო ჩემს ცხოვრებაში საინტერესო ეტაპი. შემოქმედებითი ნიჭი არასოდეს მაკლდა. სკოლაში ჰუმანიტარულ საგნებში ყოველთვის უმაღლესი შეფასებები მქონდა. ჩემს მეგობრებს შესანიშნავი სახლები აქვთ, მაგრამ არავისი სტილის კოპირება არ მსურს. ჩემს სტილს მევე ვქმნი. ჩემს საქმეში ძალიან მიყვარს ხის მასალის გამოყენება. დიზაინი ჩემთვის ნერვების თერაპიაა. ფეხბურთის შემდგომი ცხოვრება სწორედ ამ სფეროში ვიპოვე".

„საუთჰემპტონის" ლეგენდა, ნორვეგიელი **კლაუს ლუნდეკვამი** მას მერეც კლუბის ერთგული დარჩა, რაც სამხრეთელები პრემიერლიგას გამოეთხოვნენ. ქვედა ლიგაში თამაში მას არასოდეს უნანია, რადგან სხვანაირად არ შეეძლო. ოკეანე მისი სისუსტეა: „წყალი ყოველთვის ჩემი მეგობარი იყო. მე ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროზე, მოცუცქნულ კუნძულ ოსტევოლეზე გავიზარდე. ბავშვობის მოგონებებში პატარა გემების სურათები ჭარბობს. ჩვენი ცხოვრება სწორედ მათზე იყო დამოკიდებული. მათ გარეშე გარე სამყაროს მოწყვეტილები აღმოვჩნდებოდით. როცა ინგლისში გადასვლა გადავწყვიტე, მთავარი კრიტერიუმი ოკეანის სიახლოვე იყო. საუთჰემპტონი ამ მხრივ იდეალური ვარიანტია. გამიმართლა - აფრიანი გემებით სეირნობა ინგლისშიც გავაგრძელე. ახლა შესანიშნავ შვედურ იახტას ვფლობ. საუთჰემპტონში ხშირად ვხვდები ცნობილ ბრიტანელ აფროსნებს. უქმეებზე იახტით გასეირნება ჩემთვის დასვენების საუკეთესო საშუალებაა".

მართალია, **მიჩელ სალგადო** ოკეანესთან ახლოს არ ცხოვრობს, მაგრამ ცდილობს, როცა კი საშუალება მიეცემა, ზღვაში სერფინგის დაფით გაინავარდოს: „სერფინგი მხოლოდ სპორტი კი არა, ცხოვრების წესი და მენტალიტეტია. გალისიელებს ზღვა და ოკეანე სისხლში გვაქვს გამჯდარი. ახლა, როცა „რეალის" ფეხბურთელი მქვია, უბრალოდ, უფლება არ მაქვს, ჯანმრთელობა გავრისკო და სხვების ოსტატობას ჩემი შევადარო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბავშვობაში რომ მცოდნოდა, რა კარგი რამეა სერფინგი, ფეხბურთს არასოდეს ვითამაშებდი. ჩემი დაფით უკვე მოვიარე მრავალი ქვეყანა - მაროკო, ინგლისი, პორტუგალია, ასევე ესპანეთის სანაპიროები. ოდესმე ავსტრალიასა და სამხრეთ აფრიკაშიც ვცდი ბედს, მართალია, იქ ზვიგენების პრობლემაა, მაგრამ მაინც ფანტასტიკური თავგადასავალი იქნებოდა. როცა ზღვაში ვარ, ჯობია, ფეხბურთზე არავინ დამელაპარაკოს. ჩემი ოცნებაა სახლის ჰავაის სანაპიროზე, რათა მე და ჩემმა შვილმა ყოველდღე უსაზღვროდ ვისიამოვნოთ".

სალგადოსგან განსხვავებით, ბილბაოში ცხოვრების პერიოდში **ბიქსან ლიზარაზუ** ხშირად დადიოდა ზღვის სანაპიროზე და როგორც ამბობენ, სერფინგშიც გამორჩეულად ძლიერი იყო.

ბარებში სიარულის გარდა, ფეხბურთელთა საყვარელი ჰობი თევზაობა რომ არის, ყველასთვის ცნობილია. ჰობი ერთია, მაგრამ ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი **ჯიმი ბულარდი** მოყვარულ მეთევზედ ვერ ჩაითვლება. „ალბათ უხერხული არ იქნება, თუ ვაღიარებ, რომ თევზაობაში უფრო კარგი სპეციალისტი ვარ, ვიდრე ფეხბურთში. ფეხბურთს იმიტომ ვთამაშობ, რომ თევზაობაში ფულს არავინ იხდის. როცა ტრავმის გამო ფეხბურთს ჩამოშორებული ვარ, დეპრესიისგან სწორედ თევზაობა მიცავს. პირველად ანკესი რომ დავიკავე, რვა წლისა ვიყავი. პირველივე დღეს დიდი თევზი დავიჭირე. მას შემდეგ შვებულება ჩემი საყვარელი დროა - რა ჯობია, როცა მდინარის ნაპირას უდარდელად ზიხარ?"

წარმატებული მეთევზეების სიაში შედიან **ფილ ჟაგიელკა** და **მაიკლ ოუენი**. კი მაგრამ მხოლოდ ფეხბურთელებს რატომ ჩავაცივდით? განა მენეჯერებსა და მწვრთნელებს ნაკლები გატაცებები აქვთ? მაგალითად, ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ტერი ვენეიბლზი** პატარ-პატარა მოთხრობებს, პიესებსა და სიმღერებს წერს, სიმღერით კი ბარი ჰეილზზე უკეთ მღერის. ვენეიბლზის სიმღერა, რომელიც მან 1996 წელს საკუთარ ნაკრებს მიუძღვნა, ერთი ხანობა ბრიტანეთის ჩარტებშიც კი მოხვდა.

**სემ ელერდაისი** დართსის დიდი მოყვარულია. ის ერთხელ მანჩესტერში გამართულ ღია ჩემპიონატშიც კი მონაწილეობდა: „სრულიად მოულოდნელად მანჩესტერში დართსის ჩემპიონატზე მოვხვდი. იქ ასამდე ქვეყნის წარმომადგენელი გახლდათ შეკრებილი. მახსოვს, რომ მავანმა საუთჰემპტონელმა ახალგაზრდამ გამომაგდო, თუმცა ის ამბავი სასიამოვნო მოგონებად შემომრჩა. როცა „ნიუკასლში" ვმუშაობდი, სტივ ჰარპერსა და ჯეიმს მილნერს ვეჯიბრებოდი. ჩემგან განსხვავებით, სპორტის ამ სახეობაში მათ აშკარად აქვთ ტალანტი. სამწუხაროდ, სათამაშოდ დროს იშვიათად ვნახულობ". დიდი სემი აშკარად თავმდაბლობს. სპორტის ამ სახეობაში **ფილ ტეილორი** ძალიან მრისხანე სახელია და მას თუ ვენდობით (და რატომ არ უნდა ვენდოთ?), ელერდაისი დართსში ძალიან ნიჭიერი მოთამაშე ყოფილა, რომელსაც რეგულარული პრაქტიკის შემთხვევაში დიდი წარმატებების მიღწევა შეეძლო.

სერ **ალექს ფერგიუსონი**, დიდი ხანია, ცხენოსნობითაა გატაცებული. მის ცხენს რამდენიმე სერიოზული რბოლა აქვს მოგებული და პატრონისთვის შემოსავლის დამატებით წყაროდაც კი იქცა. არის მეორე საფეხბურთო მენეჯერიც, რომლის ჰობი საკუთარი ბაღისა და ყვავილების მოვლაა. ლაპარაკია **მარტინ ალენზე**.

**შალვა ბიბილაშვილი**



ბიქსან ლიზარაზუ თავისი განუყრელი დაფით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ადრეა პირლო



# ყველაზე დიდი მასხარა გატუზოა

## პირლოს რაც სჭირდება, მილანში ყველაფერი აქვს

„წარსულის გახსენებისას, ვგრძნობ, რომ ბევრი რამ ვისწავლე კარლო მაცონესა და კარლო ანჩელოტისგან. ეს არის ორი უდიდესი მწვრთნელი მათ შორის, რომლებთანაც მიმუშავია" - განაცხადა „მილანის" და იტალიის ნაკრების ვარსკვლავმა ანდრეა პირლომ იმ ხალხზე, რომლებმაც მისი კარიერა შექმნეს.

მიუხედავად იმისა, რომ 30 წლის ჯერ არ გამხდარა, ანდრეა პირლო მაინც ითვლება სერია A-ს ერთ-ერთ უდიდეს ვარსკვლავად. ანდრეას მეტსახელად Architetto-ს, ანუ არქიტექტორს უწოდებენ. მის აქტივშია 52 მატჩი იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, აგრეთვე „მილანის" მაისურით ნათამაშები 213 შეხვედრა და 77 საჩემპიონთალიგო დაპირისპირება.

მისი დებიუტი 1995 წლის 21 მარტს, „ბრეშას" შემადგენლობაში შედგა, როცა 16 წლის იყო. „მილანამდე" კი ჯერ „ინტერში", მერე კი „რეჯინაში" თამაშობდა, ხოლო 2001 წლიდან „როსონერის" ერთგულია.

ბოლო 7 სეზონის განმავლობაში პირლოს იმდენი ჯილდო დაუგროვდა, გამოფენისთვის ერთი ოთახიც არ ეყოფა. ასეთ მონაგარზე ბევრი ფეხბურთელი ოცნებობს. საგარეო ფრონტზე მან 2007 წელს ფიფა-ს მსოფლიო საკლუბო თასი მოიგო, ორჯერ (2003, 2007) იმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში და იმავე წლებში გახდა ევროპის სუპერთასის მფლობელიც. ამას ემატება სკუდეტო (2004) და იტალიის სუპერთასი (2004) შინაურ სარბიელზე, ასევე, იტალიის თასი 2003 წელს.

რაც შეეხება მის სანაკრებო მონაგარს. საკუთარი ქვეყნის ღირსებას პირლო პირველად 15-წლამდელთა ტურნირში იცავდა. მერე იყო 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი 2000 წელს და ათენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი 2004 წელს. და კარიერის გვირგვინიც მსოფლიოს თასი 2006 წლის მუნდიალზე.

ფიფა-ს ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტი პირლოს „მილანელოს" საწვრთნელ ბაზაზე ეწვია და ინტერვიუ ჩამოართვა.

**- სერია A-ში პირველი მატჩი 16 წლისამ ითამაშეთ. რა გახსოვთ თქვენი დებიუტიდან?**

- ძალზე ემოციური მომენტი იყო. არ ვნერვიულობდი, რადგან ვიცოდი, რომ მას სხვა მატჩებიც მოჰყვებოდა. ერთობ მნიშვნელოვანია სახელის მოხვეჭა იმ გუნდში, რომელიც ახალგაზრდებს შანსს აძლევს და რომელიც სატურნირო ცხრილის შუაში იმყოფება. ეს რეგულარულად თამაშს და გამოცდილების შეძენას ნიშნავს.

**- კარიერის დასაწყისში შემტევი ნახევარმცველი იყავით, მაგრამ შემდეგ მაცონემ და ანჩელოტიმ უფრო სიღრმისკენ, მცველებისკენ ჩაგაჩოჩეს. როგორ იმოქმედა თქვენს კარიერაზე პოზიციის შეცვლამ?**

- მიყვარდა იქ თამაში. ახლაც ჩავდივარ უკან ბურთის ასაღებად, ასე რომ, ადვილად შევეგუე პოზიციის შეცვლას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერს ვამჩნევ, რაც ხდება. ანჩელოტიმ ის როლი დამაკისრა, რაც ახლა მაქვს, რადგან მენდობოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე მეტად გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავდა.

**- უამრავი ტიტული გაქვთ მოგებული. კლუბში მიღწეული წარმატებების შემდეგ რას ელით კიდევ ფეხბურთისგან?**

- სხვა პრიზების მოგებაც მსურს. ფეხბურთი სპორტის ის სახეობაა, სადაც გსურს, რომ სიამოვნება მიიღო, გააუმჯობესო თამაშის მანერა და მოიხვეჭო ჯილდოები. ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენ ტიტულს მოვიგებთ ყოველ წელს, მოსაგები კი ბევრია. „მილანში" ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. ის მსოფლიოში უძლიერესი კლუბია და არ მსურს სხვაგან გახედვა. რაც მჭირდება, აქ ყველაფერი მაქვს!

**- რა ძირითადი განსხვავებაა „მილანსა" და „ინტერს" შორის?**

- „ინტერი" ჯერ კიდევ ეძებდა საკუთარ თავს იმ პერიოდში, როცა იქ ვთამაშობდი. ბევრი ადამიანი წავიდა კლუბიდან და ბევრიც მოვიდა. განსაკუთრებით ეს ეხება მწვრთნელებს, რომლებიც პასუხს აგებენ საკუთარ ნამოქმედარზე. წარმატებებისა და ორგანიზების მხრივ, „მილანი" ყოველთვის სამაგალითო გუნდი იყო. „ინტერი" არ იყო „მილანის" დონის გუნდი.

**- მოდით, იტალიაზე ვისაუბროთ. როგორ თამაშობს „სკუადრა აძურა" მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში?**

- კარგი სტარტი გვქონდა. ამჟამად ჯგუფის სათავეში ვიმყოფებით და გვსურს, ასევე გავაგრძელოთ, რათა სამხრეთ აფრიკის საგზური მოვიპოვოთ.

**- რა განსხვავებაა მარჩელო ლიპის ორ გუნდს შორის? ერთია, რომელმაც 2006 წელს მუნდიალი მოიგო და დღევანდელი, რომელიც ახალ მიზნებს ისახავს...**

- 2006 წელს უდიდესი გუნდი გვყავდა, იმ ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კრებული, რომელთაც საკუთარი ოსტატობა უმაღლეს დონეზე დაამტკიცეს. ახალ გუნდში, რომელიც, იმედია, ითამაშებს 2010 წლის მსოფლიო თასზე, ბევრი ახალბედაა. გუნდი ახლა ყალიბდება და პოტენციალის დემონსტრირებას ახდენს, თანაც საქმეს დიდი ენთუზიაზმით ეკიდება. ამაში ლიპის დაბრუნებამ ითამაშა განსაკუთრებული როლი. გვსურს, 2006 წლის შედეგი გავიმეოროთ და დავივიწყოთ ევროპის ჩემპიონატზე ნაწვნევი მარცხი.

**- რა საიდუმლოებაა იმ გოლებში, რომლებიც საჯარიმო დარტყმებით გაგიტანიათ?**

- ყოველთვის ვაკვირდებოდი უდიდეს ფეხბურთელთა თამაშების ვიდეოჩანაწერებს. ბედნიერი ვიყავი, რომ ვთამაშობდი ისეთი ადამიანის გვერდით, როგორიცაა რობერტო ბაჯო, რომლის რამდენიმე საინტერესო რჩევაც გავითვალისწინე. მაგრამ მარტო ეს ვერ გიშველის, თუ ბუნებრივი ნიჭიც არ გაქვს. ამავე დროს, უზარმაზარი შრომაცაა საჭირო, მეტადრე ვარჯიშების დროს.

**- დღევანდელ ფეხბურთზე რას იტყვით?**

- ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. დღეს ყველა გუნდი კარგად ორგანიზებული და კონკურენტუნარიანია. სუსტები აღარ არიან და ყოველ კვირას ვეღარ მოიგებ მატჩებს 5-6 ბურთის სხვაობით, ისე, როგორც ადრე იყო. ყოველთვის 100 პროცენტით უნდა დაიხარჯო, რათა რაიმე სიურპრიზი არ მოხდეს.

**- თქვენ სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ვინ არის სინამდვილეში ანდრეა პირლო?**

- მიყვარს მხიარულება და სხვების გართობა. ვინც კარგად არ მიცნობს, ვერ გრძნობს ამას, ან არ მენდობა. დრო უნდა გავიდეს, რათა მიხვდნენ, ვინ ვარ სინამდვილეში. „მილანში"კი ყველაზე დიდი მასხარა ჯენარო გატუზოა.

**- თქვენი ჰობი?**

- ოჯახთან ერთად მიყვარს დროის გატარება, მეუღლესა და ბავშვებთან ყოფნა. საწვრთნელი შეკრების დროს ალესანდრო ნესტასთან ერთად კომპიუტერით ფეხბურთს ვთამაშობ. მე „მილანს" ვირჩევ ყოველთვის, ნესტა კი სხვას. ნამდვილი პირლოს იმიტირება არ შეიძლება, კომპიუტერულ თამაშშიც კი (იცინის).

**- რაიმე დარჩა ისეთი, რაზეც საუბარი გსურთ?**

- მაპატიეთ, მაგრამ დიდი მოსაუბრე არ გახლავართ. ახლაც ვგრძნობ, რომ ძალიან ბევრს ვლაპარაკობ (იცინის).

**დავით ჩუბინიძე**

ამბები

## რუნის აგენტი ისევ დასჯილია

**უეინ რუნის** აგენტი **პოლ სტრეტფორდი** აპელაციითაც ვერას გახდა. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ძალაში დატოვა მისი 18-თვიანი დისკვალიფიკაცია. ამას გარდა, მისტერ სტრეტფორდს ასოციაციის სასარგებლოდ 300 ათასი გირვანქის გადახდა დაეკისრა. საქმე ეხება ექვსი წლის წინანდელ მოვლენებს, რომელთა შედეგად, სტრეტფორდი ინგლისელი ვარსკვლავის აგენტად მოგვევლინა. ასოციაციამ დაადგინა, რომ ამ უკანასკნელმა რუნისთან მოლაპარაკებები იმ დროს გააბა, როდესაც ფეხბურთელს (იმხანად "ევერტონის" ამომავალ ვარსკვლავს) სხვა აგენტთან ხელშეკრულება აკავშირებდა. სტრეტფორდმა უეინის საქმეების წარმართვის უფლება კანონდარღვევით მოიპოვა.

უეინს მისტერ პოლთან დღემდე მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. არცაა გასაკვირი: სწორედ სტრეტფორდი იყო ის პიროვნება, რომელიც რუნის პირველი პროფესიული კონტრაქტის გაფორმებაში დაეხმარა და მისი კვირეული ანაზღაურება 80 გირვანქიდან ერთბაშად 13 ათასამდე გაზარდა. სტრეტფორდის სახელს უკავშირდება რუნის 27 მილიონიანი ტრანსფერი „მანჩესტერ იუნაიტედში" 2004 წელს, რომელმაც ფეხბურთელს კიდევ უფრო სარფიანი კონტრაქტი, ხოლო აგენტს 1.5 მილიონი გირვანქა მოუტანა.

## ჯო კინეარი: კარგი არაფერი გველის

„ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი **ჯო კინეარი** საკუთარი გუნდის მომავალზე ღრმად ჩაფიქრდა. „კაჭკაჭებს" სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ და შესაბამისად, ეს გუნდში კრიზისის გაღრმავებას ხელს უწყობს. მისი აზრით, ერთადერთი გამოსავალი შემადგენლობის გაძლიერებაა. *„ჩვენს პრობლემებს ჰაბიბ ბეიეს ტრავმაც დაემატა. საბედნიეროდ, ტრავმა იმაზე მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით, თუმცა მას სამი კვირით დასვენება მაინც მოუწევს. მარკ ვიდუკას კოჭი აქვს შესიებული და ისიც სამ კვირას გამოტოვებს. ობაფემი მარტინსის დაბრუნებას კიდევ ორი კვირა უნდა ველოდოთ. ჯოი ბარტონი გაზაფხულამდე არ იქნება. ჩვენი გასაჭირი ნიკი ბატის დაშავებამ დააგვირგვინა. წარმოდგენა არ მაქვს, რა გვეშველება მომდევნო მატჩში. წინ ძალიან რთული იანვარი გველის. უკვე მივმართე მაიკ ეშლის და დირექტორთა საბჭოს და ვთხოვე, რომ გუნდის გაძლიერებაზე იზრუნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კარგი არაფერი გველის",* - განუცხადა ირლანდიელმა სპეციალისტმა „ნიუკასლ ივნინგ ქრონიკლს".

## შურისძიება ცოლის შეურაცხყოფისთვის

„ინტერის" ფეხბურთელმა **ლუის ხიმენესმა** სერიოზულ სკანდალში გაყო თავი. ორშაბათს, გამთენიისას სანტიაგო დე ჩილეს ღამის ბარ „კოსტა ვარუაში" მან დაუნდობელი ჩხუბი წამოიწყო. ის „ვასკო და გამას" თავდამსხმელ **მაურისიო პინილიას** მუშტებითა და წიხლებით გაუმასპინძლდა. დაპირისპირების მიზეზი ფრიად საინტერესოა. 2007 წელს ჩილეს ერთ-ერთ სპორტულ გაზეთში სკანდალური ფოტო დაიბეჭდა, სადაც აღბეჭდილი იყო, პინილია ხიმენესის ცოლს **მარია ხოსე ლოპესს** მკერდსა და უკანალზე როგორ ეფერებოდა. მას შემდეგ რატომღაც ისე მოხდა, რომ „ინტერისა" და „ვასკოს" ფეხბურთელების გზები არ გადაკვეთილა. მათ მხოლოდ ახლა, დახურულ, ეგრეთ წოდებულ ექსკლუზიურ წვეულებაზე ნახეს ერთმანეთი. ხიმენესს გაახსენდა, რომ პინილიამ საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა და კოლეგას დაუნდობელი ჩხუბი დაუწყო. თავდაპირველად ვალში მაურისიოც არ დარჩა, თუმცა „ინტერის" განრისხებული ნახევარმცველი მტერს მაინც მოერია და სასტიკად ურტყა. შედეგად პინილია საავადმყოფოში აღმოჩნდა, ხიმენესი კი პოლიციის განყოფილებაში. ადვოკატის შუამდგომლობით, მოსამართლემ იტალიური გრანდის ფეხბურთელი გირაოთი გაათავისუფლა, თუმცა ხიმენესს სასამართლოს დარბაზში მისვლა აუცილებლად მოუწევს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ვარსკვლავი

# ბექჰემი: მორიგი სვირინგი

## დევიდის გატაცება ვიქტორიას დიდი ნერვიულობის ფასად უჯდება

**დევიდ ბექჰემი** დუბაიშია. გუშინ მან „მილანთან" ერთად პირველად ივარჯიშა. გუშინვე მიმომხილველებმა პირველად იხილეს ინგლისელი გალაქტიკოს ახალი სვირინგი. „დეილი მეილი" იუწყება, რომ **ვიქტორია ბექჰემი** ამ სვირინგის გაკეთებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.

ახალი ნახატი დევიდის მარცხენა მკლავის შიდა მხარესაა ამოსვირინგებული. ამ ფოტოზე სკანდალური სვირინგი ძალიან ცუდად ჩანს. ბექზმა მეუღლის მოთხოვნა, როგორც ჩანს, მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა და სურვილი ისე აისრულა, რომ ნახატი უცხო თვალისათვის ფაქტობრივად შეუმჩნეველი ყოფილიყო. მაგრამ ინგლისელ ტაბლოიდებს, აბა, რას გამოაპარებდა?

სვირინგი ებრაულ ენაზე დაწერილი ბიბლიური ანდაზაა: *„შვილო ჩემო, ნუ დაივიწყებ შეგონებასა ჩემსას და გახსოვდეს მცნებები ჩემი."* იქვე ებრაულ ენაზე კიდევ ერთი წინადადებაა მიწერილი: *„მე ჩემი საყვარლისა ვარ და ჩემია საყვარელი ჩემი."* სხვათა შორის, მეფე **სოლომონის** ეს სიტყვები ვიქტორიასაც აქვს ამოსვირინგებული, მაგრამ მეუღლის სურვილს რატომღაც ძალიან შეეწინააღმდეგა.

ბექჰემებთან დაახლოებულმა წყარომ „დეილი მეილს" განუცხადა, რომ ვიქტორიას უკვე მობეზრდა დევიდის სვირინგებით ავადმყოფური გატაცება. მას სურს, რომ მისმა ქმარმა სხეულზე მეტი აღარაფერი დაიხატოს. მაგრამ როგორც ჩანს, დევიდი იქამდე გააგრძელებს სხეულზე ხატვის ოსტატთან სიარულს, სანამ მოუხატავი ადგილი აღარ დარჩება.

აქვე გეტყვით, რომ „მილანის" გარდა, დუბაიში კიდევ რამდენიმე წამყვანი ევროპული კლუბი იმყოფება. რამდენიმე დღეში „დუბაი ფუტბოლ ჩელენჯის" ტურნირი გაიმართება. დაგეგმილია „როსონერის" ამხანაგური მატჩი გერმანულ „ჰამბურგთან". ბექჰემის დებიუტიც სწორედ იმ დღეს შედგება.

**შალვა ბიბილაშვილი**



გუშინ დუბაიში: დევიდ ბექჰემის პირველი მილანური ვარჯიში

ინტერვიუ

რაფა ბენიტესი

# გვარდიოლა გენიოსია

## ლივერპულის მწვრთნელი სამეფო კლუბს არაფერს დაუთმობს, ის უეფას უფლებას არ მისცემს, რეალის სასარგებლოდ გამონაკლისი დაუშვას...



რაფა ბენიტესი

მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრები და მწვრთნელები „ლივერპულთან“ საბრძოლველად ამთავითვე ემზადებიან. ესპანელებს შესანიშნავად ესმით, რომ „წითლები“ ძალიან სახიფათონი არიან. მიუხედავად იმისა, რომ საჩემპიონთალიგო დაპირისპირებამდე ორი თვე დარჩა, სამეფო კლუბის მესვეურები არ მალავენ, რომ ყველაზე ხშირად სწორედ „ლივერპულთან“ მატჩზე ფიქრობენ. ბუნებრივია, უდარდელად არც რაფა ბენიტესია. ბრიტანული გრანდის ესპანელი თავკაცი ხუანდე რამოსისგან განსხვავებით შიდა ჩემპიონატს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგასაც ეხმაურება და მადრიდულ გიგანტს დაუფარავ ბრძოლას უცხადებს. როგორც იცით, უეფამ „რეალის“ მესვეურებს მცირე ხნის წინ შეძენილი ჰუნტელაარისა და ლასანა დიარას საჩემპიონთალიგო განაცხადში ერთდროულად შეყვანა აუკრძალა. ესპანელებმა მხოლოდ ერთი მათგანი უნდა აირჩიონ. ისიც მოგახსენეთ, რომ რამონ კალდერონი მიშელ პლატინისთან პირადად შეხვედრასა და პრობლემის მოგვარებას შეეცდება. პრეზიდენტი პლატინისგან გამონაკლისის დაშვებას ითხოვს. რაფა ბენიტესს ამასთან დაკავშირებით მტკიცე და მყარი პოზიცია აქვს. მისი აზრით, გამონაკლისის დაშვება დანაშაულის ტოლფასი იქნება. ბენიტესს „დიარიო ასის“ კორესპონდენტი მანუელ სანჩესი გამოეხმაურა.

**- მადრიდელების გააქტიურებას როგორ აფასებთ?**

- ძალიან კარგად მესმის მათი. „რეალს“ ახლა ნებისმიერი მწვრთნელი გაუგებდა. არ ვიცი, რა მოხდა, მიატოვიჩმა შეცდომა დაუშვა, თუ სხვა რამ გახდა პრობლემის წარმოქმნის მიზეზი, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მათ უეფას თასზე ნათამაშები ორი ფეხბურთელი შეიძინეს. უეფას კანონმდებლობით კი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში მხოლოდ ერთი ასეთი მოთამაშის ჩაწერა შეიძლება.

**- გასაგებია, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ რამონ კალდერონი მიშელ პლატინისთან შეხვედრასა და გამონაკლისის დაშვებას ითხოვს.**

- ეს უბრალოდ გამორიცხულია. რა თქმა უნდა, კალდერონის საქმეა, ვის შეხვდება, მაგრამ არა მგონია, მიშელ პლატინიმ სამეფო კლუბის სასარგებლოდ გამონაკლისი დაუშვას.

**- მოვლენები გაუთვალისწინებელი სცენარით რომ წარიმართოს?**

- მაშინ საქმეში მე ჩავერთვები და ყველაფერს გავაკეთებ, რათა „რეალი“ პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს. გარანტიას გაძლევთ, თუ ბრძოლის დაწყება გახდება საჭირო, უკან არ დავიხევ და ბრძოლას მოვიგებ. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, სენიორ კალდერონი რა მოტივით ითხოვს გამონაკლისის დაშვებას. ჩემთვის ტრავმები არგუმენტი არ არის. დარწმუნებული ვარ, უეფაც ასე ფიქრობს.

**- გეთანხმებით, მაგრამ კალდერონი მაინც იმ კლუბის პრეზიდენტია, რომელსაც ტრავმებმა წელს უამრავი პრობლემა შეუქმნა...**

- დამისახელეთ თუნდაც ერთი კლუბი, რომელსაც ამა თუ იმ დროს ტრავმებთან დაკავშირებული პრობლემები არ შექმნია. რა თქმა უნდა, ასეთი გუნდის პოვნას ვერ შეძლებთ. ფეხბურთი ძალიან ფართო გაგების თამაშია. ამ თამაშში ყველაფერი ხდება. გახსოვთ, ერთხელ ჟოზე მოურინიომ დისკვალიფიკაცია მიიღო და მიუნხენში „ბაიერნთან“ მატჩში გუნდს სამწვრთნელო სავარძლიდან ვერ უხელმძღვანელა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ის სასტუმროში დარჩა და შეხვედრა ტელეტრანსლაციის საშუალებით იხილა. გარწმუნებთ, ეს ფაქტი „ჩელსისთვის“ წარმოუდგენლად დიდი პრობლემა იყო, მაგრამ ლონდონელებს გამონაკლისის დაშვება არავისთვის უთხოვიათ. ტრავმა და დისკვალიფიკაცია ფეხბურთის ისეთივე თანმდევი მოვლენებია, როგორიც პენალტი, ან თამაშგარე მდგომარეობა. განა შეიძლება თამაშის დასრულების შემდეგ მოვითხოვოთ, გამონაკლისი დაუშვით და თამაშგარე მდგომარეობიდან გასული გოლი არ ჩათვალოთო? რა თქმა უნდა, არა. ფეხბურთი შეცდომებსაც აღიარებს და ტრავმებსაც. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მადრიდელების ძალიან კარგად მესმის. ისინი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან და უნდათ, ამ კრიზისიდან მაქსიმალურად იოლად გამოვიდნენ, მაგრამ ამისთვის ფეხბურთისთვის სრულიად მიუღებელი მეთოდებით ბრძოლა გაუმართლებელია. წარმოიდგინეთ, უეფამ „რეალის“ სასარგებლოდ გამონაკლისი რომ დაუშვას ამას რა მოჰყვება. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი მასშტაბური აჯანყებით დასრულდება. რა დააშავეს ღარიბმა და ნაკლები გავლენის მქონე კლუბებმა? მათ რა უნდა ვუთხრათ, სამეფო კლუბი ყველაზე ტიტულოვანი და მდიდარია, ამიტომ, მას თქვენზე მეტი უფლება აქვსო? სად არის თანასწორობა და დემოკრატია? მოკლედ, გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, იმ შემთხვევაში, თუ უეფა სამეფო კლუბის თხოვნას დააკმაყოფილებს, ყველა ინსტანციაში მივალ და მაინც გავიმარჯვებ.

**- თქვენი აზრით, ჰუნტელაარისა და დიარას განაცხადში მოხვედრა „ლივერპულს“ ამდენად დიდ საფრთხეს უქმნის?**

- საფრთხე არაფერ შუაშია! ჩვენ პრინციპების ერთგული უნდა ვიყოთ. და მეორე, ჰუნტელაარისა და დიარას განაცხადში ერთდროულად შეყვანით, მადრიდელები პრობლემებს ნაწილობრივ მაინც მოაგვარებენ და გაძლიერდებიან. მე კი, „ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელი ვარ და სულაც არ მინდა, რომ ჩვენი მეტოქე უკანონო გზით გაძლიერდეს.

**- დარწმუნებული ხართ, რომ კალდერონის ადგილზე თქვენ ასე არ მოიქცეოდით?**

- წმინდანობასა და ყველაზე დიდ პატიოსნებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ საფეხბურთო საზოგადოებას უკანონო მოთხოვნით არ შევაწუხებდი. კალდერონის ადგილზე მხოლოდ ვიოცნებებდი. ალბათ, ღამით ძილში დამესიზმრებოდა, რომ უეფამ განაცხადში ორივე ფეხბურთელის შეყვანის უფლება მომცა... თუმცა, რა თქმა უნდა, უეფაში გამონაკლისის დაშვების თხოვნით არ მივიდოდი. ჩემი აზრით, ასეთი თხოვნა, თუ მოთხოვნა, საფეხბურთო წესრიგს ეწინააღმდეგება. თუ თანასწორობის ღვთაებრივი პრინციპი დაცული არ იქნება, ყველაფერს აზრი დაეკარგება. ასეთი ფეხბურთი პირადად მე არაფერში მჭირდება.

**- კარგი, ახლა „ლივერპულის“ შესახებ ვილაპარაკოთ. თქვენი გუნდი არაჩვეულებრივ ფორმაშია. წინა ტურში „ნიუკასლს“ 5:1 მოუგეთ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ კონკურენტებზე რამდენიმე თავით მაღლა დგახართ?**

- ახლა არ მითხრათ, „ლივერპულს“ „ბარსელონის“ მსგავსად ჩემპიონობა განაღდებული აქვსო. არა, სენიორ! შესაძლოა, დღეს კონკურენტებზე უკეთ ვთამაშობთ, მაგრამ როცა წინ კიდევ 18 ტურია, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. კონცენტრაციის დაკარგვა წამითაც არ შეიძლება. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „ნიუკასლს“ გამანადგურებელი ანგარიშით მოვუგეთ, თუმცა თამაში 0:1 რომ დასრულებულიყო, მაინც სამ ქულას მოვიპოვებდით. ჩემი აზრით, „ლივერპულს“ ყველაზე რთული შეხვედრები ჯერ არ ჩაუტარებია. ყველაფერი წინ გველის. საშუალო შესაძლებლობების გუნდები და აუტსაიდერებიც კი დაუნდობელ ბრძოლებს გაგვიმართავენ. უშუალო კონკურენტებზე აღარაფერს ვამბობ.

**- ყველა შეთანხმებულია, რომ „ლივერპული“ არაჩვეულებრივ შედეგებს აღწევს, მაგრამ საინტერესოა, თქვენი გუნდის თამაშის ხარისხით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- უკმაყოფილო ნამდვილად არ გახლავართ, თუმცა იმის თქმაც შეიძლება, რომ „ლივერპულის“ შესაძლებლობების ზღვარი აქ არ გადის. ბიჭებს ჩემი მსოფლმხედველობა ძალიან კარგად ესმით. ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანია. უკვე მრავალი წელია „ენფილდზე“ ვმუშაობ, ამიტომ ფეხბურთელების დიდ ნაწილთან არაჩვეულებრივი თანამშრომლობა მაქვს, ჩვენ, ფაქტობრივად, უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის და ვიცით, როდის რა უნდა გავაკეთოთ. ბუნებრივია, საქმე ყოველთვის იდეალურად არ გამოგვივა, მაგრამ მთავარია, რომ მწვრთნელი და ფეხბურთელი ჰარმონიულად მუშაობდნენ. დიახ, ჰარმონიის გარეშე დიდი ფეხბურთი არ არსებობს.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ წელს პრემიერლიგაში შედარებით ნაკლებ კონკურენციას აწყდებით?**

- ამას რატომ ამბობთ? იმიტომ ხომ არა, რომ კონკურენტებს ვუსწრებთ და საუცხოო ფორმაში ვართ (იცინის). პრემიერლიგაში ყოველთვის დიდი კონკურენცია იქნება. წელს ჩვენ ვდომინირებდთ, მაგრამ ეს ჩვენი მოწინააღმდეგეების დასუსტების ბრალი არ არის. მითხარით, რომელი გუნდი დასუსტდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“? თუ „არსენალი“ ან „ჩელსი“? რა თქმა უნდა, არა. საქმე ის არის, რომ „ლივერპული“ არაჩვეულებრივ ფორმაშია. წარმატებები ჩვენი შრომის დამსახურებაა.

**- როგორ ფიქრობთ, საჩემპიონო მარათონს ასევე დამაჯერებლად გააგრძელებთ?**

- ჯადოქარი არ ვარ, რომ ვიწინასწარმეტყველო, მაგრამ საფუძვლიანი ანალიზის გაკეთების შემდეგ შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემპიონობისთვის პრეტენზიის გასაცხადებლად აბსოლუტურად ყველა პირობა გვაქვს. მთავარია, ტრავმებმა ხელი არ შეგვიშალოს. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან ფეხბურთელები გადაიღლებიან, მაგრამ ფართო შემადგენლობა იმისთვის არსებობს, რომ მწვრთნელმა როტაციები განახორციელოს და რომელიმე ფეხბურთელის ფორმიდან ამოვარდნამ უმტკივნეულოდ ჩაიაროს.

**- ფერნანდო ტორესის თამაშით კმაყოფილი ხართ?**

- მას გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ელ ნინიოს“ თამაშით კმაყოფილი არ ვარ. ფერნანდო „ლივერპულის“ ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერად იქცა. მერწმუნეთ, ეს არ არის იოლი. მით უმეტეს, უცხოეთიდან ჩასული ახალგაზრდა ბიჭისთვის. ეჭვი არ მეპარება, ტორესი 2-3 წლის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება.

**- სტივენ ჯერარდის დაპატიმრებაზე რას იტყვით?**

- მესმის, რომ საზოგადოების ინტერესი ძალიან დიდია, მაგრამ ნება მომეცით, ამ თემაზე ახლა არ ვილაპარაკო.

**- ალბათ, კითხვის დასმაც არ არის საჭირო, რომ პრიმერა დივიზიონის თამაშებს სისტემატურად უყურებთ...**

- რა თქმა უნდა. მე ესპანელი [illegible] სადაც არ უნდა წავიდე, პრიმერა დივიზიონს არ მივატოვებ (იცინის). დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან „ლა ლიგაში“ დაბრუნება მომიწევს, ამიტომ აუცილებელია, რომ ჩვენი ფეხბურთის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ვფლობდე. მაშინ, როცა „ლივერპულის“ თამაშები პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებებს ემთხვევა, ცხადია, ტელევიზორთან ვერ დავჯდები, მაგრამ შეხვედრებს დისკზე ვაწერინებ და სახლში დაბრუნების შემდეგ ყურადღებით ვუყურებ ხოლმე.

**- წლევანდელ სეზონზე რა აზრის ხართ?**

- როგორც ყოველთვის პრიმერა დივიზიონი წელსაც ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს. „ბარსელონა“ დიდი სხვაობით გაიჭრა წინ. ერთი შეხედვით, ამით ჩემპიონატს ინტრიგა დაეკარგა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ კატალონიელები ქულებს დაკარგავენ და საჩემპიონო ბრძოლა გაცილებით საინტერესო გახდება, თუმცა „ბარსა“ ნებისმიერ შემთხვევაში უპირველესი ფავორიტი იქნება.

**- წელს ყველაზე მეტად რომელი გუნდი მოგწონთ?**

- ბუნებრივია, „ბარსელონა“. პეპ გვარდიოლა დაუჯერებლად კარგად მუშაობს. ალბათ, ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ დიდი სამწვრთნელო გამოცდილების არმქონე კაცი ასეთ საოცარ გუნდს ჩამოაყალიბებდა, მაგრამ საზოგადოებას რატომღაც დაავიწყდა, რომ ის „მასიაში“ („ბარსელონის“ საწვრთნელი ბაზა) გაიზარდა. გვარდიოლასთვის კატალონიური საფეხბურთო ღირებულებები ისეთივე ორგანულია, როგორც გული და ღვიძლი. მან გუნდის შესაძლებლობები არაჩვეულებრივად შეისწავლა, სიტუაცია გაანალიზა და მიხვდა, რომ ამ შემადგენლობას კატალონიური ფეხბურთის მაღალ დონეზე თამაშის უნარი შესწევს. გვარდიოლა გენიოსია. ძალიან ხმამაღალი შეფასებაა, მაგრამ ამდენად ახალგაზრდა სპეციალისტი ასეთ მცირე დროში ამხელა შედეგის მიღწევას სხვა შემთხვევაში ვერ შეძლებდა.

**- ისევ „რეალს“ დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, წარუმატებლობების მიზეზი მხოლოდ ტრავმებია?**

- მოდით, სხვა გუნდის პრობლემებზე საუბარს ნუ მომთხოვთ. ჩემი მხრიდან ეს არაეთიკური იქნება.

ილია ნიკოლაიშვილი

აჭარის რჩეულნი



დავით ბედინაძემ მეტოქე აიტაცა

# დავით ბედინაძე კვლავ საუკეთესოა

2008 წლის ბოლოს საახალწლოდ აჭარაში, ტრადიციულად, ...10 საუკეთესო სპორტსმენის და მწვრთნელის დაჯილდოება გაიმართა. ამავდროულად განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2008 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში წარმოადგინა. ეს წელი აჭარის სპორტსმენთათვის წარმატებული გამოდგა, მათი მონაგარი 58 ოქროს, 43 ვერცხლის და 55 ბრინჯაოს მედალია. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ მორაგბეთა და კალათბურთელთა გუნდი კი უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა

აჭარის წლის საუკეთესო სპორტსმენად კვლავ **დათო ბედინაძე**, ხოლო საუკეთესო მწვრთნელად, მისი მწვრთნელი **გელა ჯანელიძე** დასახელდნენ. დათო წლის საუკეთესო სპორტსმენთა შორის მესამედ აირჩიეს და ყოველთვის პირველი იყო. სამწუხაროდ, ის ქალაქში არ იმყოფებოდა და მასთან დაკავშირება ვერ შევძელით. საუკეთესონი განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებულმა კომისიამ გამოავლინა. კომისიას მინისტრის პირველი მოადგილე **ირაკლი ბარამიძე** ხელმძღვანელობდა.

დაჯილდოების ცერემონიალი სპეციალურად მომზადებული ვიდეორგოლით გაიხსნა. იქვე შედგა გამოსაცემად გამზადებული წიგნის - "აჭარის სპორტის საუკუნოვანი ისტორიის" პრეზენტაცია. წიგნი მალე გამოვა. მასში 1905 წლიდან 2008 წლამდე აჭარის სპორტსმენთა ყველა მიღწევაა თავმოყრილი და 2000-მდე უნიკალური ფოტოა შეტანილი. ავტორი **ლევან ჯიოშვილი** მასალებს რვა წელიწადს აგროვებდა და უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, აჭარაში მართლაც რომ საუკუნის წიგნი შექმნა.

სპორტულ საზოგადოებას სიტყვით განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მათე ტაკიძემ** მიმართა.

*"მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველა სპორტსმენს, მწვრთნელს, ფედერაციას გაწეული ღვაწლისათვის, ეს წარმატებები, უმძიმესი შრომის შედეგადაა მოპოვებული. ჩვენი მხრიდან, სპორტს მაქსიმალური მხარდაჭერა ექნება და ყველანაირად შეგიწყობთ ხელს, რომ 2009 წელი უფრო წარმატებული იყოს.*

*მადლობა ყველას, მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს რომ ასახელებთ. ღმერთმა გაგახაროთ, დაგლოცოთ! უფალი იყოს თქვენი მფარველი. მშვიდობიან და უბრწყინვალეს შობას გისურვებთ, რომელიც უდიდესი დღესასწაულია თითოელი ჩვენთაგანის სულში."*

**10 საუკეთესო სპორტსმენი**

1. **დათო ბედინაძე** – ბერძნულ - რომაული ჭიდაობა – მსოფლიოს თასის მფლობელი, 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (მწვრთნელი- **გელა ჯანელიძე**).
2. **ვახტანგ ზოიძე** – სამბო - მსოფლიოს ჩემპიონი სტუდენტთა შორის (მწვრთნელი - **სულიკო ფეიქრიშვილი**).
3. **კობა კაკალაძე** – თავისუფალი ჭიდაობა – ევროპის ვერცხლის პრიზიორი (მწვრთნელი- **ჯემალ კილაძე**).
4. **მამუკა კორძაია** – თავისუფალი ჭიდაობა – ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (მწვრთნელი- **ჯამბულ აფხაზავა**).
5. **ნოდარ ლორთქიფანიძე** – ჭადრაკი – მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი 14 წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის, ევროპის ჩემპიონი 14 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეთა შორის (მწვრთნელი - **ლეონიდე ნეურონოვი**).
6. **ხათუნა ნარიმანიძე** – მშვილდოსნობა - საქართველოს ჩემპიონი, აზიის გრანპრის მესამე პრიზიორი, მსოფლიო თასი - მე-8 ადგილი; ზაფხულის ოლიმპიური თამაშები - მე-9 ადგილი; მსოფლიო რეიტინგში მე-13 ადგილი; ევროპის რეიტინგში მე-7 ადგილი (მწვრთნელი - **თამაზ ფუტკარაძე**).
7. **უჩა შავაძე** - ბერძნულ - რომაული ჭიდაობა – ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (მწვრთნელი - **ლევან შავაძე**).
8. **რამინ შაქარიშვილი** ბერძნულ - რომაული ჭიდაობა – ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის (მწვრთნელი- **ილია ტულუში**).
9. **რატი წითელაძე** –კიუკუშინკაი კარატე - მსოფლიოს ჩემპიონი **"K-I"**-ის წესებით; კავკასიის ჩემპიონი ჩინურ იაპონურ კიოკუშინ კარატეს წესებით; საქართველოს ჩემპიონი ჩინურ კუნგ-ფუ სანდას წესებით. (მწვრთნელი- **კახაბერ მარკოზაშვილი, თბილისი**).
10. **ბექა ჭელიძე** - თავისუფალი ჭიდაოპა - მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის (მწვრთნელი- **მარადი არძენაძე**).

**საუკეთესო მწვრთნელები**

1. **გელა ჯანელიძე** – ბერძნულ - რომაული ჭიდაობა.
2. **ჯამბულ აფხაზავა** – ბერძნულ - რომაული ჭიდაობა.
3. **მარადი არძენაძე** – თავისუფალი ჭიდაობა.
4. **ჯემალ კილაძე** – თავისუფალი ჭიდაობა.
5. **ლეონიდე ნეურონოვი** – ჭადრკი.
6. **ილია ტულუში** – ბერძნულ - რომაული ჭიდაობა.
7. **თამაზი ფუტკარაძე** – მშვილდოსნობა.
8. **სულეკო ფეიქრიშვილი**- ძიუდო.
9. **ლევან შავაძე** – ბერძნულ - რომაული ჭიდაობა.
10. **აკაკი ცენტერაძე** - ტაეკვანდო.

**საუკეთესო ფედერაციები**

1. **ჭადრაკის ფედერაცია** - პრეზიდენტი **აკაკი იაშვილი**.
2. **მშვილდოსნობის ფედერაცია** – პრეზიდენტი **გელა ცხომელიძე**.
3. **ჭიდაობის ფედერაცია** – პრეზიდენტი **რაულ თავართქილაძე**.

საუკეთესოებში დასახელებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს სამახსოვროდ ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

**მირანდა მიქაძე**

თვის მონაგარი — დეკემბერი

**2-3. ძიუდო:** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი.

**3. ფეხბურთი:** საქართველოს სუპერთასი თბილისის „დინამომ" მოიგო.

**4. კალათბურთი:** რუსთაველმა **რამაზ გოგობერიშვილმა** სპორტული კარიერა დაასრულა.

**5-6. ფიგურული ციგურაობა:** **ელენე გედევანიშვილმა** დორტმუნდის საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

**9. ფეხბურთი:** სფფ-ს ალმასკომმა თანამდებობიდან გაათავისუფლა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი **პეტარ შეგრტი**, ხოლო **რევაზ არველაძე** სფფ-ის გენერალურ მდივნად გადაიყვანა. გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი გახდა.

**9. ფეხბურთი:** **ექტორ რაულ კუპერმა** რიგით მესამე "სამშაბათობა" მოაწყო. შეკრებაზე მან ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები მიიწვია.

**13. რაგბი:** საქართველოს თასის ფინალში „ლელომ" 28:9 დაამარცხა "აკადემია" და თასი პირველად მოიპოვა

**16. ზოგადი:** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა წლის ყველაზე სპორტულ ქალაქად რუსთავი დაასახელა.

**16. ფეხბურთი:** ექტორ რაულ კუპერმა რიგით მე-4 "სამშაბათობა" მოაწყო, ამჯერად მწვრთნელმა შეკრებაზე ლეგიონერი ფეხბურთელები მიიწვია.

**24. ზოგადი:** სეოკ-მა წლის საუკეთესო სპორტსმენად **ირაკლი ცირეკიძე** დაასახელა, გუნდად ძიუდოისტთა ნაკრები, მწვრთნელად – **ბეგი დარჩია.**

**27. რაგბი:** რაგბის კავშირის გამოკითხვამ წლის საუკეთესო მორაგბედ **მამუკა გორგოძე** მიიჩნია. ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბე **ვიქტორ კოლელიშვილია** ("ლელო"), მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი** ("ლელო").

**28. ზოგადი:** სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვით წლის საუკეთესო სპორტსმენად ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო) აღიარეს, წლის საუკეთესო გუნდი - მოჭადრაკე ქალთა ნაკრებია.

**29. ზოგადი:** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ვერსიით, წლის საუკეთესო სპორტსმენი ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო) გახდა, მწვრთნელი **ზაზა თურმანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა), გუნდი – საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრები.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ათლეტიზმი



# რიჩარდ კვიციანი გინესისკენ ისწრაფვის

დღემდე მკლავჭიდელად და მორკინალად ცნობილი, მესტიის რაიონის სოფ. ბეჩოს მკვიდრი **რიჩარდ კვიციანი** ამიერიდან გინესის რეკორდებისკენ მიმავალ გზას დაადგა და სულ მალე, მან შეიძლება საგინესო რეკორდის ახალ მიმართულებას დაუდოს სათავე. ჯერჯერობით მხოლოდ თანამემამულე **შოთა ქელდიშვილის** რეკორდი გააუმჯობესა - 3 საათის განმავლობაში 3 კგ-იანი ორბირთვით შეუსვენებლად 21238 მოძრაობა შეასრულა და 6854-ით გადააჭარბა 2001 წლის 21 დეკემბერს ქელდიშვილის მიღწევას. კვიციანი 38 წლისა.

სარეკორდო ასპარეზობის ორგანიზატორი იყო სპორტის დეპარტამენტი, კლუბები „ამირანი" და „გიორგი".

*„რიჩარდ კვიციანის შედეგი, რომელიც სპეციალური კომისიის თანდასწრებით დაფიქსირდა, ლონდონში გადაეგზავნება გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის დირექციას. უახლოეს ხანში კი იგი შეეცდება 5, 7 და 13 კგ-იანი ორბირთვებით პირველმა დაამყაროს მსოფლიო რეკორდები"*, - თქვა მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირ-კლუბ „გიორგის" თავმჯდომარემ **გვანჯი მანიამ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ფაჩულია ქორებს 8 ქულით შეეწია

ზაზა ფაჩულიას „ჰოქსმა" მორიგი გამარჯვება იზეიმა, ჯორჯიელებმა შინ „დენვერი" დაამარცხეს – 109:91. ატლანტაში „ქორებმა" ზედიზედ მერვედ ითამაშეს და მეშვიდედ მოიგეს, რაშიც თავისი წვლილი სარეზერვო ცენტრ-ფორვარდმა ფაჩულიამაც შეიტანა. ზაზამ ჯამში 19 წუთი ითამაშა, იგი ორმაგ დუბლს შესწვდა. ჩვენებურმა „ჰოუქსს" 8 ქულა და 8 მოხსნა მოუტანა. ქართველმა კალათბურთელმა ცოტ-ცოტა თითოეულ მეოთხედში ითამაშა. ზაზა ფაჩულია სეზონში საშუალოდ 5,5 ქულით და 6,0 მოხსნით ეხმარება „ატლანტას".

**ფაჩულიას მონაგარი**

19 წუთი: 8 ქულა, 8 მოხსნა, 3 ფოლი

**I პერიოდი**

04:56 ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
04:08 ფოლი: 1
01:13 მოხსნა: შეტ-1, დაც-0
01:11 ფოლი: 2
00:54 მოხსნა: შეტ-1, დაც-1
00:09 ორქულიანი: არაზუსტი
00:07 მოხსნა: შეტ-2, დაც-1
00:07 საჯარიმოები: 2\2 (29:24)

**II პერიოდი**

11:41 მოხსნა: შეტ-2, დაც-2
09:37 ზაზა სმითმა შეცვალა

**III პერიოდი**

06:30 ზაზამ სმითი შეცვალა
04:27 მოხსნა: შეტ-2, დაც-3
03:05 ორქულიანი: 4ქ (74:67)
02:16 ორქულიანი: არაზუსტი
01:42 მოხსნა: შეტ-2, დაც-4
00:52 მოხსნა: შეტ-2, დაც-5
00:38 საჯარიმოები: 2\2 (6ქ, 78:71)

**IV პერიოდი**

11:24 ფოლი: 3
10:10 მოხსნა: შეტ-2, დაც-6
07:54 ორქულიანი: 8ქ (88:80)
06:50 ზაზა ჰორფორდმა შეცვალა

ვაჟა სიმონიშვილი


მანუჩარ მარკოიშვილი

# მანუს წინსვლა

გუშინ, უკრაინის თასის მატჩში "ბკ კიევმა", რომლის ერთ-ერთი ლიდერი საქართველოს ნაკრების წევრი **მანუჩარ მარკოიშვილია**, შინ 96:69 გაანადგურა "ბკ დონეცკი". პირველი მეოთხედი სტუმრებმა მოიგეს, თუმცა სენსაცია არ შედგა – ფავორიტმა "ბკ კიევმა" მეორე მეოთხედში წელში გატეხა მეტოქე, მატჩის ეს მონაკვეთი მარკოიშვილის გუნდმა 30:16 მოიგო. მანუჩარი სასტარტო ხუთეულში იყო, მან მოედანზე ჯამში 34 წუთი გაატარა. ქართველმა სნაიპერმა 6-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, შორეული მანძილიდან კი მხოლოდ ერთხელ ესროლა, ისიც არაზუსტად. 8 ქულას ჩვენმა ლეგიონერმა 7 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა და 4 ჩაჭრა დაუმატა. მოკლედ, მოედანზე ყოველმხრივ სასარგებლო იყო. მასპინძელთა შორის საუკეთესომ **კენან ბაირამოვიჩმა** 28 ქულა ჩააგდო. სტუმრებში კი **ქრის ოუენსი** გამოირჩა 17 ქულით. ეს საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი იყო, პირველი შეხვედრაც "ბკ კიევს" ჰქონდა მოგებული – 75:63.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ჩოგბურთი

# ლაზარე ნახევარფინალშია



უკვე გაუწყეთ, რომ 17 წლის **ლაზარე კუხალაშვილი** მოქალაქეობის შეცვლას ლამობს, რომ ამ მიზნით ქართველი ჩოგბურთელი ირლანდიის ჩემპიონატში (დახურულ კორტებზე) მონაწილეობს, სადაც მხოლოდ ირლანდიელები გამოდიან. ლაზარე მე-3 ნომრად იყო განთესილი, ორი სასტარტო გამარჯვების შემდეგ ის **მაიკლ ჰეიესს** შეხვდა და იოლად მოუგო – 6:2, 6:3. ქართველი ნახევარფინალშია, სადაც ირლანდიის ნაკრების მეორე ჩოგანს, **კოლინ ობრაიენს** შეხვდება. ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში ლაზარეს გაუადვილდება ირლანდიის მოქალაქეობის მიღება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**გუშინ ჩვენს ჟურნალისტს, ვაჟა სიმონიშვილს ქალიშვილი ნინო შეეძინა, ვულოცავთ!**

გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ **საჩუქრად**

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი"

ან „ვეფხისტყაოსანი"

„დიდი სამაგიდო ენციკლოპედია"

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"




**მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:**

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის განმავლობაში | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათინაი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kviirispalitra.com
მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს ხაზითუმი ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია **29 ლარი**

თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

**აქცია გრძელდება 31 დეკემბრამდე**

**გამოიწერეთ** ელვა

და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ავტოსპორტი

# დაკარი ამერიკას დაეწია

## ლეგენდარული რალი პირველად ისტორიაში აფრიკაში არ გაიმართება

**ახალ წელს პირველი დიდ შეჯიბრი რალი-რეიდი „დაკარი“ იქნება. თუმცა სენეგალის დედაქალაქ დაკართან და საერთოდ აფრიკასთან მას არაფერი აკავშირებს. პირველად არსებობის ისტორიაში, ლეგენდარული რალი სამხრეთ ამერიკაში - არგენტინისა და ჩილეს ტერიტორიაზე ჩაივლის. თუმცა სავარაუდოდ, ამ რბოლაში ტერიტორიის შეცვლა ძალთა თანაფარდობაზე არ იმოქმედებს.**

**ყველაზე დიდი ინტრიგა მსუბუქი ავტომობილების კლასში გველის. ეს იმიტომ, რომ ბოლო წლების უდავო ლიდერმა „მიცუბიშიმ“ უარი თქვა ყველასთვის კარგად ნაცნობ Pajero Evo-ზე და ის Racing Lancer-ის მოდელით შეცვალა.**

2009 წლის რალი-რეიდი უკვე შევიდა ისტორიაში, რადგან ის პირველად არ გაიმართება აფრიკაში. როგორც გახსოვთ, წელს ლეგენდარული ავტომარათონი საერთოდ არ ჩატარებულა, რადგან ორგანიზატორებმა საფრანგეთის მთავრობის ზეწოლით საერთოდ გააუქმეს რბოლა. საქმე ისაა, რომ შეუძლებელი იყო რალის მონაწილეებისთვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემა, განსაკუთრებით ეს მავრიტანიის ტერიტორიას ეხებოდა.

კომპანია Amaury Sport Organisation (ASO), რომელიც 30 წლის განმავლობაში ატარებს „დაკარს“, რა თქმა უნდა, არ აპირებდა ფართოდ რეკლამირებული ბრენდის დაკარგვას და ამიტომაც, დროებით ის სამხრეთ ამერიკაში გადაიტანა. რამდენად დროებითი იქნება ამგვარი ვარიანტი, ამას დრო გვიჩვენებს. ჯერჯერობით ASO ვარაუდობს, რომ „დაკარი“ მშობლიურ აფრიკას 2010 წელს დაუბრუნდება. მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ეს ადგილი უკვე დაკავებული იყოს. საქმეში ისაა, რომ „დაკარის“ სამგზის ჩემპიონი და წარსულში მისი დირექტორი **იუბერ ორიოლი** ერთ-ერთი იმათგანია (და ასეთები მრავლად არიან), ვინც არ მიესალმა „დაკარის“ სამხრეთ ამერიკაში გადატანის იდეას. საბოლოოდ, მან ორგანიზება გაუკეთა „რალი აფრიკას“, რომელიც პრაქტიკულად იმავე ვადებში ჩატარდება, რომელშიც „დაკარის“ გამართვაა ნავარაუდები. უფრო მეტიც, ფინიში დაგეგმილია ვარდისფერი ტბის ნაპირზე, სადაც ტრადიციულად რბოლას დაკარელები ასრულებდნენ.

მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, „დაკარის“ პოპულარობა გაცილებით მაღალია და შესაბამისად, ლეგენდარულმა რალიმ ღირსეული შემადგენლობა შეკრიბა. აქ სხვადასხვა კლასში მონაწილეობისთვის 500-ზე მეტი ეკიპაჟი შეიკრიბა, მათ შორის ბოლო წლების ლიდერები.

მსუბუქი ავტომობილების კლასში უდავო ლიდერია ქარხნული გუნდის - „მიცუბიშის“ პილოტი **სტეფან პეტერანსელი**. ლეგენდარული ფრანგის ანგარიშზე „დაკარის“ ცხრა (!) ტიტული მოდის. ექვსი მან მოტოციკლით მოიპოვა, კიდევ სამი (ბოლო 2007 წელს) „მიცუბიშის“ მანქანის საჭესთან.

როგორც უკვე ვთქვით, „მიცუბიშიმ“ წელს უარი თქვა ტრადიციული Pajero Evo-ს გამოყენებაზე. კონცერნის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ყველგანმავალის მარკის რეკლამირება საჭირო ეფექტს აღარ იძლევა და გადაწყვიტა უფრო მასიურ სეგმენტზე გადაერთოს. ასე რომ, მომავალ „დაკარზე“ იაპონური კომპანია C კლასის მოდელ Lancer-ით არის წარმოდგენილი. არგენტინისა და ჩილეს ტრასებზე „მიცუბიში“ გამოიყვანს მანქანას, რომელსაც Racing Lancer ერქმევა. სამოქალაქო Lancer-თან მას არანაირი კავშირი არ აქვს - მანქანები გარეგნულადაც კი არ ჰგვანან ერთმანეთს. მაგრამ მთავარია, როგორ მოიქცევა ახალი ავტომობილი საბრძოლო პირობებში.

პეტერანსელის ტახტიდან ჩამოგდებას აუცილებლად ეცდება რალის ცნობილი პილოტი **კარლოს საინსი**, რომელიც „ფოლკსვაგენის“ საჭეს მიუჯდება. შესაძლოა, ბრძოლაში ჩაებას BMW-ის რომელიმე პილოტიც.

არც სიურპრიზებია გამორიცხული, რადგან რალი აფრიკის უდაბნოებსა და რბოლა სამხრეთ ამერიკაში ორი განსხვავებული ცნება გახლავთ.

ახლა მარშრუტის შესახებ. რალი 3 იანვარს ბუენოს აირესში იწყება. მარშრუტის მთელი სიგრძე 9574 კილომეტრს უტოლდება, აქედან 5652 კილომეტრი სპეციალური მონაკვეთია.

არგენტინის დედაქალაქიდან მანქანები სამხრეთით - პუერტო-მადრინისკენ დაიძრებიან. იქ ქარავანი მოუხვევს, ღრმად შეიჭრება არგენტინის ტერიტორიაზე, ანდებთან გავა, გადაკვეთს მათ და ჩილეში (ვალპარაისო) აღმოჩნდება. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში დაკარი გაურბოდა სამთო ეტაპებს (ადრეულ წლებში ქარავანი ტრადიციულად ქაიროში გაივლიდა ხოლმე). აქ კი, ერთ-ერთ ეტაპზე მონაწილეები ზღვის დონიდან 4 ათას მეტრზე ავლენ, ეს ყველაფერი კი მანქანებისგან დამატებით შესაძლებლობებს მოითხოვს.

უკან, ჩილედან არგენტინის მიმართულებით მრბოლელებს, რა თქმა უნდა, ისევ მთების გავლა მოუწევთ, მაგრამ მანამდე იქნება ეტაპი უდაბნო ატაკამაში, რომელიც ყველაზე „მშრალია“ მსოფლიოში. ფინიში 18 იანვარს არგენტინის დედაქალაქშია დაგეგმილი.

| დაკარი 2009 | |
|---|---|
| 03.01 ბუენოს აირესი-სტაროსა დე ლა პამპა | 733 კმ |
| 04.01 სტაროსა დე ლა პამპა-პუერტო მადრინი | 837 კმ |
| 05.01 პუერტო მადრინი-ჰაკობაჩი | 694 კმ |
| 06.01 ჰაკობაჩი-ნოიკუენი | 488 კმ |
| 07.01 ნოიკუენი -სან რაფაელი | 763 კმ |
| 08.01 სან რაფაელი-მენდოსა | 625 კმ |
| 09.01 მენდოსა-ვალპარაისო | 816 კმ |
| 11.01 ვალპარაისო-ლა სერენა | 652 კმ |
| 12.01 ლა სერენა-კოპიაპო | 537 კმ |
| 13.01 კოპიაპო-კოპიაპო | 686 კმ |
| 14.01 კოპიაპო-ფიამბალა | 680 კმ |
| 15.01 ფიამბალა-ლა რიოხა | 518 კმ |
| 16.01 ლა რიოხა-კორდობა | 753 კმ |
| 17.01 კორდობა-ბუენოს აირესი | 792 კმ |
| დისტანციის მთელი სიგრძე - 9574 კმ | |

ჩოგბურთი



# უიმბლდონზე ყველაზე მეტი ფული დაიდო

2008 წელს, უიმბლდონის ტურნირი ბუკმეიკერებს შორის ყველაზე პოპულარული სპორტული მოვლენა იყო.

ტოტალიზატორ Betfair-ის მონაცემებით, „დიდი სლემის“ რიგით მესამმა ტურნირმა ფსონების რაოდენობით ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატსა და პეკინის ოლიმპიურ თამაშებს გაუსწრო.

უიმბლდონის ყველა მატჩზე ჩასული ფსონების მთლიანმა თანხამ 56 მილიონი ევრო შეადგინა, აქედან 3.5 მილიონი **როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის** ფინალურ მატჩზე მოდის.

პოპულარობის მიხედვით მეორე ტურნირი აღმოჩნდა შვეიცარიასა და ავსტრიაში გამართული ევრო 2008.

ლიდერთა შორის მოხვდა ესპანეთის ჩემპიონატის მატჩი „ბარსელონასა“ და „რეალს“ შორის, რომელიც 13 დეკემბერს გაიმართა. დაახლოებით ანალოგიური პოპულარობით სარგებლობდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი, სადაც „ბარსელონა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ თამაშობდნენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ჩიკაგო 87:100**
20:32, 29:22, 23:16, 15:30
ნ-ჯ: კარტერი (31), პარისი (26).
ჩ: გორდონი (24), როუზი (21+13 პასი), ჰიუზი (17), ნოჩიონი (17).

**იუტა-ფილადელფია 112:95**
24:20, 27:23, 28:21, 33:31
ი: დ. უილიამსი (27), ოქური (19+10 მოხსნა), კირილენკო (16+1მოხსნა).
ფ: იანგი (17), იგუოდალა (17), ლ. უილიამსი (14).

**გ. სტეიტ-ტორონტო 117:111**
28:29, 32:23, 26:27, 31:32
გ-ს: ჯექსონი (30), ბელინელი (23), ბიედრინსი (13+15 მოხსნა).
ტ: ბოში (30+14 მოხსნა), კალდერონი (21+16 პასი).

**ჰიუსტონი-ვაშინგტონი 87:89**
22:21, 14:24, 26:27, 25:17
ჰ: არტესტი (20), სკოლა (16), მაკგრეიდი (15).
ვ: ჯეიმისონი (30+12 მოხსნა), ბლეტჩი (16), იანგი (14).

**ოკლაჰომა-ფინიქსი 102:110**
34:34, 21:26, 32:32, 15:18
ო: უესტბრუკი (31), გრინი (22+11 მოხსნა), დურანტი (18).
ფ: შ. ო'ნილი (28+12 მოხსნა), რიჩარდსონი (20), ბარნსი (19).

**ატლანტა-დენვერი 109:91**
29:24, 25:29, 24:18, 31:20
ა: ჯონსონი (25), ბიბი (20+9 პასი), პორფორდი (16+10 მოხსნა).
დ: მარტინი (19), ენტონი (16), ბილაპსი (11), სმიტი (11).

**დეტროიტი-ორლანდო 88:82**
24:19, 28:24, 18:23, 18:16
დ: სტაკი (19), უოლასი (16), პრინსი (16).
ო: ლუისი (23), ჰოვარდი (18+18 მოხსნა), თურქოგლუ (14).

**მინესოტა-მემფისი 108:98 (ო)**
24:19, 8:20, 29:26, 28:24, 19:9
მინ: ჯეფერსონი (38+16 მოხსნა), ლავი (17), ფოიე (15).
მემ: მაიო (23), გეი (19), ლოური (14+12 პასი).

# კვირის მოთამაშეები

„კლივლენდ კავალიერზის“ ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მცველი **კობი ბრაიანტი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჯეიმსმა საშუალოდ მატში 26.0 ქულა, 6.7 მოხსნა და ამდენივე პასი დააგროვა. „კლივლენდმა“ გასულ კვირას შინ სამიდან სამი მატჩი მოიგო. აღსანიშნავია, რომ „კავალიერზმა“ საკუთარ არენაზე გამართული 16 შეხვედრიდან ყველა მოიგო, ხოლო სულ ჩემპიონატში 30 მატჩიდან მხოლოდ 4 თამაში წააგო, რაც საუკეთესო შედეგია ამ გუნდის ისტორიაში.

კობი ბრაიანტი გასულ კვირას ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო - მის ანგარიშზე 30.0 ქულა მოდის, რასაც 5.5 მოხსნა და 4.0 შედეგიანი პასი ემატება. სწორედ შარშანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშის დიდი წვლილია იმაში, რომ „ლეიკერსმა“ შეწყვიტა „ბოსტონ სელტიქსის“ 19-მატჩიანი მოგებათა სერია.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **მო უილიამსი** („კლივლენდი“), **დუეინ უეიდი** („მაიამი“), **ჯერალდ უოლასი** („შარლოტი“), **ჯო ჯონსონი** („ატლანტა“), **როდნი სტაკი** („დეტროიტი“), **იაო მინი** („ჰიუსტონი“), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა“), **ტონი პარკერი** („სან ანტონიო“) და **ჯერმეინ ო'ნილი** („ტორონტო“).

ჰოკეი — NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-აილენდერსი 5:4**
0:1, 1:1, 2:2
**გოლები:** 0:1 სილინჯერი-2 (პანტერი-13), 1:1 გომესი-7 (ცერდიოვი-22, დუბინსკი-15), 1:2 ოკსოპო-4 (მაიერი-4, უიტი-3), 2:2 პრუხა-2 (დუბინსკი-16, რედენი-14), 3:2 როჟსივალი-6 (დრური-14), 3:3 კომო-2 (მტრაიტი-21, კომრი-7), 4:3 ნესლუნდი-14 (გომესი-18), 5:3 დეივსი-6 (დრური-15, კელეპანი -4), 5:4 კომრი-4 (ცერვე-6, გერინი-14).

**დალასი-სან ხოსე 1:3**
0:1, 0:0, 1:2
**გოლები:** 0:1 ჩიჩუ-6 (ბოილი-19, ჯ. ტორნტონი-33), 0:2 მ. მიხალეკი-8 (პაველსკი-14, ქლოუ-14), 1:2 ნისკანენი-3, 1:3 ქლოუ-15 (პაველსკი-15).

**ფლორიდა-მონრეალი 2:5**
1:1, 1:2, 0:2
**გოლები:** 1:0 ფროლიკი-6 (მაკლინი-7), 1:1 კოვალიოვი-9 (ა. კოსტიცინი-8, მარკოვი-22), 1:2 პლეკანეცი-7 (ჰამრლიკი-9), 2:2 ბუტი-15, 2:3 ლაპიერი-5 (კოსტოპულოსი-6, ბიგინი-4), 2:4 ლაპიერი-6 (ლატენდრესი-8), 2:5 ლაპიერი-7.

**კოლორადო-ნეშვილი 5:1**
2:0, 2:1: 1:0
**გოლები:** 1:0 მაკლეოდი-6 (სვატოსი-8, ფუტი-4), 2:0 მაკლეოდი-7 (კლარკი-4, ჰენსიკი-8), 3:0 სტიუარტი-3 (ლეოპოლდი-8, სვატოსი-9), 4:0 ჯონსი-6 (ვოლსკი-11, ლლაილსი-14), 4:1 არნოტი-14 (სუტერი-14, მ. უებერი-16), 5:1 ლაილსი-5 (რ. სმიტი-14, ვოლსკი-12).

**ლოს ანჯელესი-კოლამბუსი 0:2**
0:0, 0:1, 0:1
**გოლები:** 0:1 რასელი-2 (ნეში-16, მოდინი-8), 0:2 ნეში-16.

**კალგარი-მინესოტა 2:1**
1:0, 0:1, 1:0
**გოლები:** 1:0 ლენგკოუ-10 (ბერტუცი-17, ბურკი-9), 1:1 ვეილო-5 (ბელანჟე-12, სკოლა-4), 2:1 ნისტრიომი-2 (ბოიდი-4, ოკუანი-8).

კრივი

# ვალუევს ჯერ არ მოუგია



მსოფლიოს კრივის ასოციაციამ (WBA) რუსი **ნიკოლაი ვალუევისა** და ამერიკელი **ევანდერ ჰოლიფილდის** ამასწინანდელი ბრძოლის ვიდეოჩანაწერის ნახვა გადაწყვიტა, რის მეშვეობითაც უნდა გაირკვეს, რამდენად სამართლიანად მიანიჭეს მსაჯებმა გამარჯვება რუს მოკრივეს.

ბრძოლა შვეიცარიის ქალაქ ციურიხში 20 დეკემბერს გაიმართა. სამიდან ორმა მსაჯმა გამარჯვება ვალუევს მიანიჭა, ერთმა კი ფრე დააფიქსირა. ამერიკულმა მხარემ 24 დეკემბერს შეიტანა პროტესტი WBA-ში და ბრძოლის შედეგის გაუქმება მოითხოვა. ორგანიზაციის იურისტ **რობერტ მაკის** განცხადებით, ჰოლიფილდის პროტესტი აუცილებლად იქნება განხილული.

ოლიმპიზმი

# პეკინში ოლიმპიურ ობიექტებს ანგრევენ

ჩინეთის მთავრობის გადაწყვეტილებით პეკინის ოლიმპიადის რამდენიმე ობიექტს რეკონსტრუქციას ჩაუტარებენ. ლაპარაკია იმ სპორტულ არენებზე, რომლებმაც ოლიმპიადის შემდეგ ფუნქცია დაკარგეს და საკუთარ თავს ვერ ინახავენ.

მაგალითად, დანგრევას ექვემდებარება ბეისბოლის სტადიონი, რომელიც ჩინეთის დედაქალაქის დასავლეთით პრესტიჟულ გარეუბანში მდებარეობს. ბეისბოლი ჩინეთში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს და ეს გადაწყვეტილებაც ამით არის განპირობებული. სტადიონის ადგილას სპორტული მიმართულების გასართობი ცენტრი აშენდება.

იგივე ბედი ელის რამდენიმე სხვა სპორტულ ობიექტსაც, რომლებიც ოლიმპიადის შემდეგ აღარ ფუნქციონირებენ. აგრეთვე განიხილება სპორტული არენების დანგრევის ნაცვლად მათი სპორტის ის სახეობისთვის გადაკეთება, რომელიც ჩინეთში უფრო მეტად არის განვითარებული.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| გრინოკი-პარტიკი | 2:0 |
| დანფერმლაინი-ლივინგსტონი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრეჩინი-ეირი | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| **პრემიერლიგა** | |
| ჰალ სიტი-ასტონ ვილა | 0:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

მარია შარაპოვა

# შეყვარებული არ ვყოფილვარ

**ამერიკულმა ჟურნალმა HELLO-მ რუს ჩოგბურთელ მარია შარაპოვას ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვა და თან ფოტოსესიაც გამართა.**

**ჟურნალი წერს, რომ რუსი ჩოგბურთელი თავის წლებთან შედარებით მეტად დაბრძენებული და დამოუკიდებელი ადამიანია. მას კორტს მიღმა არანაირი მეურვეობა არ სჭირდება, მაგრამ მარია თავს კომფორტულად მაშინ გრძნობს, როცა მის გვერდით ოჯახის წევრები და მეგობრები არიან. დღეს ის თავის აგენტ მაქს აიზენბადის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, თან ახლავს „პიარის“ სპეციალისტები, სპონსორთა ოფიციალური წარმომადგენლები, სტილისტები, პარიკმახერები, გრიმიორები...**

**შარაპოვა უკვე რამდენიმე წელია ასეთი გრაფიკით ცხოვრობს. სწორედ თავის ცხოვრებაზე ჰყვება უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი HELLO-სთან ინტერვიუში.**



**- მარია, თქვენთვის, ალბათ, ნამდვილი შოკი იქნებოდა, როცა გაიგებდით, რომ მხარის კუნთი განყვეტილი გქონდათ და ისე თამაშობდით ტურნირებზე...**

- აპრილში, როცა მხარში ტკივილი ვიგრძენი, ტომოგრაფია ჩავიტარე, მაგრამ მითხრეს, რომ განსაკუთრებული არაფერი მჭირდა - ეს მხოლოდ კუნთის ანთება იყო. მაგრამ დრო გადიოდა და ტკივილი არ ცხრებოდა.

**- სპეციალისტებმა როგორ ვერ შეამჩნიეს ეს დაზიანება?**

- კარგი შეკითხვაა... მაგრამ პასუხი არ მაქვს. ამ საშინელი ტრავმით 7-8 თვე ვთამაშობდი.

**- ბუნებრივია, ეს თქვენს თამაშზე უარყოფითად იმოქმედებდა...**

- ამაზე მუდმივად ვფიქრობ. უმაღლეს დონეზე თამაშს ვცდილობ, რადგან მეუბნებიან, რომ მხოლოდ მცირე დაზიანება მაქვს. მაგრამ შემდეგ არკვევ, რომ საქმე არც ისე კარგადაა, შესაბამისად, ცდილობ კორტზე ფრთხილად იყო და ტრავმა არ გაირთულო.

**- თქვენ ორი ვილა გაქვთ - კალიფორნიაში და ფლორიდაში. რომელი მიგაჩნიათ თქვენს მშობლიურ სახლად?**

- ფლორიდაში მშობლები ცხოვრობენ. მამა კვლავინდებურად ტურნირებზე დამყვება, დედა კი სახლს უვლის, ფინანსურ საქმეებს განაგებს. კარგია, როცა გარშემო გყავს ადამიანები, რომლებსაც ბოლომდე ენდობი.

**- მშობლებმა თქვენ გამო ბევრი მსხვერპლი გაიღეს...**

- როცა თამაშს ვიწყებდი, ჩემი პირველი მწვრთნელი მეუბნებოდა, რომ მე ერთ-ერთი საუკეთესო იუნიორი ვარ. მომეწონა ეს სიტყვები. სინამდვილეში, ვარჯიშები საშინლად არ მიყვარდა და დღემდე ასეა. მაგრამ ბრძოლა მიყვარს. იმდენად მომწონდა გამარჯვება, რომ მშობლები მაშინვე მიხვდნენ - ჩოგბურთი იყო ის, რაც ჩემი ცხოვრების მეგზური უნდა გამხდარიყო. დედ-მამას ნორმალური ცხოვრება ჰქონდათ, საკმარისად უზრუნველყოფილნი იყვნენ, მაგრამ ამერიკაში გამგზავრებისთვის ყველაფრის მსხვერპლად გაღება გადაწყვიტეს. იქ კი ისინი ავტომატურად ღარიბებად იქცნენ. მათ ამ მსხვერპლისთვის ვერასოდეს გადავუხდი მადლობას.

**- გრძნობთ, რომ მათთან ვალში ხართ?**

- არა. ჩვენ ძალიან ახლობელი ადამიანები ვართ ერთმანეთისთვის. ჩვენს ოჯახში ფულის გამო არაფერი გაკეთებულა. ამ ცხოვრებაში გაცილებით მნიშვნელოვანი რალაცებიც არსებობს.

**- რთულია ტურში ნამდვილი მეგობრის პოვნა?**

- პრაქტიკულად შეუძლებელია. შენ ვერ იქნები ჩემი მეგობარი, როცა ვიცი, რომ ხვალ უნდა შეგხვდე და შენს დამარცხებას შევეცადო. მაგრამ მე გამიმართლა, რომ ნორმალური ცხოვრება მაქვს და მყავს მეგობრები, რომლებსაც ტურთან არანაირი კავშირი არ აქვთ. ჩემი მეგობრების ჩამოთვლას ერთი ხელის თითებიც ეყოფა. ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან, მხარს მიჭერენ და ესმით ჩემი პროფესიის თავისებურებანი.

**- ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ დრო არ გრჩებათ სასიყვარულო ურთიერთობებისთვის?**

- ამისთვის დრო ყოველთვის მაქვს. რა თქმა უნდა, ეს იქნება დისტანციაზე ურთიერთობა, რადგან მუდმივად ვმოგზაურობ. პირადად მე არ მინდა, რომ ჩემმა რჩეულმა ჩემთან ერთად ტურნირიდან ტურნირზე იმოგზაუროს. მას საკუთარი ცხოვრება და კარიერა უნდა ჰქონდეს. ამიტომაც არ მომწონს, როცა ვხედავ, რომ ტურში ბევრი მამაკაცი გვერდიდან არ შორდება თავის მეორე ნახევარს. ისინი ჭკვიანი ადამიანები არიან და მე მგონია, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ისინი ნამდვილი საქმით დაკავდებოდნენ.

**- შეყვარებული ყოფილხართ?**

- 21 წლის გოგოსთვის გადამეტებული ნათქვამია. არა მგონია, რომ ამას სიყვარული ერქვას. შესაძლოა, ვიყავი კიდეც, უბრალოდ მე ამის შესახებ არ ვიცი.

**- ურთიერთობებში ლიდერი ხართ?**

- მე სწრაფად გავიზარდე. ჩემი აზრით, ჩოგბურთის სამყაროში თუ ცხოვრობ, ადამიანი ვალდებულია სწრაფად გაიზარდოს. ჩოგბურთი ხომ უბრალოდ ჩოგნის ქნევა არ არის. შენ პროფესიონალი უნდა იყო ვალდებულებებთან მიმართებაში, სპონსორებთან და გულშემატკივრებთან ურთიერთობაში. სწორედ პროფესიონალიზმი გაიძულებს ზრდას და ეს ისე ხდება, ბევრ რამეს ვერც აცნობიერებ.

**- ამბოხება არასოდეს გიცდიათ?**

- იმდენად მომწონს რასაც ვაკეთებ, რომ როცა თავისუფალი დრო მიჩნდება, ვფიქრობ, სწრაფად დავბრუნდე კორტზე. ამის მიზეზი ის არის, რომ მომწონს გამარჯვება და ვიცი, რომ შემიძლია დიდი ტურნირების მოგებაა. ხვალ რომ მომიხდეს თამაშის დასრულება, ჩემი მიღწევები მაინც იმაზე მეტი იქნება, ვიდრე მე და ჩემი ოჯახი ვოცნებობდით. უკვე საკმარისი თანხა გამოვიმუშავე, რომ სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველად ვიცხოვრო. არავისთვის არაფრის დამტკიცება არ მჭირდება.

**- რამდენად მნიშვნელოვანია საქმის ფინანსური მხარე?**

- ეს მნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა და იმედი მაქვს, არც არასოდეს იქნება. მთავარია კორტზე რას ვაკეთებ, ფინანსური საკითხი კი თავისთავად მოგვარდება. მე მთლიანად მაკმაყოფილებს ჩემი ცხოვრების წესი, ჩემი მიზანი კი არამარტო მშობლებისთვის, ჩემი შვილებისა და შვილიშვილების დახმარებაცაა.

**- მოიწონებთ თუ არა თქვენი შვილების ჩოგბურთით გატაცებას?**

- თუ სპორტის დაკავდებიან, რა თქმა უნდა, მივესალმები. მაგრამ თუ ამისთვის საჭირო გახდება სხვა ქვეყანაში გამგზავრება და შვილთან ორი წლით დაშორება - ამ შემთხვევაში ძალიან გამიჭირდება.

**- რა გეგმები აქვს მარია შარაპოვას მომავალში?**

- ბევრი მიზანი მაქვს. მაგალითად, საფრანგეთის ღია პირველობაზე გამარჯვება. ეს „დიდი სლემის“ ერთადერთი ტურნირია, რომელშიც გამარჯვებისთვის არ მიმიღწევია. მინდა, რომ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აღარ მქონდეს. უბრალოდ, მინდა თავს კარგად ვგრძნობდე.

# სერენას ფოტოსესია

ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **სერენა უილიამსმა** წლის ბოლოს ჟურნალ H-სთვის ფოტოსესია მოაწყო. ახალი სეზონის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და მოკლე შვებულებას ჩოგბურთელები სხვადასხვაგვარად იყენებენ.

სერენამ ფოტოსესიის გარდა, ამერიკულ ჟურნალს ვრცელი ინტერვიუც მისცა. უმცროსმა უილიამსმა კენიაში თავის მოგზაურობაზე ილაპარაკა, სადაც სკოლის გახსნის პატივი ერგო. *„ძალიან რთული ისეთი ბავშვების ყურება, რომლებსაც საერთოდ არაფერი გააჩნიათ“*, - განაცხადა ამერიკელმა.

მაგრამ საერთო ჯამში სერენა კმაყოფილი დარჩა „შავ კონტინენტზე“ მოგზაურობით. *„ასეთ მიყრუებულ ადგილებშიც კი მცნობენ და მესალმებიან“*, - უკვირდა უილიამსს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




